

## ჯალო გერმანის წინააღმდეგ

*Case of Jalloh v. Germany*



დიდი პალატა

## პალო გერმანიის წინააღმდეგ

(განაცხადი №54810/00)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2006 წლის 11 ივნისი

## საქმეზე ჯალო გერმანიის წინააღმდეგ,

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ შემდეგი შე-  
მადგენლობით:

ლუციუს ვილდჰაბერი, თავმჯდომარე  
ხრისტოს როზაკისი,  
ნიკოლა ბრატცა,  
ბოშტიან მ. ზუპანჩიჩი,  
გეორგ რესი,  
ჯოვანი ბონელო,  
ლუციუს კაფლიში,  
ირენეუ კაბრალ ბარეტო,  
მატი პელონპიაია,  
ანდრას ბაკა,  
რაიტ მარუსტე,  
სნეუანა ბოტუჩაროვა,  
ხავიერ ბორეგო ბორეგო,  
ელიზაბეტ ფურა-სანდსტრომი,  
ალვინა გიულუმიანი,  
ჰანლარ ჰაჯიევი,  
იან სიკუტა, მოსამართლეები  
და  
კლორენს ეარლი, სექციის რეგისტრატორი,

მოითათპირა დახურულ კარს მიღმა 2005 წლის 23 ნოემბერს და 2006 წლის 10  
მაისს, გამოიტანა და 2006 წლის 10 მაისს დაამტკიცა შემდეგი გადაწყვეტილება:

## პროცედურა

1. საქართველოს და დაედო განაცხადი № 54810/00, რომელიც სიერა ლეონეს მოქალაქემ ბ-ნმა აბუ ბაქა ჯალომ (შემდგომში „განმცხადებელი“) გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ სასამართლოში შეიტანა 2000 წლის 30 იანვარს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) 34-ე მუხლის შესაბამისად.

2. განმცხადებელს წარმოადგენდა ბ-ნი უ. ბუში, რატინგენის პრატიციკოსი ადვოკატი. გერმანიის მთავრობის (შემდგომში „მთავრობა“) ინტერესებს იცავდა სახელმწიფო წარმომადგენელი ბ-ნი კ. სტოლტენბერგი, სახელმწიფო მდივნის თანაშემწე (Ministerialdirigent), ხოლო მოგვიანებით ქ-ნი ა. ვიტლინგ-ფოგელი - სახელმწიფო მდივნის თანაშემწე (Ministerialdirigent).

3. განმცხადებელი სახელდობრ ამტკიცებდა, რომ ნარკოტიკებთან დაკავშირებულ სამართალდარღვევაზე მტკიცებულების მოსაპოვებლად ღებინების გამომწვევ საშუალებათა ძალდატანებით გამოყენება შეესაბამებოდა კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალულ არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას. იგი ასევე აცხადებდა, რომ საქმის სასამართლო განხილვაზე ამ უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულების გამოყენებით დაირღვა მისი კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება.

4. განაცხადი გადაეცა სასამართლოს მესამე სექციას. 2004 წლის 26 ოქტომბერს იგი გამოცხადდა ნაწილობრივ დასაშვებად იმავე სექციის პალატის გადაწყვეტილებით, შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე - ირენეუ კაბრალ ბარეტო, მოსამართლები - გეორგ რესი, ლუციუს კაფლიში, რიზა თურმენი, ბოშტიან მ. ზუპანჩიჩი, მარგარიტა ცაცა-ნიკოლოვსკა, ალვინა გიულუმიანი და სექციის რეგისტრატორი, ვინსენტ ბერგერი.

5. 2005 წლის 1 თებერვალს პალატამ საქმე განსახილველად გადააბარა დიდ პალატას, რაც არც ერთ მხარეს არ გაუპროტესტებია (კონვენციის 30-ე მუხლი და სასამართლოს რეგლამენტის 72-ე მუხლი).

6. დიდი პალატის შემადგენლობა განისაზღვრა კონვენციის 27-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისა და სასამართლოს რეგლამენტის 24-ე მუხლის დებულებათა თანახმად. გეორგ რესმა, რომლის უფლებამოსილება ამოინურა 2004 წლის 31 ოქტომბერს, განაგრძო საქმის განხილვა (კონვენციის 23-ე მუხლის მე-7 პუნქტი და [სასამართლოს რეგლამენტის] 24-ე მუხლის მე-4 პუნქტი). ჟან-პოლ კოსტა, რიზა თურმან და მარგარიტა ცაცა-ნიკოლოვსკა, რომელთაც არ შეეძლოთ მოსმენებში მონაწილეობა, ჩაანაცვლეს ანდრას ბაკამ, ჯოვანი ბონელომ და იან სიკუტამ ([სასამართლოს რეგლამენტის] 24-ე მუხლის მე-2(ა) პუნქტი და მე-3 პუნქტი). საბოლოო განხილვისას ალტერნატიულმა მოსამართლემ სწეულა ბოტუჩაროვამ ჩაანაცვლა ლილიანა მიიღვიჩი, რომელსაც აღარ შეეძლო საქმის შემდგომ განხილვაში მონაწილეობა ([სასამართლოს რეგლამენტის] 24-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

7. განმცხადებელმა და მთავრობამ, თავის მხრივ, წარმოადგინეს შენიშვნები საქმის არსებით მხარეებზე.

8. მოსმენა გაიმართა საჯაროდ სტრასბურგში, 2005 წლის 23 ნოემბერს ([სასამართლოს რეგლამენტის] 59-ე მუხლის მე-3 პუნქტი) ადამიანის უფლებათა შენობაში.

## ჯალო გერმანიის წინააღმდეგ

სასამართლოს წინაშე წარდგნენ:

(a) მთავრობის მხრიდან:

ქ-ნი ა. ვიტლინგ-ფოგელი,

სახელმწიფო მდივნის თანაშემწე (Ministerialdirigent), სახელმწიფო წარმომადგენელი,

ბ-ნი ჰ. ბრიუნერი, მთავარი სახელმწიფო მრჩეველი (Oberregierungsrat),

ქ-ნი კ. კრეისი, პროკურორი (Staatsanwältin),

ბ-ნი ი. კლასი, უფროსი პროკურორი (Oberstaatsanwalt),

ბ-ნი კ. პიუშელი, პროფესორი (პამბურგის სასამართლო მედიცინის ინსტიტუტი. Institut für Rechtsmedizin Hamburg),

ბ-ნი ჰ. კიორნერი, უფროსი პროკურორი (Oberstaatsanwalt),

(b) განმცხადებლის მხრიდან:

ბ-ნი უ. ბუში, ადვოკატი (Rechtsanwalt),

ბ-ნი ა. ბუში, მართვის კონსულტანტი (Unternehmensberater) მრჩეველი.

სასამართლომ მოისმინა ბ-ნ ა. ბუშისა და ქ-ნ ვიტლინგ-ფოგელის მიმართვები და პასუხები, ასევე ბ-ნ პიუშელის პასუხი მათ მიმართ დასმულ შეკითხვაზე.

## ვაძლები

### I. საქმის გარემოებები

9. განმცხადებელი დაიბადა 1965 წელს და ცხოვრობს ქ. კოლონში (გერმანია).

10. მხარეთა მიერ წარმოდგენილი საქმის ფაქტები შეიძლება შემდეგნაირად შეჯამდეს:

#### A. საგამოძიებო მოქმედებები

11. 1993 წლის 29 ოქტომბერს სამოქალაქო ტანსაცმელში ჩატარებულმა პოლიციურებმა შენიშნეს, რომ განმცხადებელმა, სულ ცოტა, ორ სხვადასხვა ვითარებაში, პირიდან გამოიღო მცირე ზომის ცელოფნის პაკეტი (ე.წ. „bubble“ [ექსტაზის ტიპის ნარკოტიკის კონტეინერის უარგონული დასახელება]) და გადასცა სხვა პირს ფულის სანაცვლოდ. პოლიციის ოფიცირები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ამ პაკეტებში მოთავსებული იყო ნარკოტიკული ნივთიერებები. მათ გადაწყვიტეს განმცხადებლის დაპატიმრება, რის შედეგადაც მან გადაყლაპა პირში შენახული მეორე პაკეტი.

12. პოლიციის ოფიცირებმა განმცხადებელს ვერ აღმოუჩინეს რაიმე სახის ნარკოტიკი. იმის გათვალისწინებით, რომ შემდგომ გაჭიანურებას შეეძლო ხელი შეეშალა გამოძიების წარმართვისათვის, საზოგადოებრივმა პროკურორმა ბრძანა, ექიმის დახმარებით განმცხადებლისთვის მიეცათ ლებინების გამომწვევი საშუა-

ლებები (Brechmittel), რათა ამ გზით ამოელოთ პაკეტის [სხეულიდან] (Exkorporation).

13. განმცხადებელი გადაიყვანეს ვიუპერტალ-ელბერფელდის (Wuppertal-Ellerfeld) საავადმყოფოში. მთავრობის თანახმად, ექიმმა, რომელსაც უნდა მიეცა ლებინების გამომწვევი საშუალება, განმცხადებელს გამოჰკითხა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ე.წ. ანამნეზი - ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ საერთო სურათის შედგენა ზეპირი გამოკითხვის გზით). განმცხადებელმა ეს გააპროტესტა და აღნიშნა, რომ ექიმს მისთვის არ დაუსცამს კითხვები. რამდენადაც განმცხადებელმა უარი თქვა ლებინების გამომწვევი შესაბამისი მედიკამენტის მიღებაზე, ოთხმა პოლიციელმა იგი ძირს დააგდო და გააკავა. ამის შემდეგ ექიმმა მას ძალით გაუკეთა ზონდი ცხვირში და მისი მეშვეობით შეუშვა მარილის სხნარი და იპეკაუნას (ე.წ. ამოსალებინებელი ფესვი - ipecacuanha) ნაყენი. ამასთან, ექიმმა მას გაუკეთა აპომორფინი (apomorphine), სხვა სახის ამოსალებინებელი პრეპარატი, მიღებული მორფინიდან. საბოლოო ჯამში, განმცხადებელმა ამოილო ერთი პაკეტი 0.2182 გრამი კოკაინის შემცველობით. დაკავებისა და საავადმყოფოში გადაყვანიდან დაახლოებით საათ-ნახევარში განმცხადებელი დაათვალიერა ექიმმა და პატიმრობისათვის ვარგისად ცნო.

14. ამოსალებინებელი საშუალებების მიღებიდან ორი საათის შემდეგ, როდესაც მას საკანში ეწვია პოლიცია, განმცხადებელმა, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, არ ლაპარაკობდა გერმანულად, დამტვრეული ინგლისურით განაცხადა, რომ იგი ძალიან დალლილი იყო იმისთვის, რომ გაეკეთებინა განმცხადება სავარაუდო კანონდარღვევაზე.

15. ვიუპერტალის საქალაქო სასამართლოს გაცემული დაკავების ბრძანების თანახმად, 1993 წლის 30 ოქტომბერს განმცხადებელს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა.

16. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მის მიმართ გამოყენებული ზომებიდან მომდევნო სამი დღის განმავლობაში მას შეეძლო მხოლოდ წვნიანის მიღება, ხოლო ზონდის შეყვანით გამოწვეული ჭრილობის გამო ცხვირიდან სისხლდენა ორ კვირას გაუგრძელდა. ეს გააპროტესტა მთავრობის და აღნიშნა, რომ განმცხადებელმა ვერ შეძლო საკუთარი ბრალდების დამადასტურებელი სამედიცინო ცნობის წარმოდგენა.

17. ლებინების გამომწვევი საშუალებების მიღებიდან ორთვენახევრის შემდეგ, განმცხადებელს ციხის საავადმყოფოში გასტროსკოპია გაუკეთეს, რადგან ის უჩიოდა განგრძობით ტკივილს კუჭის ზედა არქში. მას დაუდგინდა საყლაპავის ქვედა არის გაღიზიანება, გამოწვეული კუჭის წვერის ამოდინებით. ეს მდგომარეობა სამედიცინო დასკვნაში პირდაპირ არ დაუკავშირა ამოსალებინებელი პრეპარატების იძულებით მიღებას.

18. განმცხადებელი ციხიდან გაათავისუფლეს 1994 წლის 23 მარტს. იგი აცხადებდა, რომ ამოსალებინებელი პრეპარატების იძულებით მიღების შედეგად გამოწვეული კუჭის გაღიზიანების გამო, მას მოუწია შემდგომი სამედიცინო მკურნალობის გავლა. მას არ წარმოუდგენია სამედიცინო მკურნალობის დამადასტურებელი რამე დოკუმენტი. თავის მხრივ, მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებელს არ გაუვლია არანაირი მკურნალობა.

## B. სამართალწარმოებები ეროვნულ სასამართლოში

19. 1993 წლის 20 დეკემბერს ვიუპერტალის საქალაქო სასამართლოში წარმოდგენილ არგუმენტაციაში განმცხადებელმა, რომელსაც მთელი სამართა-

## ჯალო გერმანიის წინააღმდეგ

ლნარმოებისას წარმოადგენდა ადვოკატი, გააპროტესტა ღებინების გამომწვევი საშუალებების გამოყენებით მიღებული მტკიცებულების გამოყენება საქმის სა-სამართლო განხილვაზე, რადგან აღნიშნული მეთოდი მიიჩნია უკანონოდ. მისი სხეულის დაზიანება მოჰყვა კოკაინის შემცველი პაკეტის სხეულიდან ამოღებას იძულებითი ღებინების გზით, რაშიც იგი ადანაშაულებდა პოლიციის ოფიცირებსა და ექიმს, რომლებმაც ეს სამსახურებრივი მოვალობის შესრულებისას გააკე-თეს (Körperverletzung im Amt). ტოქსიკური ნივთიერებების გამოყენება იყრაღება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე (ა) მუხლის ძალით (იხ. ქვემოთ 34-ე პუნქტი). მათ მოახდინეს განმცხადებლის ფიზიკური ფუნქციებით მანიპუ-ლირება, როდესაც ორგანიზმის აქტივობის პროვოკირება გამოიწვიეს ტკინისა და სხეულის მაკონტროლებელი რეაქციების დათრგუნვის ხარჯზე. ნებისმიერ შემთხვევაში, ღებინების გამომწვევი საშუალებების გამოყენება იყო არაპრო-პორციული ზომა და, შესაბამისად, დაუშვებელი სისხლის სამართლის საპროცე-სო კოდექსის 81-ე (ა) მუხლით (იხ. ქვემოთ პუნქტები 33 და 35-40). სავარაუდო სამართალდარღვევის მტკიცებულების მიღება შესაძლებელი იქნებოდა მას შე-მდეგ, რაც პაკეტი პუნქტბრივად გაივლიდა მისი კუჭნანლავის სისტემას. გარდა ამისა, განმცხადებელი ამტკიცებდა, ერთადერთი დასაშვები მეთოდი იქნებოდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე (ა) მუხლით გათვალისწინებუ-ლი კუჭის გამორეცხვა.

20. 1994 წლის 23 მარტს ვიუპერტალის საქალაქო სასამართლომ განმცხადე-ბელი ბრალეულად ცნო ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობაში და მიუსაჯა პირო-ბითი მსჯავრი ერთი წლის ვადით და საპრობაციო ზედამხედველობა. სასამართ-ლომ უკუაგდო დაცვის არგუმენტი, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კო-დექსის 81-ე (ა) მუხლის თანახმად, ამოსაღებინებელი საშუალების გამოყენება იყო არაპროპორციული ზომა სულ რაღაც 0.2 გრამი კოკაინის შემცველი პაკე-ტის ამოსაღებად.

21. განმცხადებელმა გაასაჩივრა გადაწყვეტილება.

22. 1995 წლის 17 მაისს ვიუპერტალის საოლქო სასამართლომ ძალაში დატო-ვა განმცხადებლის მსჯავრდება, მაგრამ პირობითი პატიმრობის ვადა შეამცი-რა ექვს თვემდე. სასამართლომ ასევე პრძანა განმცხადებლის დაკავების დროს ამოღებული 100 გერმანული მარკის, როგორც ორი ნარკოტიკული პაკეტის გა-ყიდვიდან მიღებული შემოსავლის, კონფისკაცია (Verfall).

23. საოლქო სასამართლომ მისაღებ მტკიცებულებად ცნო პროკურორის პრძანების საფუძველზე [სელოვნურად] გამოწვეული ღებინებით ამოღებული კოკაინის პაკეტი. ამ ზომას მიმართეს, რათა საქმის შემდგომ გაჭიანურებას ხელი არ შეეძლა გამოძიების წარმართვისათვის. სისხლის სამართლის საპრო-ცესო კოდექსის 81-ე (ა) მუხლის თანახმად, სადაც ნივთიერებების გამოყენება, მაშინაც კი, როდესაც ეს ენინააღმდეგება ეჭვმიტანილის ნებას, კანონირია. პროცედურის აუცილებლობა გამოწვეული იყო ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრო-ბის მტკიცებულების შესანარჩუნებლად. პროცედურა ჩაატარა ექიმმა, თანაც მედიცინის მეცნიერების წესების შესაბამისად. ბრადლებულის ჯანმრთელობა საფრთხის ქედზე არ დამდგარა და დაცული იყო პროპორციულობის პრინციპი.

24. განმცხადებელმა სხეულებული გადაწყვეტილების სამართლებრივი ასპე-ქტები გაასაჩივრა. სახელდობრ, იგი ამტკიცებდა, რომ სისხლის სამართლის სა-პროცესო კოდექსის 81-ე (ა) მუხლი არ იძლევა ღებინების გამომწვევი საშუალე-ბების მოხმარების უფლებას, რადგან იგი არ უშვებს სიცოცხლისათვის საშიში

პრეპარატების მიღებას სახიფათო მეთოდების გამოყენებით. ამასთან, 81-ე (ა) მუხლი კრძალავს ისეთ ზომებს, როგორიცაა ეს სადაცო შემთხვევა, როდესაც ეჭვმიტანილი ფაქტობრივად აიძულეს, აქტიური წვლილი შეეტანა თავის მსჯავრდებაში. განმცხადებელმა ასევე განაცხადა, რომ ამ სადაცო ზომამ დაარღვია კონსტიტუციის 1-ლი და მე-2 მუხლები (Grundgesetz - იხ. ქვემოთ პუნქტები 31-32) და, კერძოდ, უგულებელყო ადამიანური ღირსების პატივისცემის უფლება.

25. 1995 წლის 19 სექტემბერს დოიუსელდორფის სააპელაციო სასამართლომ უკუაგდო განმცხადებლის საჩივარი. მან დაასკვნა, რომ საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიცავდა არავითარ სამართლებრივ შეცდომას, რომელიც ზიანს მიაყენებდა ბრალდებულს.

26. განმცხადებელმა საჩივარი შეიტანა ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოში. იგი კვლავ ამტკიცებდა, რომ ამოსალებინებელი საშუალებების გამოყენება იყო არაპროპორციული ზომა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე (ს) მუხლის თანახმად.

27. 1999 წლის 15 სექტემბერს ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ განმცხადებლის საკონსტიტუციო საჩივარი გამოაცხადა დაუშვებლად ქვემდებარების პრინციპის თანახმად.

28. სასამართლომ მიიჩნია, რომ ამოსალებინებელი საშუალებების გამოყენება, მორფინის ბაზაზე დამზადებული აპომორფინის ჩათვლით, წამოწევს მნიშვნელოვან საკონსტიტუციო საკითხებს, კერძოდ, ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებასა (კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი - იხ. ქვემოთ პუნქტი 32) და პროპორციულობის პრინციპთან მიმართებით, რაზეც სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოებს ჯერ არ უშველიათ.

29. ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელს არ გამოყენებია მის ხელთ არსებული შიდასამართლებრივი დაცვის ყველა საშუალება (alle prozessualen Möglichkeiten), რათა გაესაჩივრებინა ეს ზომა სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოებში და ამით თავიდან აცილებინა კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის პირველ წინადადებაში (um eine Verkennung von Bedeutung und Tragweite des Grundrechts des Art. 2 Abs. 2 Satz 1 GG zu verhindern) გადმოცემული ძირითადი უფლების მთავარი აზრის უგულებელყოფა.

30. მან აგრეთვე განაცხადა, რომ ამოსალებინებელი საშუალებების გამოყენება არ წარმოშობს რაიმე პრინციპულ წინააღმდეგობას არც კონსტიტუციის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტით დაცულ ადამიანური ღირსების პატივისცემასთან, არც თვითინკრიმინაციის საწინააღმდეგო პრინციპთან, რომელიც გარანტირებულია კონსტიტუციის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტით, 1-ლი მუხლის 1-ლ პუნქტთან ერთობლიობაში.

## II. შესაბამისი ეროვნული, შედარეგითი და საერთაშორისო სამართლი და პრაქტიკა

### 1. ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა

#### (ა) კონსტიტუცია

31. კონსტიტუციის 1-ლი მუხლის 1-ლ პუნქტში ნათქვამია:

## ჯალო გერმანიის წინააღმდეგ

„ადამიანის ღირსება ხელშეუხებელია. საჯარო ხელისუფლების ყველა ორგანო ვალდებულია, პატივი სცეს მას და დაიცვას იგი“.

32. განსახილველ საკითხთან მიმართებით, მე-2 მუხლი ითვალისწინებს შემდეგს:

„1. ყველას უნდა ჰქონდეს თავისუფალი პიროვნული განვითარების უფლება იმ პირობით, რომ ისინი არ შეეხებიან სხვათა უფლებებს ან დაარღვევენ კონსტიტუ-ციურ წესრიგს ან მორალურ კანონებს [Sittengesetz].

2. ყველას აქვს სიცოცხლისა და ხელშეუხებლობის უფლება. ...“

### **(b) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი**

33. განსახილველ საკითხთან მიმართებით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე (ა) მუხლი ამბობს:

„1. ბრალდებულის სამედიცინო შემოწმების ბრძანება შეიძლება გაიცეს სამარ-თალნარმობისთვის რელევანტური ფაქტების დადგენის მიზნით. ამ მხრივ, შე-მოწმების მიზნით, შესაძლებელია სისხლის ანალიზის აღება და სხვა ფიზიკური ჩარევა ექიმის მხრიდან, მედიცინის მეცნიერების წესების შესაბამისად, ბრალდე-ბულის თანხმობის გარეშე.

2. ამგვარი ბრძანების გაცემის უფლებამოსილება კანონის ფარგლებში აქვს მო-სამართლეს, ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც გაჭიანურებას შეუძლია საფრთხე შეუქმნას სამედიცინო შემოწმების წარმართვას, ეს უფლება ენიჭება პროკურა-ტურას ან მის დამხმარე აფიციალურ პირებს ...“

34. დაკითხვის აკრძალული მეთოდების შესახებ (verbotene Vernehmungsmetho- den) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე (ა) მუხლი ამბობს:

„1. ბრალდებულის მიერ გადაწყვეტილების მიღებისა და საკუთარი ნების გა-მოხატვის თავისუფლება არ უნდა შეიზღუდოს არასათანადო მოპყრობით, მიზ-ნობრივი დაუძლურებით, ფიზიკური ჩარევით, მედიკამენტების გამოყენებით, ნამებით, მოტყუებით ან ჰიპნოზით. ძალმომრეობის გამოყენება დასაშვებია იმ-დენად, რამდენადაც ამას უშვებს სისხლის სამართლოს საპროცესო კოდექსი. უნდა აღიკვეთოს ბრალდებულის დაშინება სისხლის სამართლის საპროცესო კო-დექსით დაუშვებელი ზომებით, ან წარმატების შანსის დაკარგვით, რასაც ითვა-ლისნინებს წესდება.“

2. არ უნდა დაიშვას ზომები, რომლებიც აქვეითებენ ბრალდებულის მახსოვრო-ბას ან გაგებას და მოცემულობის აღქმას [Einsichtsfähigkeit].

3. აკრძალვები 1-ლი და მე-2 ქვეპუნქტების ძალით უნდა მოქმედებდეს მაშინაც, რო-დესაც ბრალდებული განაცხადებს თანხმობას [შემოთავაზებულ ზომებზე]. ამ აკრ-ძალვათა დარღვევით მოპოვებული ჩვენებები არ მიიღება [მტკიცებულებად], მოუხე-დავად იმისა, რომ ბრალდებული, შესაძლოა, თავად დაეთანხმა მათ გამოყენებას.“

35. გერმანიის სისხლის სამართლის სასამართლოები და თეორეტიკოსი იუ-რისტები ვერ თანხმდებიან იმაზე, თუ რამდენად იძლევა სისხლის სამართლის

საპროცესო კოდექსის 81-ე (ა) მუხლი ამოსალებინებელ საშუალებათა გამოყენების უფლებამოსილებას ეჭვმიტანილ ნარკომოვაჭრესთან მიმართებით, რომელმაც დაპატიმრების დროს გადაყლაპა ნარკოტიკები.

36. გერმანიის სააპელაციო სასამართლოთა უმეტესობის შეხედულებით (იხ. *inter alia* ბრემენის სააპელაციო სასამართლოს 2000 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილება, NSTZ-RR 2000 ნ. გვ. 270, და ბერლინის სააპელაციო სასამართლოს 2000 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება, JR 2001 ნ. გვ. 162-64), შესაძლებელია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე (ა) მუხლის გამოყენება სამართლებრივ ბაზად, ამგვარ ვითარებებში ამოსალებინებელ საშუალებათა გამოყენებისათვის.

37. მაგალითისთვის, ზემოხსენებულ გადაწყვეტილებაში ბერლინის სააპელაციო სასამართლოს მოუწია ემსჯელა საქმეზე, სადაც ეჭვმიტანილი ნარკომოვაჭრე დათანხმდა მიეღო იპეკაუნას ნაყენი მას შემდეგ, რაც მას დაემუქრნენ ნაყენის ორგანიზმში შეყვანით ცხვირის ზონდის მეშვეობით, თუკი იგი უარს განაცხადებდა პრეპარატის მიღებაზე. სასამართლომ დაასკვნა:

„სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე (ა) მუხლის 1-ლი პუნქტის პირველი წინადადების თანახმად, ბრალდებულის სამედიცინო შემოწმების ბრძანება შეიძლება გაიცეს სამართალწარმოებისთვის რელევანტური ფაქტების დასადგენად....

(ა) მომჩივანის შეხედულებისაგან განსხვავებით, სამართალმცოდნეები ფაქტობრივად ერთსულოვნად თანხმდებიან, რომ ხსენებული დებულების გაებით, ბრალდებულის მიერ გადაყლაბული ნარკოტიკების ამოსალებად ამოსალებინებელი საშუალებების გამოყენება მოიცავს ფიზიკურ ჩარევას (იხ. HK-Lemke, StPO, მე-2 გამოცემა, პუნქტი 9; Dahs in Löwe Rosenberg, StPO, 24-ე გამოცემა, პუნქტი 16; KK-Senge, StPO, მე-4 გამოცემა, პუნქტები 6, 14; იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე (ა) მუხლთან დაკავშირებით, Rogall, SK StPO, 81-ე (ა) მუხლი, პუნქტი 48 და NSTZ 1998 ნ. გვ. 66-67, და Schaefer, NJW 1997 ნ. გვ. 24-37 და ა.შ. განსხვავებით - ფრანკფურტის სააპელაციო სასამართლო, NJW 1997 ნ. გვ. 1647 Weßblau-ს კომენტარით, StV 1997 ნ. გვ. 341).

ამგვარი ჩარევა ასევე არ ლახავს კონსტიტუციის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტით დაცულ ადამიანის ღირსებას, ან ამავე მუხლის კონტექსტში განხილული კონსტიტუციის მე-2 მუხლის 1-ლი ბუნქტით გარანტირებულ თვითინერიმინაციის საწინააღმდეგო პრინციპს. კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მესამე წინადადების თანახმად, ამ ძირითად უფლებებში ჩარევა დასაშვებია, თუ ამას აქვს კანონით დადგენილი საფუძველი. ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ რიგ შემთხვევებში უკვე დასაკვნა, რომ როგორც პარლამენტის მიერ დადგენილი საკანონმდებლო ნორმა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე (ა) მუხლი აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას ... მეტიც, მან უფრო კონკრეტულად დასაკვნა, რომ ამოსალებინებელი საშუალებების გამოყენება ხსენებულ დებულებაზე დაყრდნობით არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციის არცერთ პრინციპს (იხ. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, StV 2000 ნ. გვ. 1 - გადაწყვეტილება წინამდებარე საქმეზე). შესაბამისად, მან არ ჩათვალა საჭიროდ, დეტალურად განხეილა ფრანკფურტის (მაინის) სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოხატული მოსაზრება (NJW 1997 ნ. გვ. 1647-48), რომელსაც რიგ შემთხვევებში იზიარებენ თეორეტიკოსი იურისტები (იხ. Weßblau, StV 1997 ნ. გვ 341-42), ... რომ ამოსალებინებულ საშუალებათა გამოყენება უბიძგეს ბრალდებულს, წვლილი შეიტანოს თვითინერიმინაციაში და აქტიურად გააკეთოს ის, რაც არ სურს, სახელდობრ,

## ჯალო გერმანიის წინააღმდეგ

ამოაღებინოს ხსენებული სასამართლო ასევე არ იზიარებს [ფრანკფურტის სააპელაციო სასამართლოს] შესედულებას, რადგანაც ბრალდებულის უფლება, დარჩეს პასიური, არ გულისხმობს, რომ მან [მამაკაცი ან ქალი] მოითმინოს ჩარევა, რომელიც მხოლოდ უბიძებებს ორგანიზის უწებლიერ რეაქციისადმი....

(ე) ... ხსენებული სასამართლო არაა ვალდებული, გადაწყვიტოს, შეიძლება თუ არა ამოსაღებინებული საშუალების გამოყენებით მიღებული მტკიცებულების გამოყენება, თუკი ბრალდებულმა უარი თქვა თავის მოვალეობის შესრულებაზე, შეგუებოდა [დაწესებულ] ზომას, ხოლო მისი წინააღმდეგობა ზონდის ცხვირიდან შეყვანაზე გადაიღახა ფიზიკური ძალის გამოყენებით. წინამდებარე საქმეში ეს საკითხი არ განიხილება ... საოლქო სასამართლომ ... განაცხადა, რომ ფრანკფურტის (მაინის) სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ საქმის [ფაქტებზე] დაყრდნობით, ისიც გამორიცხავდა ამოღებული მტკიცებულების გამოყენებას ამ ზომის აშკარად არაპროპორციული ხასიათის გამო. თუმცა, ეს ცხადად და დამაჯერებლად აჩვენებს, რომ წინამდებარე საქმეში ფაქტები განსხვავებულია.”

38. თუმცა, თავის 1996 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში ფრანკფურტის (მაინის) სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე (ა) მუხლი არ იძლევა ამოსაღებინებული საშუალებების გამოყენების უფლებამოსილებას. საქმე ეხებოდა ეჭვმიტანილი ნარკომოვაჭრისათვის ზედმეტი დოზით იქცევაკუნას ნაყენის შეყვანასა ძალდატანებით, ცხვირის არედან, ზონდის მეშვეობით, და აპომორფინის გაკეთებას. სასამართლომ დაასკვნა:

„სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ფარავს ამოსაღებინებულ საშუალებათა იძულებითი გზით გამოყენებას. 81-ე (ა) მუხლიც კი არ ამართლებს ამოსაღებინებული საშუალების იძულებით მიღებას. პირველყოვლისა, ხსენებული დებულების მნიშვნელობით, ამოსაღებინებული საშუალებების გამოყენება არ არის არც სამედიცინო შემოწმება, არც ექიმის ფიზიკური ჩარევა გამოკვლევის მიზნით. უდავოდ, 81-ე (ა) მუხლის ძალით, შესაძლოა, დასაბუთდეს უცხო სხეულების ძიება ... თუმცა, ამოსაღებინებული საშუალება მისცეს არა უცხო სხეულების საძიებლად, არამედ საგნის ამოსაღებად - რომლის არსებობა, სულ ცოტა, სავარაუდო იყო - რათა ის შემდგომში მტკიცებულებად გამოიყენებინათ ... ეს მიზანი უფრო უკავშირდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 102, 94 მუხლების [და ა.შ.] ფარგლებში საგნის ძიებას ან ამოღებას, ვიდრე სამედიცინო შემოწმებას ... - მიუხედავად ამისა, ერთი შეხედვით, ეს დებულებები შესაძლო ზომის სახით არ ითვალისწინებენ ძალისმიერ ჩარევას პირად ხელშეუხებლობაში. ...

მეორეც, ბრალდებული არ არის სისხლის სამართლის პროცესის საგანი ... ამოსაღებინებულ საშუალებათა იძულებითი გამოყენება არღვევს ე.ნ. პასიურობის პრინციპის [Grundsatz der Passivität], რადგანაც მისი მიზანია, აიძულოს ბრალდებული, ქმედითად გააკეთოს ის, რის გაკეთებაც მას არ სურს, სახელდობრ, აღები № ეს არც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე (ა) მუხლითაა დაშვებული და არც შეესაბამება ბრალდებულის მდგომარეობას სისხლის სამართლის პროცესში. ...

შესაბამისად, საგამოძიებო ორგანოთა მიერ გატარებული ღონისძიებები არის უკანონო ჩარევა ბრალდებულის ხელშეუხებლობაში (კონსტიტუციის მე-2 მუხლის, 1-ლი პუნქტის პირველი წინადადება)....

ამოსალებინებელ საშუალებათა იძულებითი გამოყენება, რაიმე სახის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, ასევე არღვევს ვალდებულებას, დაცული იქნას ადამიანის ღირსება და ბრალდებულის ზოგადი პიროვნული უფლებები (კონსტიტუციის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტი და მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტი). ...

[ამ მეთოდით] მტკიცებულების მიღების აკრძალვა და საქმის სხვა გარემოებები ენინააღმდეგება ამ მტკიცებულების სასამართლოში გამოყენებას. ...“

39. მრავალი თეორეტიკოსი იურისტის თანახმად, სისხლის სამართლის 81-ე (ა) მუხლი იძლევა ამოსალებინებელი საშუალების გამოყენების უფლებას ეჭვ-მიტანილი ნარკომოვაჭრების მიმართ, მტკიცებულების მოპოვების მიზნით (იხ. ასევე 37-ე პუნქტში ნახსენები ავტორები). მაგალითისთვის, ამ შეხედულებას იზიარებს როგელი (Rogall) (NSTZ 1998 წ. გვ. 66-68 და Systematischer Kommentar zur Strafprozeßordnung und zum Gerichtsverfassungsgesetz, მიუნხენი 2005 წ. მუხლი 81 a StPO, პუნქტი 48) და კლეინკლეხტი (Kleinknecht) და მაიერ-გესნერი (Meyer-Goßner) (StPO, 44-ე გამოცემა, მუხლი 81(ა), პუნქტი 22 - ამოსალებინებელ საშუალებათა გამოყენება სერიოზულ დანაშაულებათა ძებისას).

40. თუმცა, თეორეტიკოს იურისტთა ძალზე დიდი ნანილი ჯერდება იმ აზრზე, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, სახელდობრ, 81-ე (ა) მუხლი, არ იძლევა ამოსალებინებელ საშუალებათა გამოყენების უფლებას. მაგალითისთვის, ამ შეხედულებას იზიარებს დალმაიერი (Dallmeyer) (StV 1997 წ. გვ. 606-10, და KritV 2000 წ. გვ. 252-59), რომელსაც მიაჩნია, რომ 81-ე (ა) მუხლი არ იძლევა ძიების უფლებას - განსხვავებით სამედიცინო შემოწმებისაგან - მსჯავრდებულის სხეულს შიგნით. ვეტერს (Vetter) (Problemschwerpunkte des § 81a StPO - Eine Untersuchung am Beispiel der Brechmittelvergabe im strafrechtlichen Ermittlungsverfahren, ნიურიდი 2000 წ. გვ. 72-82, 161) მიაჩნია, რომ ცხვირის არიდან ზონდის მეშვეობით ამოსალებინებელ საშუალებათა იძულებითი გამოყენება შეუთავსებელია მედიცინის მეცნიერების წესებთან, არამართლზომიერია და შეუძლია ზიანი მიაყენოს მსჯავრდებულის ჯანმრთელობას.

**(c) მედიცინის ექსპერტთა მოსაზრებები ეჭვმიტანილ ნარკომოვაჭრეთა მიმართ  
ამოსალებინებელ საშუალებათა იძულებით გამოყენებაზე**

41. სამედიცინო ექსპერტთა აზრები იყოფა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად გამართლებულია სამედიცინო თვალსაზრისით ამოსალებინებელი საშუალების იძულებით შეყვანა ცხვირიდან ზონდის მეშვეობით. მაშინ, როცა რიგ ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ამოსალებინებელი საშუალების გამოყენება აუცილებელია ეჭვმიტანილის ჯანმრთელობის დასაცავად, მიუხედავად ამ უკანასკენელის წინააღმდეგობისა ამგვარი ზომისადმი, სხვები ემხრობიან მოსაზრებას, რომ ასეთი ქმედება სერიოზულ საფრთხეს უქმნის მოცემული პირის ჯანმრთელობას და, შესაბამისად, არ უნდა გამოიყენონ.

42. ის სამედიცინო ექსპერტები, რომლებიც ემხრობიან ამოსალებინებელ საშუალებათა იძულებით გამოყენებას, აღნიშნავენ, რომ მაშინაც კი, როდესაც ეს ზომა, უპირველეს ყოვლისა, არ გამოიყენება სამედიცინო მიზნებისათვის, მას ამისდა მიუხედავად შეუძლია ალკვეთოს სიცოცხლისათვის საშიში შესაძლო ინტოქსიკაცია. გამომდინარე იქდან, რომ დაპატიმრებისას გადაყლაპულ ნარკო-

## ჯალო გერმანიის ნინაალმდეგ

ტიკთა შეფუთულობის ჰერმეტულობა ხშირ შემთხვევაში არასანდოა, სამედიცინო თვალსაზრისით, სასურველია ამოსალებინებელ საშუალებათა გამოყენება. ამგვარი მეთოდი წარმოშობს მცირე ხიფათს მაშინ, როდესაც უფრო დიდი რისკი აღიძრება, როცა ნარკოტიკებს საშუალება ეძლევათ, ორგანიზმი დატოვონ ბუნებრივი გზით. გადაყლაპული ნარკოტიკების კუჭიდან ამოლება შესაძლებელია ერთ, რიგ შემთხვევებში კი, ორ საათში. ამოსალებინებელი საშუალებების გამოყენება უსაფრთხო და სწრაფი მეთოდია (როგორც წესი, ამოსალებინებელი საშუალება შედეგს იღებს 15-დან 30 წუთში) ნარკოტიკებით ვაჭრობის დანაშაულის მტკიცებულების ამოსალებად, რადგან იშვიათია, რომ მან არ გაამართლოს. მიუხედავად იმისა, რომ ზონდის ცხვირში იძულებით შევვანამ, შესაძლოა, გამოიწვიოს ტკივილი, იგი არ არის სიცოცხლისათვის საშიში, რადგან გადაყლაპვის აქტის იძულება შესაძლებელია საყლაპავში მოთავსებული მილის მექანიკური გამაღიზიანებლით (იხ. *inter alia*, Birkholz, Kropp, Bleich, Klatt და Ritter, "Exkorporation von Betäubungsmitteln - Erfahrungen im Lande Bremen", Kriminalistik 4/97, გვ. 277-83).

43. იპეკაკუნას ამოსალებინებელ სიროფს აქვს უსაფრთხოების მაღალი დონე. შესაძლო გვერდითი მოვლენები შეიძლება მხოლოდ გამოიხატოს - ძილიანობის, კუჭის აშლის და განგრძობითი ღებინების ფორმით. იშვიათი, მაგრამ უფრო სერიოზული გართულებები მოიცავს ე.ნ. მელორი ვეისის სინდრომს (Mallory-Weiss syndrome) ან ასპირაციულ პნევმონიას. ეს შეიძლება მოხდეს, თუკი შესაბამის პირს [მამაკაცს ან ქალს] გადატანილი აქვს კუჭის ადრეული დაზიანებები, ან არ არის დაცული ამოსალებინებელ საშუალებათა გამოყენების წესები - კერძოდ, როდესაც პაციენტი სრულ მზადყოფნაშია და გონზეა - (იხ. მაგალითისთვის, ზემოთ ციტირებული Birkholz, Kropp, Bleich, Klatt and Ritter და Ritter, გვ. 278-81, და American Academy of Clinical Toxicology/European Association of Poisons Centres and Clinical Toxicologists, "Position Paper: Ipecac Syrup", Journal of Toxicology, Clinical Toxicology, კლინიკური ტოქსიკოლოგიის ამერიკის აკადემია / საწამლავების ცენტრებისა და კლინიკური ტოქსიკოლოგიის ევროპული ასოციაცია, „საანგარიშო მოხსენება: იპეკაკუს ნაყენი“, ტოქსიკოლოგიის, კლინიკური ტოქსიკოლოგიის ჟურნალი, 42-ე ტომი, № 2, 2004 წ. გვ. 133-34, სახელმძღვანელო, გვ. 141).

44. ის სამედიცინო ექსპერტები, რომლებიც გამოიდინ ამოსალებინებელ საშუალებათა იძულებითი გამოყენების ნინაალმდეგ, განსაკუთრებით აღნიშნავენ, რომ ასეთ საშუალებათა იძულებითი შეყვანა ცხვირიდან, ზონდის მეშვეობით, შეიცავს საფრთხეს ჯანმრთელობისათვის. მიუხედავად იმისა, რომ სასურველია, ეჭვმიტანილის ორგანიზმიდან ნარკოტიკების შეძლებისდაგვარად სწრაფი ამოდება, ცხვირის ზონდის ან რაიმე სხვა ძალისმიერი მეთოდის გამოყენება შესაძლოა სახიფათო აღმოჩნდეს, რადგან არსებობს რისკი, რომ გაიხვრითო შეფუთული პაკეტი და გამოიწვიოს პოტენციურად ფატალური შედეგი. მეტიც, თუკი ზონდი არამართებულადაა შეყვანილი, სითხე შესაძლოა გადაიღვაროს ფილტვებში და გამოიწვიოს გაგუდვა. იძულებითმა ამოლებინებამ აგრეთვე შეიძლება გამოიწვიოს ამოლებული მასის სასულეში გადაცდენა, რასაც მოსალოდნელია, რომ მოჰყვება გაგუდვა ან ფილტვების გაღიზიანება. შესაბამისად, ამოსალებინებელი საშუალებების იძულებითი გამოყენება არ შეიძლება იყოს გამართლებული სამედიცინო თვალსაზრისით საქმესთან დაკავშირებული პირის [ეჭვმიტანილის] თანხმობის გარეშე. ხოლო თუ ასეთი თანხმობა არ არსებობს, მტკიცებულების დაცვის ეს მეთოდი შეუსაბამო იქნება სამედიცინო ეთიკასთან - ამის ნათელი დადასტურებაა ამგვარი ზომის გამოყენების შედეგად ეჭვმიტანილის გარდაცვა-

ლების ფაქტი (იხ. *inter alia*, Odile Diamant-Berger, Michel Garnier and Bernard Marc, Urgences Médico Judiciaires, 1995 წ. გვ. 24-33; Scientific Committee of the Federal Medical Council - ფედერალური სამედიცინო საბჭოს სამეცნიერო კომიტეტი, 1996 წლის 28 მარტის საპასუხო მოხსენება ფედერალური საკონსტიტუციო სა-სამართლოს თხოვნაზე, შეეფასებინათ ამოსალებინებული საფრთხეები; და გერმანიის 105-ე სამედიცინო კონფერენციის /German Medical Conference/ მიერ მიღებული რეზოლუცია, ფედერალური სამედიცინო ასოციაციის საანგარიშო მოხსენება /Activity Report of the Federal Medical Association/, მე-3 პუნქტი).

**(d) ამოსალებინებულ საშუალებათა იძულებით გამოყენების პრაქტიკა გერმანიაში**

45. გერმანიის მიწებზე [Länder] არ არსებობს ნარკოტიკებით ვაჭრობის დანაშაულის დამატებულებით მტკიცებულების ამოსალები რამე ერთიანი პრაქტიკა. 1993 წლიდან, თექვსმეტიდან ხუთი მინა (ბერლინი, ბრემენი, ჰამბურგი, ჰესი და ქვედა საქსონია) რეგულარულად მიმართავს ამ ზომას. ეჭვმიტანილის სიკვდილის შემდეგ ზოგიერთმა მინამ შეწყვიტა ამ მეთოდის გამოყენება, თუმცა, სხვები კვლავაც სარგებლობებს ამ მეთოდით. შემთხვევათა უმეტესობაში, სადაც გამოიყენეს ამოსალებინებული საშუალებები, ეჭვმტანილებმა ამჯობინეს თავად გადაეყლაპათ ის, მას შემდეგ რაც ეცნობათ, რომ სხვა შემთხვევაში ამას იძულების გზით გააკეთებდნენ. სხვა მიწებზე ამოსალებინებული საშუალებები გამოიყენება არაძალის-მიერი გზებით, გარკვეულილად იმიტომ, რომ ექიმის რჩევის საფუძველზე, იგი ითვლება არამართლზომიერ და საშიშ ზომად, ხოლო ნაწილობრივ იმიტომ, რომ იგი არ ითვლება ნარკოდანაშაულთან ბრძოლის აუცილებელ საშუალებად.

46. გერმანიაში ორჯერ მოხდა ფატალური შემთხვევა, როცა ნაკომოვაჭრეებს ძალდატანებით შეუყვანეს იპეკაკუნას ნაყენი ცხვირის არედან კუჭში. 2001 წელს ჰამბურგში გარდაიცვალა კამერუნის მოქალაქე. გამოძიების თანახმად, მას გული გაუჩერდა, ამოსალებინებული საშუალების იძულებითი მიღებისგან გამოწვეული სტრესის შედეგად. 2005 წელს სიერა ლეონეს მოქალაქე გარდაიცვალა ბრემენში. გამოძიება მისი გარდაცვალების გარემონათა გარშემო ჯერ კიდევ არ დასრულებულა. სასწრაფო დახმარების ექიმისა და სამედიცინო ექსპერტის მოსაზრებით, განმცხადებელი დაიხრჩი ჰაერის უკმარისობის გამო, როდესაც წყალმა შეაღნია მის ფილტვებში. სისხლის სამართლებრივი გამოძიება დაუდევრობით გამოწვეული მკვლელობის გამო აღიძრა ექიმის მიმართ, რომელმაც შეიყვანა ამოსალებინებული საშუალება და წყალი ეჭვმიტანილის კუჭში, ასევე მის დასახმარებლად გამოძახებული სასწრაფო დახმარების ექიმის წინააღმდეგ.

47. ბრემენის უბედური შემთხვევის საფუძველზე, მინის [ბრემენი] მთავარმა პროკურორმა (Leitender Oberstaatsanwalt) ბრძანა ამოსალებინებული საშუალებების იძულებითი გამოყენების დროებით შეჩერება ბრემენის ტერიტორიაზე. გამოძიების შედეგების მოლოდინში, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სენატორებმა დააწესეს ახალი პროცედურა, რომლის თანახმად ნარკოტიკების გადაყლაპვაში ეჭვმიტანილ პირს ექიმმა უნდა მიუთითოს იმ რისკებზე, რაც შეიძლება მოჰყვეს ორგანიზმში დარჩენილ ნარკოტიკებს. ეჭვმიტანილმა თავად უნდა აირჩიოს, მიღოს ამოსალებინებული თუ საფალარათო საშუალება, თუკი სამედიცინო გამოკვლევა დაასკვნის, რომ ეს უსაფრთხოა მისი ჯანმრთელობისათვის. სხვა შემთხვევაში, იგი მოთავსდება საგანგებოდ აღჭურვილ საკანში, სანამ

## ჯალო გერმანიის წინააღმდეგ

ნარკოტიკების შემცველი პაკეტები ბუნებრივი გზით არ დატოვებენ ორგანიზმს.

### 2. საერთაშორისო საჯარო სამართალი, შედარებითი სამართალი და პრაქტიკა

(a) გაერო-ს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის საწინააღმდეგო კონვენცია

48. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის საწინააღმდეგო კონვენცია, მიღებული გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ 1984 წლის 10 დეკემბერს (რეზოლუცია 39/46), ამბობს:

#### **მუხლი 1 გვ. 1**

„ამ კონვენციის მიზნებისათვის, განსაზღვრება „წამება“ ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომლითაც რომელიმე პირს განზრას აყენებენ ძლიერ ტკივილს ან ტანჯვას, ფიზიკურს თუ სულიერს, რათა მისგან ან მესამე პირისაგან მიიღონ ინფორმაცია ან ალიარება; რათა იგი დასაჯონ ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა, ან კიდევ რომელის ჩადენაშიც იგი ეჭვმიტანილია; აგრეთვე დააშინონ ან აიძულონ იგი ან მესამე პირი; ან ნებისმიერი მიზნით, რომელსაც საფუძვლად უდევს ნებისმიერი ტიპის დისკრიმინაცია, როცა ასეთი ტკივილი და ტანჯვა პირს შიაყენა საჯარო მოხელემ ან მისი წაქეზებით, ნებართვითა თუ მდუმარე თანხმობით სხვა ოფიციალურმა პირმა. ამ განსაზღვრებაში არ იგულისხმება ტკივილი და ტანჯვა, რომელიც ახლავს მხოლოდ კანონიერ სანქციებს და ამ სანქციათა განუყოფელი ნაწილია.“

#### **მუხლი 15**

„თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ ნებისმიერი განცხადება, რომელიც, როგორც დადგინდა, გაკეთდა ხამების შედეგად, არ გამოიყენონ მტკიცებულებად ნებისმიერი სამართალწარმოებისას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი გამოიყენება პირის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალად ედება წამება, როგორც იმის მტკიცებულება, რომ ეს განცხადება გაკეთდა.“

#### **მუხლი 16 გვ. 1**

„თითოეული მონაწილე სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას, თავის იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ ტერიტორიაზე თავიდან აიცილოს სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის სხვა ქმედება, რომლებსაც არ მოიცავს პირველ მუხლში აღნიშნული წამების განსაზღვრება, როცა ამგვარ ქმედებას სჩადის საჯარო მოხელე ან - მისი წაქეზებით, ნებართვითა თუ მდუმარე თანხმობით - სხვა ოფიციალური პირი. სახელდობრ, ვალდებულებები, რომლებსაც შეიცავს მე-10, მე-11, მე-12 და მე-13 მუხლები გამოიყენება, ღლონდ მათში ნახსენები განსაზღვრება „წამება“ უნდა შეიცვალოს განსაზღვრებით „სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის სხვა სახეობანი.“

#### **(b) აშშ-ს სასამართლოების პრეცედენტული სამართლი**

49. საქმეში *Rochin v. California* (342 US 165(1952)) აშშ-ს უზენაესმა სასამართ-

ლომ სანინააღმდეგო გადაწყვეტილებით შეცვალა მოსარჩელეს მსჯავრდება ნარკოტიკების უკანონო შენახვის თაობაზე. ინფორმაციის საფუძველზე, რომ მოსარჩელე ნარკოტიკებით ვაჭრობდა, სამი სახელწიფო მოხელე შევიდა მის სახლში და ძალით შეიქრა საძინებელში. ისინი უშედეგოდ ეცადნენ, ძალით ამოელოთ ნარკოტიკების კაფსულები, რომლებიც მან აშვარად ჩაიდო პირში. ამის შემდეგ ოფიცირებმა იგი წაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც მისი ნების სანინააღმდეგოდ კუჭმი ზონდით შეუყვანეს ამოსალებინებელი საშუალება. მან ამოაღებინა ორი მორფინის შემცველი კაფსულა. წინააღმდეგობის მიუხედავად, აღნიშნული ჩაითვალა ნივთმტკიცებად. 1952 წლის 2 იანვარს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ მსჯავრდება განხორციელდა ისეთი მეთოდებით, რომლებიც ეწინააღმდეგება მე-14 შესწორებით დადგენილ მართებულ სამართლებრივ პროცედურებს.

50. სასამართლოს მოსაზრების გადმოცემისას ბ-ნმა მოსამართლემ [Justice - აშშ-ს უზენაესი სასამართლოს წევრი] ფრანკფურტერმა (Mr. Justice Frankfurter) აღნიშნა:

„თუ ამ ზოგად მსჯელობას მივუსადაგებთ წინამდებარე საქმის გარემოებებს, იძულებული ვიქებით დავასკვნათ, რომ სამართალწარმოება, რომლის საფუძველზეც ეს მსჯავრდება განხორციელდა, მეტი რომ არ შეიძლება ისე შეურაცხყოფს დანამშალის წინააღმდეგ საფუძვლითან ბრძოლასთან დაკავშირებულ ზიზღისადმი მგრძობელობას და პირად სენტიმენტებს. ეს სულის შემძვრელი ქმედებაა. მოსარჩელეს საკუთრებაში უკანონო შექრა, ძალის გამოყენება პირის გასაღებად და პირის ღრუბად რაღაცის გადმოსაგდებად, მისი კუჭის შიგთავსის იძულებითია ამოღება - სახელმწიფო აგენტების ამგვარი ქცევა მტკიცებულების მოსაპოვებლად უცილობლად შეურაცხყოფს გამობრძმედილ გრძნობებსაც კი. ეს მეთოდები ძალზე ახლოა წამებასთან იმისთვის, რომ დაიშვას კონსტიტუციური დიფერენციაცია.

უკვე დიდი ხანია, სიმართლეს არ შეესაბამება ის, რომ მართებული სამართლებრივი პროცედურა არის ყველაზე გაუაზრებელი გზა რელევანტური და სანდო მტკიცებულების მოსაპოვებლად. ეს არ შეესაბამებოდა სიმართლეს ამჟამად აღძრულ საქმეებამდეც, რომელთაც განამტკიცეს კონსტიტუციური პრინციპი, რომ შტატებს შეუძლიათ მსჯავრდება არ ააგონ აღიარებებზე, იმისდა მიუხედავად, რომ დასტურთა უმეტესობა იძულების გზითაა მიღებული. ... იმის დადასტურება, რომ ადამიანის მსჯავრდებისათვის პოლიციას არ შეუძლია ძალით ამოღოს ის, რაც მის ტვინშია, მაგრამ შეუძლია ძალით ამოღოს ის, რაც მის კუჭშია, იქნება კონსტიტუციის ისტორიის მანძილზე ამ სასამართლოზე დაკისრებული პასუხისმგებლობის დაკანინება.

რომ შევეცადოთ და წინამდებარე საქმეში გავმიჯნოთ ის, რასაც იურისტები ეძახიან „წინამტკიცებას“ ზეპირი მტკიცებულებისგან, ამით მოვახდეთ იმ მიზეზების იგნორირებას, რის გამოც გამორიცხულია იძულებითი აღიარება. არა-ნებაყოფლობითი ზეპირი აღიარების გამოყენება შტატის სისხლის სამართლის სასამართლო პროცესებზე არის კონსტიტუციურად მიღებელი, და არა მარტო მათი არასანდოობის გამო. ისინი მიღებელი არიან მართებული სამართლებრივი პროცედურის თანახმადაც, მოუხედავად იმისა, რომ მათში გაუღერებული განცხადებები დამოუკიდებელი შეფასებით შესაძლოა დადგინდეს, როგორც ჭეშმარიტება. იძულებითი აღიარება შეურაცხყოფს საზოგადოების მიერ აღქმულ სამართლიანი ქცევისა და წესიერების პრინციპს. ამდენად, სასტიკი ქცევის გამართლებით, რომელიც სრულიად ბურებრივად დაგმო სასამართლომ მის წინამ-

## ჯალო გერმანიის წინააღმდეგ

დებარე გადაწყვეტილებაში, ჩვენ სისასტიკეს შევმოსავდით მართლმასჯულების მანტიით. ამაზე მეტად ალბათ ვერაფერი ვერ ჩასახავდა კანონისადმი უნდობლობას და, შესაბამისად, გააშმაგებდა საზოგადოების მოთმინებას.“

51. საქმეში *State of Ohio v. Dario Williams* (2004 წ. WL 1902368 (ოპაიო, მე-8 საოლქო სასამართლო)), 2004 წლის 26 აგვისტოს ოპაიოს სააპელაციო სასამართლომ განაცხადა, რომ მსჯავრდებულის კუჭის დაცლა მისი წინააღმდეგობის მოუხედავად, არ ყოფილა უმიზეზო ძიება და ამოლება. მსჯავრდებული შენიშნეს ხელიდან ხელში გადაცემის მომენტში, რაც სახასიათოა ნარკოვაჭრობისთვის. როდესაც პოლიციის ოფიციელმა მსჯავრდებულს უხმეს თავიანთ მანქანასთან, მან რაღაც ჩაიდო პირში და გაიქცა. სასამართლოს აზრით, სააგადმყოფოს პირობებში ექიმის მიერ მსჯავრდებულის კუჭის დაცლა გამორჩევის გზით არ ყოფილა დაუსაბუთებელი ზომა, მოუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებული უხეში ძალადობით შეეწინააღმდეგა ამ პროცედურას და აუცილებელი გახდა მისი დაშოშმინება. მსჯავრდებულის პირში ჩადებულ და გადაყლაპულ კოკაინს შეეძლო საფრთხის ქვეშ დაეყენებინა მისი სიცოცხლე და თან განადგურდებოდა მტკიცებულება.

52. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრების გადმოცემისას ბ-ნმა მოსამართლემ თ.ე. მაკმონალმა (Mr Justice T.E. McMonagle) დაასკვნა:

„უილიამს მიივყავართ საქმესთან როჩინი კალიფორნიის წინააღმდეგ, 342 US 165 (1952), ... ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო საქმესთან იძულებით ძიებაზე.

...

21. თუმცა, როჩინის საქმე არ არის გადამწყვეტი. როჩინის მერე, ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე *Schmerber v. California*, 348 US 757 (1996), 86 S.Ct. 1826, 16 L.Ed.2d 908, სადაც პოლიციის ოფიციერმა სისხლის ანალიზის გაკეთება უბრძანა პირს, რომელზეც ეჭვობდა, რომ ავტომობილს მთვრალი მართავდა. ანალიზი გაკეთდებოდა იმავე საავადმყოფოში, სადაც იგი გადიოდა მკურნალობას საავტომობილო ავარიაში მიღებულ დაზიანებათა გამო. უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „მეოთხე შესწორების სათანადო მოქმედება არ გულისხმობს ყველა სახის ძალადობრივი შეზღვის, როგორც ასეთის, შეზღუდვას, არამედ მხოლოდ იმის, რომელიც არ არის გამართლებული გარემოებით, ან არასათანადო გზით ხორციელდება“. ... სასამართლომ დაადგინა, რომ მეოთხე შესწორება არ დარღვეულა და ჩამოაყალიბა რამდენიმე კრიტერიუმი, რომლებიც გასათვალისწინებელია იმის განსაზღვრისას, თუ რამდენად გონივრულია იძულებითი ძიება: 1) ხელისუფლება უნდა ფლობდეს რეალურ მინიშნებას, რომ მტკიცებულება ნაპოვნი იქნება; 2) პოლიციის ოფიციერს უნდა ჰქონდეთ დაკავების ბრძანება, ან უნდა შეიქმნას გადაუდებელი მდგომარეობა, როგორიცაა მტკიცებულების გარდაუკალი განადგურება, რათა გაამართლონ დაპატიმრების ბრძანების მოთხოვნები; და 3) მტკიცებულების ამოღების მეთოდი უნდა იყოს გონივრული და განხორციელდეს გონივრული გზით.

...

23. შმერბერის [საქმის] თავისებურებათა მისადაგებით, წინამდებარე საქმის ფაქტებთან ნათელი ხდება, რომ უილიამსის კუჭის დაცლა იყო კანონიერად წარმოებული მოძიებისა და ამოღების ღონისძიება. პირველ რიგში, ოფიციელმა უი-

ლიამსი შენიშნეს იმ ტერიტორიაზე, რომელიც ცნობილია, როგორც ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობისა და ნარკოტიკულ ნივთიერებათა ხელზე გაყიდვის ადგილი, რაც მიანიშნებს ამგვარ საქმიანობაზე. პოლიციელების დანახვაზე მან პირში ჩადო რაღაც, რაც ხელში ეჭირა და გაიქცა. მისმა საქციელმა პოლიციელებს მისცა “ცხადი მინიშნება”, რომ უილიამსმა პირში ნარკოტიკები დამატა. მეტიც, საესებით გონივრული იქნებოდა, პოლიციელებს დაქსვნათ, რომ უილიამსის სიცოცხლეს შეიძლებოდა საფრთხე დამუქრებოდა, როცა აღმოაჩინეს, რომ მას პირში მოსაწევი კოკაინი აქვს და შენიშნეს, როგორ ცდილობდა მის დაღეჭვასა და გადაყლაბვას. გარდა ამისა, უილიამს ანადგურებდა მტკიცებულებას, რომელიც მას ნარკოვაჭრობაში დაადანაშაულებდა. შესაბამისად, ეს საქმე ეცევა გადაუდებელი გარემოების ჭრილში, რომელიც ითვალისწინებს გამონაკლისს დაპატიმრების ბრძანების აუცილებლობის წესიდან.

**24. და ბოლოს, აშკარაა, რომ ძების საშუალებები და მეთოდი არ ყოფილა არაგონივრული. ფაქტები მიანიშნებენ, რომ ექიმმა უილიამს შესაბამისი პროცედურები ჩაუტარა საავადმყოფოს პირობებში, მიღებული პროცედურების შესაბამისად ...**

**25. შმერბერის საქმეში ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ მისაღებად გამოაცხადა ექიმის მიერ გონივრული მეთოდით ჩატარებული კვლევის მეთოდი. ექიმი, რასაცვირველია, უფრო კვალიფიცირებულია, ვიდრე პოლიციის ოფიცერი, რათა განსაზღვროს, თუ რა ზომითაა მოცემული პროცედურა საშიში სიცოცხლისათვის.**

**26. თუ ვივარაუდებთ, რომ [მსჯავრდებულმა] გადაყლაპა კოკაინი, ხოლო ნარკოტიკი შეფუთული იყო იმგვარად, რომ ვერ შეერეოდა შიდანანლავურ პროცესებს, მამინ, თავისთავად, ექიმი შეძლებდა [მსჯავრდებულის] კუჭის გამორეცხვას, რაც იქნებოდა გონივრული სამედიცინო პროცედურა და ნაკლებად ტრავმული ზომა, ვიდრე როჩინის საქმეში ძალდატანებით გამოწვეული ლებინება. კიდევ ერთხელ, ეს არის ისეთი ქმედება, რომელიც შმერბერის საქმეში ჩაითვალა უფრო გონივრულად, რადგან იგი შესრულდა საავადმყოფოში, სათანადო სამედიცინო მეთვალყურეობით.“**

### **(c) ამოსალებინებელ საშუალებათა გამოყენების პრაქტიკა ევროპის საპქოს წევრ სახელმწიფოები**

**53. მთავრობაში წარმოადგინა კვლევა, რომელსაც საფუძვლად დაედო ევროპის საბქოს წევრი სახელმწიფოების მთავრობათა წარმომადგენლებისგან მიღებული ინფორმაცია. სადაც მთავრობას ინფორმაცია არ მოუწოდებია, იგი მოიძია ამ ქვეყანაში არსებულმა გერმანიის საელჩომ. ამ კვლევის თანახმად, პრაქტიკაში ეჭვმიტანილ ნარკომოვაჭრეთა მიმართ ამოსალებინებელ საშუალებებს იძულებით იყენებენ ოთხ ქვეყანაში (ლუქსემბურგი, ნორვეგია, „ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია“ და გერმანია). ოცდაცამეტ ქვეყანაში გადაყლაპული ნარკოტიკების შემცველი პაკეტების ამოსალებად ამოსალებინებელი საშუალებები არ გამოიყენება ეჭვმიტანილთა სურვილის წინააღმდეგ (ალბანეთი, სომხეთი, ავსტრია, ბელგია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, კვიპროსი, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, საქართველო, საბერძნეთი, უნგრეთი,**

## ჯალო გერმანიის წინააღმდეგ

ისლანდია, ირლანდია, იტალია, ლატვია, ლიტვა, მალტა, მოლდოვა, ნიდერლანდები, პორტუგალია, რუმინეთი, რუსეთი, სერბია და მონტენეგრო, სლოვაკეთი, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, თურქეთი, უკრაინა და დიდი ბრიტანეთი). სამ ქვეყანაში (ხორვატია, პოლონეთი და სლოვენია) არსებობს სამართლებრივი ბაზა ამოსაღებინებელ საშუალებათა გამოყენებისათვის, მაგრამ ინფორმაცია, ხორციელდება თუ არა ეს პრაქტიკაში, არ მოუწოდებიათ. ამოსაღებინებელ საშუალებათა პრაქტიკაში გამოყენების შესახებ არაიაირო ინფორმაცია არ წარმოიდგენია ექვს წევრ ქვეყანას (ანდორა, აზერბაიჯანი, ბულგარეთი, ლიხტენშტეინი, სან მარინო და მონაკო).

54. განმცხადებელმა ნაწილობრივ გაასაჩივრა მთავრობის დასკვნები. მან აღნიშნა, რომ მთავრობის თანახმად, გერმანიის გარდა სხვა სამმა ქვეყანამ (ლუქსემბურგი, „ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია“ და ნორვეგია) დაუშვა ამოსაღებინებელ საშუალებათა გამოყენება ეჭვმიტანილ ნარკომავაჭრეთა მიმართ და ამ ზომას პრაქტიკაშიც იყენებდა. ამსათან, მან დასძინა, რომ მთავრობამ ვერ შეძლო წარმოედგინა რაიმე სახის დასტური იმისა, რომ ზემოხსენებულ სამ წევრ ქვეყანაში ამოსაღებინებელი საშუალებები გამოყენება იძულების გზით, ბრალდებულთა ნების საწინააღმდეგოდ. სახელმობრ, ნორვეგიასთან მიმართებით, განმცხადებელმა ეჭვევეშ დააყენა ის, რომ მისი შემთხვევის მსგავსად, ზონდის ძალდატანებით ცხვირის არედან შეყვანა [იქაც] კანონიერ ქმედებად ითვლება. რაც შეეხება ამოსაღებინებელ საშუალებათა გამოყენებას ხორვატიაში, პოლონეთსა და სლოვენიაში, განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მიუხედავად არსებული პრაქტიკისა, ამ ქვეყნებში არ არსებობდა რაიმე სამართლებრივი ბაზა ასეთი ზომის გამოყენებისათვის. შესაბამისად, გერმანია იყო ერთადერთი ხელშემკვრელი სახელმწიფო, რომელიც, ფაქტების თანახმად, რეალურად მიმართავდა ამ საკამათო ზომას. ყველა სხვა წევრ სახელმწიფოში ხელისუფლების ორგანოები ელიან, როდის დატოვებებს ორგანიზმს ნარკოტიკები ბუნებრივი გზით.

55. სასამართლოს წინაშე წარდგენილი სხვა მასაღები ადასტურებენ მხარეთა მტკიცებებს, რომ ამოსაღებინებელი საშუალებები არ გამოიყენება იძულებით კონვენციის მონაბილე რიგ ქვეყნებში, სადაც ჩატარდა კვლევა (ბელგია, ესტონეთი, საფრანგეთი, ირლანდია, ნიდერლანდები, ესპანეთი და დიდი ბრიტანეთი). ამ სახელმწიფოებში ხელისუფლების ორგანოები არ ერევიან მანამ, სანამ სარკოტიკები ბუნებრივი გზით არ დატოვებენ ორგანიზმს. რეგულარულად გამოიყენება საგანგებო საპირფარეშოები, სადაც ხდება გადაყლაპული ნარკოტიკების ამოღება და გასუფთავება. ამავდროულად, მასაღები ცხადყოფს, რომ ნორვეგიაში საგანგებო საპირფარეშოები (ე.წ. ტუალეტი პაქტო 500 - *Pacto 500 toilets*) ძირითადად გამოიყენება გადაყლაპული ნარკოტიკების ამოსაღებად თუმცა, ნორვეგიაში 1993 წლის ვიზიტისას წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი (CPT) გახდა მოწმე, თუ როგორ გამოიყენეს ამოსაღებინებელი საშუალება (მარილის ნაზავი) დაკავებულის მიმართ ოსლოს პოლიციის განცოფილებაში (იხ. ნორვეგიაში ვიზიტის შესახებ CPT-ს 1993 წლის ანგარიში, პუნქტი 25). პოლონეთთან მიმართებით კი ვერ დადასტურდა, პრაქტიკაში იყენებენ თუ არა ამოსაღებინებელ საშუალებებს იძულებით.

## სამართალი

### I. კონცენტის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

56. განმცხადებელმა განაცხადა, რომ მის მიმართ ამოსალებინებელი საშუალებების იძულების გზით გამოყენების შედეგად იგი დაექვემდებარა არაადამიანურ და ლირსების შემლახველ; მოპყრობას. განმცხადებელი დაეყრდნო კონვენციის მე-3 მუხლს, რომლის თანახმად:

„არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ლირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას.“

57. მთავრობამ გააპროტესტა ეს ბრალდება.

#### A. მხარეთა არგუმენტები

##### 1. განმცხადებელი

58. განმცხადებლის თანახმად, ამოსალებინებელ საშუალებათა ძალდატანებით გამოყენებამ მნიშვნელოვნად ხელყო მისი პირადი ხელშეუხებლობა და სერიოზული საფრთხის ქვეშ დააყენა მისი ჯანმრთელობა და აგრეთვე სიცოცხლე, რადგან გამოყენებულ ამოსალებინებელ საშუალებებს - იცეკაკუნას ნაყენი და აპომორფინი - შეიძლება ახლდეთ სიცოცხლისათვის საშიში გვერდითი მოვლენები. ეჭვმიტანილი არ დაეთანხმა თანამშრომლობას და ასეთ პირობებში მისთვის ცხვირში ზონდის ძალდატანებით შეყვანას შეეძლო დაეზიანებინა [მისი] ცხვირი, ყელი და საყლაპავი, ასევე გახეხეთქა ნარკოტიკების შემცველი პაკეტი მის კუჭში. ამოსალებინებელ საშუალებათა გამოყენების საშიშროება ნათლად გამოჩნდა, როდესაც მისი გამოისიხობით გერმანიაში უკვე ორი ეჭვმიტანილი გარდაიცვალა. ევრობის საბჭოს წევრი სახელმწიფოების დიდი ნაწილი და ამერიკის შეერთებული შტატები ამ მეთოდს უკანონოდ მიიჩნევს. ჩარევას არ ამართლებს სამედიცინო დახმარების მომიზეზება. პირიქით, იგი უფრო ზრდის რისკს, რომ ეჭვმიტანილი მოინამლოს მის მიერ გადაყლაპული ნარკოტიკებისგან. დემოკრატიულ საზოგადოებაში პატივს უნდა სცემდნენ ეჭვმიტანილის მხრიდან წინააღმდეგობის გამოხატვას მიმდინარე სამედიცინო მუჟრნალობის მიმართ და ეს ადამიანის თვითგამორკვევის უფლების შემადგენელი ნაწილია.

59. განმცხადებელი ასევე ამტკიცებდა, რომ ამოსალებინებელ საშუალებათა გამოყენება მიზნად ისახავდა დაშინებასა და დამცირებას მისი ადამიანური ლირსების სრული უფლებელყოფით. ის მეთოდი, რომლითაც იგი აიძულეს გაევლო სიცოცხლისათვის საშიში სამედიცინო პროცედურა, იყო ძალადობრივი, საწამებელი და დამამცირებელი. ის იმდენად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, რომ მოუწია ლებინება რამდენიმე პოლიციელის თვალწინ. პოლიციის დაწესებულებაში ყოფნისას მან თავი განსაკუთრებით მოწყვლად მდგომარეობაში იგრძნო.

60. მეტიც, განმცხადებელმა აღნიშნა, რომ საკამათო ზომის გატარებამდე ექიმს არავითარი ზეპირი გამოკითხვა არ ჩაუტარებია მისი სამედიცინი ისტორიისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. არც არანაირი სამედიცინ

## ჯალო გერმანიის წინააღმდეგ

დახმარება და ზედამხედველობა გაუწევიათ მისთვის მოგვიანებით ციხეში.

61. განმცხადებელმა ასევე განაცხადა, რომ მას მიაყენეს სხეულის დაზიანება, კერძოდ, კუჭს, რაც დაადასტურა ციხის საავადმყოფოში ჩატარებულმა გასტროსკოპიამ. ამასთან, მან განიცადა ფიზიკური და სულიერი ტანჯვა ამოსაღებინებელი საშუალებისა და მისი შემცველი ქიმიური ნივთიერებების ზემოქმედებისგან.

### **2. მთავრობა**

62. მთავრობის თანახმად, ამოსაღებინებელი საშუალებების იძულებით გამოყენებას შეეძლო გამოეწვია მხოლოდ უმნიშვნელო რისკი ჯანმრთელობისათვის. იპეკაცუნას ნაყენი არ არის საშიში ნივთიერება. სინამდვილეში მას აძლევენ ბავშვებს მონამვლის დროს. ძალზე ელასტიკური ზონდის შეყვანას განმცხადებლის ცხვირში არ შეეძლო მისი საფრთხეში ჩაგდება, იმის მიუხედავადაც, რომ მან ხსენებულ პროცედურას წინააღმდეგობა გაუწია. ასევე უსაფრთხო იყო აპომორფინის ინექციაც. განმცხადებლის მიერ აღნერილი გვერდითი მოვლენები შეეძლო გამოეწვია სადაც ამოსაღებინებელ საშუალებათა მხოლოდ რეგულარულ და არამიზნობრივ მოხმარებას. ის ფაქტი, რომ ამოსაღებინებელი საშუალებების ძალდატანებითი მიღების გამო ჰამბარუგსა და ბრემენში გარდაიცვალა ორი ნარკომოვაჭრე, არ იძლევა იმის დასკვნის საშუალებას, რომ ამ ტიპის პროცედურები, ზოგადად, სახიფათოა ჯანმრთელობისათვის. ხსენებული მეთოდი გამოუყენებიათ სხვა მრავალ შემთხვევაში ყოველგვარი ზედმეტი გართულებების გარეშე. ხელისუფლება ამ ღონეს მიმართავს მხოლოდ იმ მინებზე, სადაც ნარკოტიკებით ვაჭრობა საგანგაშო ზღვარს აღწევს. უმეტეს შემთხვევებში ეჭვმიტანილებმა ამოსაღებინებელ საშუალებათა ნებაყოფლობით მიღება არჩიეს მას შემდეგ, რაც გააფრთხილეს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში პრეპარატს იძულებით მიაღებინებდნენ. ჰამბარუგის შემთხვევაში მსჯავრდებულს ჰქონდა დაუდგენელი გულის დაავადება და მისთვის თანაბრად სარისკო იქნებოდა ნებისმიერი სხვა იძულებითი ზომისადმი გაძალიანება. ბრემენის საქმეში კი არ უნდა გამოირიცხოს, რომ მსჯავრდებული მოინამლა თავისით გადაყლაპული ნარკოტიკებით.

63. მთავრობამ აღნიშნა ისიც, რომ არსებობდა ნამდვილი და უცილობელი საფრთხე, რომ ნარკოტიკის შემცველ პაკეტს, რომლის შეფუთვაც არ იყო განსაზღვრული გრძელვადიანი ტრანსპორტირებისათვის, შეეძლო გაეუზონა და მოეწამლა განმცხადებელი. მიუხედავად იმისა, რომ ამოსაღებინებელი საშუალებები, პირველ რიგში, გამოიყენეს ნივთმტკიცების მოსაპოვებლად, ნარკოტიკების ამოღება განმცხადებლის კუჭიდან მაინც შეიძლება ჩაითვალოს აუცილებლობად სამედიცინო თვალსაზრისით. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების ნაწილი იყო განმცხადებლის დაცვა, ნარკოტიკების ამოღებინების პროცედურების გზით. მოცდა, სანამ ნარკოტიკები ბუნებრივი გზით გამოიყოფდა, იქნებოდა ნაკლებად ეფექტიანი გამოძიების მეთოდი, თუნდაც ნაკლებ დამამცირებელი, და, არსებიტად, შეეძლო საფრთხე შეექმნა მისი ჯანმრთელობისათვის. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ამოსაღებინებელ საშუალებათა გამოყენება მოზარდებში მხოლოდ ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტად განიხილება, თუკი იგი ეჭვმიტანილია ნარკოტიკების კომერციულ გაყიდვაში.

64. მთავრობის თვალსაზრისით, სადაც ზომა არ გადასცდენია იმ ფარგლებს, რაც აუცილებელი იყო ნარკოტიკებით ვაჭრობის მტკიცებულების მოსაპოვე-

ბლად. განმცხადებელს უვნებელი ამოსალებინებელი საშუალებები მისცა ექიმმა საავადმყოფოში Lege Artis დაცვით. მოცემულ ვითარებაში ამგვარი ზომა ვერ ჩაითვლება დამამცირებლად.

65. მთავრობამ შემდგომში დაამატა, რომ განმცხადებელს ამოსალებინებელი საშუალებები მიეცა მას შემდეგ, რაც საავადმყოფოში ექიმმა შეადგინა მისი ანამეზზი, კერძოდ, ზეპირად გამოკითხა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. იმავე ექიმმა გაუნია მეთვალყურეობა განმცხადებლისადმი ამოსალებინებელ საშუალებათა ჯეროვნად გამოყენების პროცედურას.

66. მთავრობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ არაფერი ადასტურებდა, მიადგა თუ არა ზიანი განმცხადებელს ამოსალებინებელ საშუალებათა მიღების შედეგად, ან განიცდიდა თუ არა შემდგომ ტკივილს. პროცედურის შემდეგ იგი უბრალოდ რამდენიმე საათს იყო მოთხოვთილი, ისიც ან აპომორფინის გავლენით, ან განეული წინააღმდეგობის გამო. სასამართლოში საქმის მოსმენისას, განმცხადებელი თავდაპირველად ამტკიცებდა, რომ მომდევნო პერიოდში მის ჯანმრთელობას მიადგა ზიანი. თუმცა, მას არ წარმოუდგენია არანაირი დოკუმენტური მტკიცებულება ამ ვარაუდის გასამყარებლად.

## B. სასამართლოს შეფასება

### 1. შესაბამისი პრინციპები

67. სასამართლოს მკაფიოდ ჩამოყალიბებული პრეცედენტული სამართლის თანახმად, არასათანადო მოპყრობამ უნდა მიაღწიოს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს, რათა მოექცეს მე-3 მუხლის ფარგლებში. სისასტიკის ამ მინიმალური ზღვრის შეფასება ფარდობითია. იგი დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე, როგორიცაა, მაგალითად, მოპყრობის ხანგრძლივობა, მისი ფიზიკური და გონებრივი ზემოქმედება და რიგ შემთხვევებში დაზარალებულის სქესი, ასაკი თუ ჯანმრთელობის მდგომარეობა (იხ. *inter alia*, Price v. the United Kingdom, საქმე № 33394/96, პუნქტი 24, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო /ECHR/ 2001-VII; Mouisel v. France, საქმე №. 67263/01, პუნქტი 37, ECHR 2002-IX; და Naumenko v. Ukraine, საქმე №. 42023/98, პუნქტი 108, 2004 წლის 10 თებერვალი). ბრალდებები არასათანადო მოპყრობაზე უნდა მყარდებოდეს შესაბამისი მტკიცებულებით (იხ. *mutatis mutandis*, Klaas v. Germany, 1993 წლის 22 სექტემბერი, პუნქტი 30, სერია A, საქმე № 269). ამ მტკიცებულების შესაფასებლად, სასამართლო იღებს „გონივრულ ეჭვს მიღმა“ მტკიცების სტანდარტს. თუმცა, დასქენს, რომ ამგვარი მტკიცებულება უნდა გამომდინარეობდეს საკმარისად მყარი, აშენა და ერთსულვაზი დასკვნების თანაარსებობიდან ან ამგვარი არანინააღმდეგობრივი ფაქტების პრეზუმციოდან (იხ. Ireland v. the United Kingdom, 1978 წლის 18 იანვარი, პუნქტი 161 ბოლო, სერია A, საქმე № 25, და Labita v. Italy [დიდი პალატა], საქმე № 26772/95, პუნქტი 121, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2000-IV).

68. სასამართლომ მოპყრობა მიიჩნია „არაადამიანურად“, რადგან *inter alia* იგი იყო წინასწარ განზრახული, გაგრძელდა საათების მანძილზე და გამოიწვია როგორც სხეულის დაზიანება, ასევე ღრმა ფიზიკური და სულიერი ტკივილი (იხ. ზემოხსენებული ლაბიტას საქმე /Labita/, პუნქტი 120). მოპყრობა ითვლება „ლირსების შემდახველად“, როდესაც იგი თავისი შინაარსით დაზარალებულებში იწვევს შიშის, წვალებისა და დამცირებულობის გრძნობებს, რასაც შეუძლია მათი

## ჯალო გერმანიის წინააღმდეგ

შეურაცხყოფა და ლირსების შელახვა, ისევე როგორც ფიზიკური და მორალური წინააღმდეგობის გრძნობის გატეხვა (იხ. Hurtado v. Switzerland 1994 წლის 28 იანვარი, კომისიის გადაწყვეტილება, პუნქტი 67, სერია A, საქმე № 280). ან როდესაც ის იყო იმგვარი, რომ უბიძგა დაზარალებულს, ემოქმედა საკუთარი ნებისა და სინდისის სანინააღმდეგოდ (მაგალითისთვის იხ. Denmark, Norway, Sweden and the Netherlands v. Greece (ე.წ. „ბერძნული საქმე“ “Greek case”) №№: 3321/67, 3322/67, 3323/67 და 3344/67, კომისიის 1969 წლის 5 ნოემბრის მოხსენება, მე-12 წელიწ-დეული, გვ. 186, და Keenan v. the United Kingdom, საქმე № 27229/95, პუნქტი 110, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2001-III). ასევე, განსჯისას - არის, თუ არა მოპყრობა „ლირსების შემლახველი“ მე-3 მუხლის ფარგლებში, ერთ-ერთი ფაქტორთაგანი, რასაც სასამართლო გაითვალისწინებს არის ის, იყო თუ არა მისი საგანი შესაბამისი პირის დამცირება და მისი ლირსების შელახვა, თუმცა ამგვარი მიზეზის არარსებობას არ შეუძლია საბოლოო ჯამში გამორიცხოს მე-3 მუხლის დარღვევის დადგენა (იხ. Raninen v. Finland, 1997 წლის 16 დეკემბერი, პუნქტი 55, Reports of Judgments and Decisions 1997-VIII; Peers v. Greece, საქმე № 28524/95, პუნქტები 68 და 74, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2001-III; და ზემოთ მოყვანილი პრაისის საქმე /Price/, პუნქტი 24). იმისთვის, რომ დასჯა ან მასთან დაკავშირებული მოპყრობა ჩაითვალოს „არაადამიანურად“ ან „ლირსების შემლახველად“, მიყენებული ტანჯვა ან დამცირება ნებისმიერ შემთხვევაში უნდა სცილდებოდეს ტანჯვისა და დამცირების იმ უცილობელ შემადგენელ ელემენტს, რაც უკავშირდება მოპყრობისა თუ დასჯის მოცემულ კანონიერ ფორმსა (იხ. La-bita, ციტირებულია ზემოთ, პუნქტი 120).

69. დაპატიმრებული პირის მიმართ, მისი ნების სანინააღმდეგოდ, სამედიცინო ჩარევის გამოყენებისას კონვენციის მე-3 მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოს, დაიცვას თავისუფლებადლენების მე-3 მუხლის დაცვის ქვეშ, რომლის მოთხოვნებიც არ უშევებს გადახვევას (Mouisel, ციტირებულია ზემოთ, პუნქტი 40, და Naumenko, პუნქტი 112). ზომა, რომელიც სამედიცინო პრაქტიკის პრინციპებიდან გამომდინარე გამოწვეულია მკურნალობის აუცილებლობით, არსებითად, ვერ ჩაითვლება არაადამიანურად და ლირსების შემლახველად (კერძოდ, იხ. Herczegfalvy v. Austria, 1992 წლის 24 სექტემბერი, პუნქტი 82, სერია A, საქმე ” 244, და ზემოხსენებული Naumenko, პუნქტი 112). მაგალითისთვის, ასეთი რამ შეიძლება ითქვას იძულებით კვებაზე, რომ ეს ემსახურება რომელიმე კერძო პატიმრის სიცოცხლის გადარჩენას, რომელიც შეგნებულად ამბობს უარს საკვების მიღებაზე. მიუხედავად ამისა, სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ დამაჯერებლად წარმოჩენილი სამედიცინო აუცილებლობა სახეზეა და რომ გადაწყვეტილების პროცედურული გარანტიები, მაგალითად, იძულებით კვება, არსებობს და შესაბამისობაშია (იხ. Nevmerzhitsky v. Ukraine, საქმე № 54825/00, პუნქტი 94, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, 2005-II).

70. იქაც, სადაც ეს არ არის განპირობებული სამედიცინო აუცილებლობით, კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლები, როგორც ასეთი, არ კრძალავენ სამედიცინო პროცედურის ჩატარებას ეჭვმიტანილის წინააღმდეგობის მიუხედავად, რათა მისგან მიიღონ მტკიცებულება სისხლის სამართლის დანაშაულში მისი მონაწილეობის შესახებ. ამრიგად, კონვენციით შექმნილმა ორგანოებმა რიგ შემთხვევებში დაადგინეს, რომ დანაშაულის გამოძიების მიზნით, სისხლისა და ნერწყვის

სინჯების აღებას ეჭვმიტანილის ნების საწინააღმდეგოდ, არ დაურღვევია ხსენებული მუხლები მათ მიერ განხილულ საქმეთა გარემოებებში (იხ. *inter alia*, X v. the Netherlands, საქმე № 8239/78, კომისიის 1978 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებები /Decisions and Reports (DR) 16/, გვ. 187-89, და Schmidt v. Germany (dec.), საქმე № 32352/02, 2006 წლის 5 იანვარი).

71. მიუხედავად ამისა, იძულებითი სამედიცინო ჩარევა სისხლის სამართლის დანაშაულის მტკიცებულების მოპოვების მიზნით უნდა იყოს დამარჩმუნებლად დასაბუთებული, კონკრეტული საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით. ეს განსაკუთრებით მართებულია, როდესაც ღონისძიება მიზნად ისახავს პირის ორგანიზმიდან საკუთრივ იმ დანაშაულის ნამდვილი ნივთმტკიცების ამოღებას, რომელშიც მას ედება ბრალი. ამგვარი ქმედების განსაკუთრებულად იძულებითი ბუნება მოითხოვს არსებულ გარემოებათა განსაკუთრებული ყურადღებით შესწავლას. ამ მიმართებით, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ჩადენელი დანაშაულის სერიოზულობას. ხელისუფლების ორგანოებს ასევე მართებთ აჩვენონ, რომ მათ გაითვალისწინეს მტკიცებულების ამოღების ალტერნატიული მეთოდებიც. ამასთან, ღონისძიებას თან არ უნდა ახლდეს რამე საშიშროება, რამაც შეიძლება დააზიანოს ეჭვმიტანილის ჯანმრთელობა (იხ. *mutatis mutandis*, Nevmerzhitsky-ს საქმე, ციტირებულია ზემოთ, პუნქტები 94 და 97, და Schmidt).

72. მეტიც, რაც შეეხება პირის მიმართ თერაპევტული მიზნებით განხორციელებულ ჩარევას, მისი ორგანიზმიდან მტკიცებულების ამოსაღებად იძულებითი სამედიცინო პროცედურა იმგვარად უნდა ჩატარდეს, რომ არ გასცდეს სისასტეკის მინიმალურ ზღვარს, რაც დადგენილია კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით. სახელდობრ, გასათვალისწინებელია, განიცდის თუ არა პირი სერიოზულ ფიზიკურ ტაივილს ან ტანჯვას იძულებითი სამედიცინო ჩარევის შედეგად (იხ. Peters v. the Netherlands, საქმე № 21132/93, კომისიის 1994 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება, DR 77-B; Schmidt-ის საქმე, ციტირებულია ზემოთ; და Nevmerzhitsky, პუნქტები 94 და 97).

73. კიდევ ერთი საკითხი, რაც განსახილველია მსგავს საქმეებში: ტარდება თუ არა იძულებითი სამედიცინო პროცედურა ექიმის ნებართვითა და ხელმძღვანელობით, ან იმყოფებოდა თუ არა პირი მუდმივი სამედიცინი მეთვალყურეობის ქვეშ? (მაგალითისთვის იხ. Iljikov v. Bulgaria, საქმე № 33977/96, კომისიის 1997 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება, არასაანგარიშო).

74. გარდა ამისა, რელევანტურია იმის გარკვევა, დასრულდა თუ არა იძულებითი სამედიცინო ჩარევა პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით, ან განვრძობადი თანმდევი შედეგებით (იხ. Iljikov-ის საქმე, ციტირებულია ზემოთ და *mutatis mutandis* Krastanov v. Bulgaria, საქმე № 50222/99, პუნქტი 53, 2004 წლის 30 სექტემბერი).

## 2. ხსენებული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმესთან მიმართებით

75. სასამართლო თავშივე აღნიშნავს, რომ მთავრობის თვალსაზრისით, განმცხადებლის კუჭიდან ნარკოტიკების ამოღება ამოსაღებინებელი საშუალებების გამოყენებით შეიძლებოდა განხილულიყო, როგორც აუცილებელი, სამედიცინო თვალსაზრისით, რადგან არსებობდა მონამვლის შედეგად სიკვდილის რისკი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ყველა ეროვნულმა სასამართლომ გაიზიარა ის შეხედულება, რომ ამოსაღებინებელი საშუალებების გამოყენების ბრძანების

## ჯალო გერმანიის წინააღმდეგ

დროს ხელისუფლება ხელმძღვანელობდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე (ა) მუხლზე დაყრდნობით. ხსენებული დებულება ავალდებულებს გამომძიებელ ორგანოებს, გასცენ სხეულში შეღწევის ბრძანება, რომელსაც ეჭვმიტანილის ნებართვის გარეშე განახორციელებს ექიმი, რათა ამოილონ მტკიცებულება, იმის გათვალისწინებით, რომ ეჭვმიტანილის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება. მიუხედავად ამისა, 81-ე (ა) მუხლი არ ითვალისწინებს ზომებს, რაც ეჭვმიტანილის ჯანმრთელობას ააცილებს უცილობელი საფრთხის საშიშროებას. მეტიც, უდავოა, რომ ამოსაღებინებელი საშუალებები ისე გამოიყენეს, რომ წინასწარ არ შეუფასებიათ ის საფრთხეები, რაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა ნარკოტიკების შემცველი პაკეტების განმცხადებლის ორგანიზმში დარჩენას. მთავრობამ ასევე განაცხადა, რომ ამოსაღებინებელი საშუალებები არასოდეს გამოიყენება მოზარდი ნარკოდილერების მიმართ, თუკი ისინი ეჭვმიტანილი არ არიან ნარკოტიკების კომერციულ გაყიდვაში. თუმცა, მოზარდი დილერები საჭიროებენ არანაკლებ სამედიცინო მეთვალყურეობას, ვიზრე უფროსები. თავის მხრივ, უფროსი დილერები იმავე რისკის ქვეშ ექცევიან, როგორც მოზარდი დილერები, როცა მათ მიმართ გამოიყენება ამოსაღებინებელი საშუალებები. შესაბამისად, სამართლო უკმაყოფილოა, რომ საგამოძიებო ორგანოების გადაწყვეტილება სადაც ზომის დაშვებაზე განპირობებული და გამართლებული იყო სამედიცინო მიზეზებით, რაც ნიშნავს განმცხადებლის ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებას. სინამდვილეში კი მიზნად ისახავდა ნარკოტიკებით ვაჭრობის დანაშაულის მტკიცებულების დაცვას.

76. თავის მხრივ, ეს მოსაზრება არ ამართლებს იმ დასკვნას, რომ საკამათო ჩარევა ეწინააღმდეგება მე-3 მუხლს. როგორც ზემოთ აღინიშნა (იხ. ზემოთ პუნქტი 70), სასამართლომ რამდენიმე შემთხვევაში დაადგინა, რომ პრინციპში კონვენცია არ კრძალავს იძულებით სამედიცინო ჩარევას, თუ ის დაეხმარება ჩადენილი დანაშაულის გამოძიებაში. მიუხედავად ამისა, მტკიცებულების მოპოვების მიზნით, პირის ფიზიკურ ხელშეუხებლობაში ნებისმიერი ჩარევა უნდა გახდეს უმკარესი შემოწმების საგანი, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება შემდეგ ფაქტორებს: რა მოცულობით გახდა აუცილებელი იძულებითი სამედიცინო ჩარევა მტკიცებულებათა მოსაპოვებლად; რისკები ეჭვმიტანილის ჯანმრთელობისათვის; პროცედურის შესრულების მანერა და ამისგან გამოწვეული ფიზიკური თუ სულიერი ტკივილი, არსებული სამედიცინო ზედამხედველობის დონე და ზეგავლენა ეჭვმიტანილის ჯანმრთელობაზე (საევე შეადარე და განასხვავე ანალოგიურ შემთხვევებში ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოთა მიერ დაწესებული პრაქტიკა - იხ. ზემოთ პუნქტები 51-52). კონკრეტული საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით, ჩარევამ არ უნდა გადააჭარბოს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს, რაც ამგვარ ქმედებას მე-3 მუხლის ფარგლებში მოაქცევდა. ახლა სასამართლო სათითაოდ განიხილავს ყველა ამ ელემენტს.

77. იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოცულობით გახდა აუცილებელი იძულებითი სამედიცინო ჩარევა მტკიცებულებათა მოსაპოვებლად, სასამართლო აღნიშნავს, რომ ნარკოტიკებით ვაჭრობა სერიოზული დანაშაულია. მისთვის ნათელია ამ პრობლემის სამწვავე, რასაც ეჯახებიან ხელშემკვრელი სახელმწიფოობი და ცდილობენ, ნინ აღუდგნენ ზიანს, ნარკოტიკებით მომარაგებას რომ ახლავს საზოგადოებისთვის (სახელმწიფო 1997-III). თუმცა, წინამდებარე საქმეში სადაც ზომის გამოიყენების ბრძანებამდე და გამოიყენებამდე ნათელი იყო, რომ ქუჩის დილერი, რომლის მი-

მართაც ამ ზომას მიმართეს, ნარკოტიკებს ინახავდა პირის ღრუში და სათანადო მასშტაბურად ვერ ვაჭრობდა. ეს აისახა სასჯელშიც (პირობითი მსჯავრი ერთი წლის ვადით და საპრობაციო ზედამხედველობა), რაც ამგვარ სასჯელთა შორის ყველაზე მინიმალურია. სასამართლო იზიარებს მიდგომას, რომ გამომძიებელთათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა გასაყიდი ნარკოტიკების რაოდენობისა და ხარისხის დადგენას. მიუხედავად ამისა, იგი უკამაყოფილოა იმით, რომ წინამდებარე საქმეში მტკიცებულების მოსაპოვებლად აუცილებელი აღმოჩნდა ამოსალებინებულ საშუალებათა იძულებით გამოყენება. გამომძიებელ ორგანოებს შეეძლოთ უბრალოდ მოეცადათ, თუ როდის გამოყოფოდა ნარკოტიკი ორგანიზმიდან ბუნებრივი გზით. წინანდობლივია, რომ ევროპის საბჭოს ბევრი წევრი სახელმწიფო ამ მეთოდს იყენებს ნარკოტიკებთან დაკავშირებულ დანაშაულთა გამოსაძიებლად.

78. სამედიცინო ჩარევის თანმდევ რისკებთან მიმართებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის საკამათო თემაა, თუ რამდენად შეუქმნა განმცხადებლის ჯანმრთელობას რისკი ცხვირის არედან ზონდით იშევაკუნას ნაყენის შეყვანამ და აპომორფინის ინექციამ. არის თუ არა ასეთი ზომები სახიფათო, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა (იხ. პუნქტები 41-44), სადაც საკითხია მედიცინის ექსპერტებისთვისაც. მაშინ, როდესაც ზოგიერთი ხსენებულს მიიჩნევს სრულიად უვნებელ და ეჭვმიტანილის ინტერესებში შემაგალ ზომად, სხვები ასაბუთებენ, რომ კერძოდ ცხვირის ზონდის გამოყენება ამოსალებინებელ საშუალებათა იძულებით შესაყვანად, შეიცავს სერიოზულ საფრთხეს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის და, შესაბამისად, უნდა აიკრძალოს. სასამართლოს არ აქმაყოფილებს მტკიცება, რომ ამოსალებინებელ საშუალებათა იძულებით გამოყენება - პროცედურა, რომელიც დღევანდები მდგომარეობით დასრულდა ორი სასიკვდილო შედეგით მოპასუხე სახელმწიფოში - შეიცავს უმნიშვნელო საფრთხეს ჯანმრთელობისათვის. ამასთან დაკავშირებით იგი აგრეთვე შენიშნავს, რომ ძალის რეალური გამოყენება - ძალის უმნიშვნელო გამოყენების საპირისპიროდ - აუცილებელი გახდა მოპასუხე სახელმწიფოებში მხოლოდ საქმეთა მცირე ნაწილში, რომლებშიც კი ამოსალებინებელ საშუალებებს მიმართეს. მოუხედავად ამისა, ფატალური შემთხვევები დაფიქსირდა საქმეებში, სადაც გამოიყენებოდა ძალისმიერი მეთოდი. მეტიც, ის ფაქტი, რომ ევრმანიის მიწების უმეტესობაზე და ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების უმეტესობაში ხელისუფლების ორგანოები ერიდებიან ამოსალებინებელ საშუალებათა იძულებით გამოყენებას, გვიბიძგებს ვიფიქროთ, რომ ამგვარი ზომა მოიაზრებს საფრთხეს სიცოცხლისათვის.

79. რაც შეეხება ამოსალებინებელ საშუალებათა გამოყენების მანერას, სასამართლო აღნიშნავს, რომ მათ ნებაყოფლობით მიღებაზე უარის შემდეგ, განმცხადებელი ძირს დააგდო ოთხმა პოლიციელმა, რაც აჩვენებს, რომ მის მიმართ გამოიყენეს სისასტიკის ზღვართან მიახლოებული იძულება. შემდეგ, მისი ფიზიკური და გონებრივი წინააღმდეგობის დასაძლევად, ცხვირის გავლით კუჭში შეიცვანეს ზონდი. ეს, წესით, გამოიწვევდა ტკივილსა და შიშს. ამას გარდა, განმცხადებლის ნების საწინააღმდეგოდ, განხორციელდა მორიგი იძულებითი ფიზიკური ჩარევა, რაც გამოიხატა სხვა ამოსალებინებელი საშუალების ინექციით. გასათვალისწინებელია განმცხადებლის სულიერი ტანჯვა, სანამ ამოსალებინებელი საშუალებები დაინტებდნენ მოქმედებას. ამ დროს იგი გაკავებული ჰყავდათ პოლიციის ოფიცრებს და იმყოფებოდა მათი და ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ. ამ ვითარებაში იძულებითი ღებინება, სავარაუდო, შეურაცხმყოფელი უნდა ყოფილიყო მისთვის. სასამართლო არ იზიარებს მთავრობის მოსაზრებას, რომ ორგანიზმიდან ნარკოტიკე-

## ჯალო გერმანიის წინააღმდეგ

ბის ბუნებრივი გზით გამოყოფის ცდა ასევე დამამცირებელი იქნებოდა. მართალია, ასეთი საქციელი ერთგვარი ჩარევაა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში, რადგან ზედამხედველობას საჭიროებს, მაგრამ იგი უკავშირდება სხეულის ბუნებრივ ფუნქციონირებას და, ამდენად, ახლავს მნიშვნელოვნად ნაკლები ჩარევა პირის ფიზიკურ და გონებრივ ხელშეუხებლობაში, ვიდრე იძულებით სამედიცინო ჩარევას (იხ. *mutatis mutandis*, ზემოსხენებული Peters და Schmidt).

80. რაც შეეხება სამედიცინო მეთვალყურეობას ამოსალებინებელ საშუალებათა გამოყენებაზე, სასამართლო აღნიშნავს, რომ სადაც ზომა ექიმმა განახორციელა საავადმყოფოს პირობებში. აგრეთვე, პროცედურის ჩატარების შემდეგ განმცხადებელი დაათვალიერა ექიმმა და გამოაცხადა პატიმრობისათვის ვარგისად. თუმცა, მხარეთა შორის დავის საგანია ის, შეადგინეს თუ არა განმცხადებლის ანამნეზი ლონისძიების განხორციელებამდე, რათა გარკვეულიყო, რა ზიანს მიაყენებდა მის ჯანმრთელობას ამოსალებინებელ საშუალებათა გამოყენება მისი თანხმობის გარეშე. რადგან განმცხადებელი გაუძალიანდა ამოსალებინებელ საშუალებათა მიღებას და, ამასთან, ლაპარაკობდა არა გერმანულად, არამედ დამტვრეული ინგლისურით, დასაშვებია, რომ მას არ შეეძლო ან არ სურდა ეპასუხა კითხვებზე, რომელიც დაუსვა ექიმმა, ან გაევლო წინასწარი სამედიცინო შემოწმება. მთავრობას არ წარმოუდგენია არავითარი დოკუმენტური ან რაიმე სხვა მტკიცებულება ამის სხვაგვარად წარმოსაჩენად.

81. რაც შეეხება სადაც ზომის გავლენას ეჭვმიტანილის ჯანმრთელობაზე, სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეები ვერ თანხმდებიან, მიიღო თუ არა განმცხადებელმა რაიმე გრძელვადიანი დაზიანება, სახელდობრ, კუჭის. მის ხელთ არსებულ მასალებზე დაყრდნობით, სასამართლო ასკვის, რომ ვერ დადგინდა, რამდენად უკავშირდება ამოსალებინებელ საშუალებათა ძალდატანებით მიღებას, დაკავებიდან ორთვე-ნახევრის შემდეგ, კუჭთან დაკავშირებული გართულებების მკურნალობა ციხის საავადმყოფოში ან სხვა ტიპის სამედიცინო დახმარება. ეს დასკვნა, რასაკვირველია, არ აყენებს კითხვის ქვეშ სასამართლოს ზემოსხენებულ მოსაზრებას, რომ იძულებითი სამედიცინო ჩარევა არ განხორციელებულა განმცხადებლის ჯანმრთელობისთვის შესაძლო საფრთხის გარეშე.

82. საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ სადაც ზომამ მიაღწია სისასტიკის იმ მინიმალურ ზღვარს, რაც საკმარისია მისი მე-3 მუხლის ფარგლებში მოსაქცევად. ხელისუფლების ორგანოები, განმცხადებლის ნების სანინააღმდეგოდ, უხეშად ჩაერივნენ მის ფიზიკურ და გონებრივ ხელშეუხებლობაში. მათ გამოიწვიეს იძულებითი ღებინება, არა თერაპევტული მიზანით, არამედ მტკიცებულების მოსაპოვებლად, რაც ნაკლებად ძალადობრივი მეთოდებითაც შეიძლებოდა. შესაძლებელია, რომ მანერა, რომლითაც სადაც ზომა განხორციელდა, განმცხადებელში აღძრავდა შიშის, წამებისა და დაუცველობის განცდას, რასაც, თავის მხრივ, შეეძლო მისი შეურაცხყოფა და დამცირება. მეტიც, პროცედურას თან სდევდა რისკი განმცხადებლის ჯანმრთელობისათვის, თუნდაც იმიტომ, რომ წინასწარ სათანადოდ არ შეუდგენიათ ანამნეზი. მართალია, ეს არ იყო მიზანმიმართული ზომა, მაგრამ შესრულდა იმგვარად, რომ განმცხადებელს მიაყენა როგორც ფიზიკური, ასევე სულიერი ტკივილი. შესაბამისად, მე-3 მუხლის სანინააღმდეგოდ, განმცხადებელი დაექვემდება არაადამიანურ და ლირსების შემლახველ მოპყრობას.

83. აქედან გამომდინარე, სასამართლო ასკვის, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

## II. კონვენციის მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევა

84. განმცხადებლის საჩივრის თანახმად, ამოსალებინებელ საშუალებათა იძულებითმა გამოყენებამ გამოიწვია არაპროპორციული ჩარევა მისი პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში. იგი დაეყრდნო კონვენციის მე-8 მუხლს, რომლის შესაბამისი ნაწილები გვამცნობენ:

„1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად ... ცხოვრებას ...

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბა- მისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტე- რესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთე- ლობის ან ზნეობისა თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.”

85. მთავრობა არ დაეთანხმა ამ ბრალდებას.

86. სასამართლომ უკვე განიხილა განმცხადებლის საჩივარი ამოსალებინე- ბელ საშუალებათა გამოყენებაზე კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში. თავისი დასკვნის გათვალისწინებით, რომ დაირღვა ხსენებული დებულება, სასამართლო ადგენს, რომ მე-8 მუხლის ფარგლებში ამ საკითხის განხილვა საჭირო აღარა.

## III. კონვენციის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევა

87. განმცხადებელმა ასევე მიიჩნია, რომ ამოსალებინებელი საშუალებების გამოყენებით მოპოვებული ნივთმტკიცების სასამართლო პროცესზე გამოყენე- ბით დაირღვა მისთვის კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლია- ნი სასამართლო განხილვის უფლება. კერძოდ, იგი ჩიოდა, რომ დაირღვა მისი უფლება, არ მოახდინოს თვითინკრიმინაცია. მე-6 მუხლის შესაბამისი ნაწილი ითვალისწინებს, რომ:

„ განსაზღვრისას ... წარდგენილი სისხლის სამართლებრივი ნებისმიერი ბრალდე- ბის ... გამორკვევისას ყველას აქვს..... სამართლიანი ... განხილვის უფლება ... სასამართლოს მიერ“.

88. მთავრობამ გააპროტესტა ეს შეხედულება.

### A. მხარეთა არგუმენტები

#### 1. განმცხადებელი

89. განმცხადებლის აზრით, ამოსალებინებელ საშუალებათა გამოყენება იყო უკა- ნონო და დაარღვია კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლები. რადგანაც ამ სახით მოპო- ვებული მტკიცებულება გახდა მსჯავრდების ერთადერთი საფუძველი, შესაბამისად, მის წინააღმდეგ წარმართული სისხლის სამართლის პროცესიც იყო უსამართლო.

90. შემდგომში განმცხადებელმა აღნიშნა, რომ მისი იძულებით, ამოელო დანა-

## ჯალო გერმანიის წინააღმდეგ

შაულის მტკიცებულება მისივე ნების საწინააღმდეგოდ, ხელისუფლების ორგანოებმა დაარღვეის მისი უფლება, არ მოეხდინა თვითინკრიმინაცია და, აქედან გამომდინარე, საქმის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებაც. თვითინკრიმინაციის საწინააღმდეგო პრინციპი არ შემოიფარგლება იძულების გზით მიღებული ჩვენებებით, არამედ ვრცელდება ამგვარად ამოლებულ საგნებზეც. მეტიც, მისი საქმის ფაქტობრივი გარემოებები განსხვავდება იმათვან, რასაც ვხვდებით საქმეში *Saunders v. the United Kingdom* (1996 წლის 17 დეკემბერი, მოხსენებები 1996-VI). სისხლისა და დნმ-ის (DNA) ანალიზების აღებასთან დაკავშირებული საქმეებისგან განსხვავებით, რომლებსაც სასამართლო მოუხმობს წინააღმდებარე საქმეში გადაწყვეტილების გამოტანისას, მტკიცებულების მოპოვების მიზნით ამოსაღებინებელ საშუალებათა გამოყენება გულისხმობს ქიმიური შენარჩურების მოხმარებას, რამაც სხეული მიყყანა არაბუნებრივ და უნებლივ მოქმედებამდე. მისი უარი ამოსაღებინებელ საშუალებათა მიღებაზე, გადაილახა საგრძნობი ძალის გამოყენებით. ამდენად, ამოლებული მტკიცებულება არ არსებობდა დამოუკიდებლად, მისი ნების გარეშე, და იგი აიძულეს აქტიური წვლილი შეეტანა თვითინკრიმინაციის პროცესში. ამოსაღებინებელ საშუალებათა გამოყენება შეიძლება შევადაროთ ე.ნ. სიმართლის შრატის გამოყენებას აღიარების მოპოვების მიზნით, რასაც სრულიად ცალსახად კრძალავს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე (ა) მუხლი. თავისი საჩივრის გასამყარებლად, განმცხადებელი დაეყრდნო ფრანკფურტის (მაინის) სააპელაციო სასამართლოს 1996 წლის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილებას.

## **2. მთავრობა**

91. მთავრობის თვალსაზრისით, განმცხადებლის მიმართ ამოსაღებინებელ საშუალებათა გამოყენება არ ენინააღმდეგება კონვენციის არც მე-3 და არც მე-8 მუხლს. აქედან გამომდინარე, ამგვარად მოპოვებული ნარკოტიკების შემცველი პაკეტების მტკიცებულებად გამოყენება განმცხადებლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის პროცესში ამ პროცესს უსამართლოს არ ხდის. განმცხადებლის გასამართლებისა და გადაწყვეტილების გამოტანისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მის მიერ გაყიდული ნარკოტიკების ზუსტი შემადგენლობის, რაოდენობისა და ხარისხის დადგენის პროცედურას.

92. გარდა ამისა მთავრობამ განაცხადა, რომ ადამიანის უფლება, არ მოახდინოს თვითინკრიმინაცია, მხოლოდ და მხოლოდ კრძალავს პირის იძულებას, იმოქმედოს საკუთარი ნების წინააღმდეგ. დებნების პროვოცირებას მოჰყევა ორგანიზმის ის რეაქცია, რასაც ვერ მართავს ინდივიდის ნება და, შესაბამისად, არ არის აკრძალული თვითინკრიმინაციის საწინააღმდეგო პრინციპით. ასე რომ, ეჭვმიტანილი არ უიძულებიათ, აქტიურად შეეწყო ხელი მტკიცებულების გადარჩენისთვის. ბრალდებულის თავდაპირველი უარი ამოსაღებინებელ საშუალებათა მიღებაზე ვერ ჩაითვლება ჯეროვან მიზეზად. ასე რომ იყოს, ყველა საგამოძიებო საშუალება, რომელიც მიზნად ისახავს ეჭვმიტანილის ნების გადალახვას მტკიცებულების მოსაპოვებლად, როგორიცაა, მაგალითად, სისხლის ანალიზის იძულებითი აღება ან სახლის ჩხრეება, უბრალოდ აიკრძალებოდა.

93. მეტიც, მთავრობამ აღნიშნა, რომ ზემოხსენებულ *Saunders*-ის საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ამოსაღებინებელ საშუალებათა იძულებითი გამოყენებით მოპოვებული სამხილი ჩაითვალა მისაღებ მტკიცებულებად. თუკი სამხილად შესაძლებელი იყო ორგანიზმის სითხეებისა და უჯრედების

გამოყენება, მით უფრო შესაძლებელი უნდა ყოფილიყო იმ საგნების გამოყენება, რომლებიც არ მიეკუთვნება მსჯავრდებულის სხეულის ნაწილს. მეტიც, ამოსა-ლებინებელ საშუალებათა გამოყენება, რაც განმცხადებელს უბრალოდ მშვიდად უნდა მიეღო, ვერ შეედრება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე (ა) მუხლით აკრძალული ე.წ. სიმართლის შრატის გამოყენებას, რამაც გატეხა ეჭვმიტანილის გადაწყვეტილება, არ მიეცა ჩვენება.

## B. სასამართლოს შეფასება

### 1. სასამართლოს პრეცედენტული სამართლით ჩამოყალიბებული ზოგადი პრინციპები

94. სასამართლო კვლავაც ხაზს უსვამს თავის მოვალეობას, უზრუნველყოს კონვენციის ხელშემქრელ მხარეთა ვალდებულებების შესრულება კონვენციის მე-19 მუხლის თანახმად. კერძოდ, მის ფუნქციაში არ შედის ფაქტებსა თუ კანონში ეროვნული სასამართლოს მიერ სავარაუდოდ დაშვებულ შეცდომათა განხილვა, თუკი რაღაც ზომით არ დაირღვა კონვენციით გარანტირებული უფლებები და თავისუფლებები. მე-6 მუხლით გარანტირებულია სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება, თუმცა, იგი, როგორც ასეთი, არ ადგენს რამიერ წესს მტკიცებულების დასაშვებობაზე. ეს უკანასკნელი, უმთავრესად, ეროვნული კანონმდებლობით უნდა რეგულირდებოდეს (იხ. Schenck v. Switzerland, 1988 წლის 12 ივლისი, პუნქტები 45-46, სერია A, № 140, და Teixeira de Castro v. Portugal, 1998 წლის 9 ივნისი, პუნქტი 34, მოხსენებები 1998-IV).

95. შესაბამისად, სასამართლოს არ ევალება განსაზღვროს, შეიძლება თუ არა დასაშვები იყოს კონკრეტული მტკიცებულება - მაგალითად, ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, უკანონოდ მოპოვებული მტკიცებულება, ან მართლაც დამნაშავეა თუ არა განმცხადებელი. კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს, შემდეგია: იყო თუ არა სამართლიანი სამართლნარმოების მთელი პროცესი, მტკიცებულებათა მოპოვების გზების ჩათვლით? ეს ასევე მოიცავს სადაც „უკანონობაზე“ მსჯელობას და, თუ მოიაზრება კონვენციის სხვა უფლების დარღვევა, ამ დარღვევის ბუნების განსაზღვრას (იხ. *inter alia*, Khan v. the United Kingdom, საქმე № 35394/97, პუნქტი 34, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2000-V; P.G. and J.H. v. the United Kingdom, საქმე № 44787/98, პუნქტი 76, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2001-IX; და Allan v. the United Kingdom, საქმე № 48539/99, პუნქტი 42, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2002-IX).

96. იმის განსაზღვრისას, იყო თუ არა სამართლნარმოების მთელი პროცესი სამართლიანი, გასათვალისწინებელია ისიც, თუ რამდენად მოხდა დაცვის უფლებების პატივისცემა. კერძოდ, შესამოწმებელია, რამდენად მიეცა განმცხადებელს საშუალება, ხელისუფლების ორგანოების წინაშე გაესაჩივრებინა მტკიცებულების სანდოობა და შეწინააღმდეგებოდა მის გამოყენებას. ამასთან, გასათვალისწინებელია მტკიცებულების ხარისხი და ისიც, თუ რამდენად აღძრავს ეჭვს იმ გარემოებათა სანდოობა და სიზუსტე, რომელებშიც ის მოპოვეს. რამდენადაც არ არის აუცილებელი, დადგეს სამართლიანობის პრობლემა, როცა მოპოვებული მტკიცებულება არ არის გამყარებული სხვა მასალებით, შეიძლება აღინიშნოს, რომ თუ მტკიცებულება ძალიან მყარია და არ არსებობს მის სანდოობაში დაეჭვების რისკი, შესაბამისად მცირდება დამხმარე მტკიცებულებათა

## ჯალო გერმანიის წინააღმდეგ

საჭიროება (იხ. *inter alia* Khan-ის საქმე, ციტირებულია ზემოთ, პუნქტები 35 და 37, და Allan, პუნქტი 43).

97. მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანობის ზოგადი მოთხოვნები მიესადაგება ყველა სისხლის სამართალწარმოებას, იმისდა მიუხედავად, თუ რა სახის დანაშაულზე საუბარი. თუმცა, იმის განსაზღვრისას, რამდენად სამართლიანი იყო სამართალწარმოების მთელი პროცესი, გასათვალისწინებელია საზოგადოებრივი ინტერესის მნიშვნელობა კონკრეტული დანაშაულის გამოძიებასა და დასჯაში. იგი უნდა გახდეს ინდივიდის პირადი ინტერესის საპირონო, რომ მტკიცებულებები ამ პირს წინააღმდეგ შეგროვდეს კანონიერად. თუმცა, საზოგადოებრივი ინტერესების საკითხებს არ შეუძლიათ გაამართონ ის ზომები, რომლებიც აღემატება განმცხადებლის დაცვის უფლების სიღრმისეულ არსს, კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული თვითინკრიმინაციის საწინააღმდეგო პრივილეგიის ჩათვლით (იხ. *mutatis mutandis*, Heaney and McGuinness v. Ireland, საქმე № 34720/97, პუნქტები 57-58, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2000-XII).

98. სახელდობრ, რაც შეეხება მსჯელობას კონვენციის დადგენილ დარღვევაზე, სასამართლო შენიშვნავს, რომ განსაკუთრებით Khan-ისა (Khan v. the United Kingdom, ციტირებულია ზემოთ, პუნქტები 25-28) და P.G. and J.H.-ს (P.G. and J.H. v. the United Kingdom ციტირებულია ზემოთ, პუნქტები 37-38) საქმეებში მან დაადგინა, რომ საიდუმლო მოსამენი მონყობილობების გამოყენება არღვევდა მე-8 მუხლს, რადგან ამგვარი აპარატურის გამოყენებისთვის არ არსებობდა სათანადო საფუძვლები ეროვნულ კანონმდებლობაში, ხოლო განმცხადებლის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევა ასევე “კანონის ფარგლებს მიღმა” ექცეოდა. მიუხედავად ამისა, ამგვარად მიღებული ინფორმაციის მტკიცებულებად მიღება ამ საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, არ ეწინააღმდეგება მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გარანტირებულ სამართლიანობის მოთხოვნებს.

99. თუმცა, მტკიცებულებას, რომელიც მე-3 მუხლის დარღვევითაა მოპოვებული, სხვადასხვა მოსაზრება შეიძლება მიესადაგოს. კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებასთან დაკავშირებით შეიძლება დადგეს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის საკითხი მაშინაც კი, როდესაც ასეთი მტკიცებულება არ ყოფილა გადამწყვეტი მსჯავრდებისათვის (იხ. İçöz v. Turkey (dec.) საქმე № 54919/00, 2003 წლის 9 იანვარი, და Koç v. Turkey (dec.), საქმე № 32580/96, 2003 წლის 23 სექტემბერი). ამასთან დაკავშირებით, სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ მე-3 მუხლი იცავს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ ღირებულებას. ყველაზე რთულ ვითარებებშიც კი, როგორიცაა ბრძოლა ტერორიზმთან და ორგანიზებულ დანაშაულთან, კონვენცია აბსოლუტური მნიშვნელობით კრძალავს წამებასა და არაადამიანურ ან ლირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას. განსხვავებით კონვენციისა და №1 და 4 ოქმების სხვა არსებით დებულებათაგან, მე-3 მუხლი არ ითვალისწინებს გამონაკლისებს და დაუშვებლად მიიჩნევს მისგან გადახვევას მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, თვით საგანგებო მდგომარეობის დროსაც კი, როცა საფრთხე ემუქრება ხალხის სიცოცხლეს (იხ. *inter alia*, Chahal v. the United Kingdom, 1996 წლის 15 ნოემბერი, პუნქტი 79, მოხსენებები 1996-V, და Selmouni v. France [დიდი პალატა], საქმე № 25803/94, პუნქტი 95, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 1999-V).

100. რაც შეეხება დუმილის უფლებისა და თვითინკრიმინაციის წინააღმდეგ პრივილეგიის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას, სასამართლო შენიშვნას, რომ ეს არის ზოგადად აღიარებული საერთაშორისო სტანდარტები, რომლე-

ბიც საფუძვლად უდევს მე-6 მუხლით დადგენილ სამართლიანი პროცედურის იდეას. მათი ლოგიკური საფუძველია *inter alia* ბრალდებულის დაცვა ხელისუფლების ორგანოების მხრიდან არასათანადო იძულებისგან, რითაც გამოირიცხება უსამართლობა და შესრულდება მე-6 მუხლის მიზნები. კერძოდ, ადამიანის უფლება, არ დაიდანაშაულოს თავი, ითვალისწინებს საქმეში სისხლის სამართლებრივი დევნით ბრალდებულის წინააღმდგ ბრალის დამტკიცებას ისე, რომ მისგან მტკიცებულებას არ მოიპოვებენ იძულებით ან ზენოლის მეთოდების გამოყენებით, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ (იხ. *inter alia*, ზემოთ ციტირებული *Saunders*, პუნქტი 68; *Heaney and McGuinness*, პუნქტი 40; *J.B. v. Switzerland*, საქმე № 31827/96, პუნქტი 64, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2001-III; და ზემოთ ციტირებული *Allan*, პუნქტი 44).

101. იმის განხილვისას, უგულებელყვეს თუ არა თვითინკრიმინაციის წინააღმდეგ პრივილეგიის ძირითადი არსი, სასამართლომ უნდა შეისწავლოს იძულების ბუნება და ხარისხი, უნდა გამოიკვლიოს პროცედურებში შესაბამისი გარანტიების არსებობა და ამგვარად მოპოვებული მასალების გამოყენების ხარისხი (მაგალითისთვის იხ. *Tirado Ortiz and Lozano Martin v. Spain* (dec.), საქმე № 43486/98, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 1999-V; ზემოთ ციტირებული *Heaney and McGuinness*, პუნქტები 51-55; და ალანი /*Allan*/, პუნქტი 44).

102. ამასთან, სასამართლომ დაადგინა, რომ უფლება, პირმა არ მოახდინოს თვითინკრიმინაცია, პირველ რიგში, ნიმუშავს ბრალდებულის დუმილის უფლების პატივისცემას. კონვენციის ხელშემკრები მხარეების და სხვათა სამართლებრივ სისტემებში არსებული საყოველთაო გაგებით, ეს პრინციპი არ ვრცელდება სისხლის სამართალწარმოებაში იმ მასალების გამოყენებაზე, რომლებიც მოპოვებულია იძულების წესით, თუმცა არსებობენ ბრალდებულის ნებისგან დამოუკიდებლად, როგორიცაა *inter alia* შესაბამისი ნებართვით ამოღებული დოკუმენტები, სუნთქვის, სისხლის, შარდის, თმის ან ხმის ნიმუშები და ორგანიზის ქსოვილები, საჭირო დნმ-ს ანალიზისთვის (იხ. ზემოთ ციტირებული *Saunders*, პუნქტი 69; *Choudhary v. the United Kingdom* (dec.), საქმე № 40084/98, 1999 წლის 4 მაისი; ზემოთ მოყვანილი *J.B. v. Switzerland*, პუნქტი 68; *P.G. and J.H. v. the United Kingdom*, პუნქტი 80).

## **2. სენებული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმესთან მიმართებით**

103. იმის განსაზღვრისას, იყო თუ არა ამ პრინციპების ფონზე განმცხადებლის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის პროცესი სამართლიანი, სასამართლო თავიდანვე აღნიშნავს, რომ განმცხადებლის მიმართ ამოსალებინებელ საშუალებათა გამოყენებით მოპოვებული მტკიცებულება არ მიუღიათ „არაკანონიერად“, ეროვნული კანონმდებლობის დარღვევით. ამასთან დაკავშირებით იგი იხსენებს, რომ ეროვნული სასამართლოების დასკვნით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე (ა) მუხლი იძლეოდა იძულებითი ზომის გამოყენების უფლებას.

104. სასამართლომ ზემოთ დაადგინა, რომ მე-3 მუხლის არსებითი დებულებების საწინააღმდეგოდ, განმცხადებელი დაექვემდებარა არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპორიბას, როდესაც გადაყლაპული ნარკოტიკების იძულებით ამოსალებად მის მიმართ გამოიყენეს ამოსალებინებელი საშუალებები. ამგვარად, სისხლის სამართალწარმოებისას განმცხადებლის წინააღმდეგ გამოყენებული მტკიცებულება მოპოვებულ იქნა კონვენციით გარანტირებული ერთ-

## ჯალო გერმანიის წინააღმდეგ

ერთი ძირითადი უფლების პირდაპირი დარღვევით.

105. როგორც ზემოთ აღნიშნა, სისხლის სამართლნარმოებისას მე-3 მუხლის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების გამოყენება აღძრავს სერიოზულ კითხვებს პროცედურების სამართლიანობაზე. სასამართლოს წინამდებარე საქმეში არ დაუდგენია, რომ განმცხადებელი დაექვემდებარა წამებას. მისი აზრით, თვითინკრი-მინაციით მიღებულ მტკიცებულებას - იქნება აღიარების ფორმით, თუ რეალური სახით - არასოდეს უნდა დაეფუძნოს მსხვერპლის ბრალუელობის მტკიცება (მუხ-დავად მისი დამატებულელი ლირებულებისა), თუკი იგი მოპოვებულია ძალადობის ან სისასტიკის ან სხვა ამგვარი მოპყრობის შედეგად, რაც შეიძლება შეფასდეს წამებად. ნებისმიერი სხვა დასკვნა შეიძლება ემსახუროს მორალურად გაუმართ-ლებელი ქმედების ირიპ ლეგიტიმაციას, რაც კონვენციის მე-3 მუხლის ავტორების თანახმად, ასაკრძალია, ან როგორც ეს მშვენივრად აისახა ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმეზე Rochin (იხ. ზემოთ პუნქტი 50), [ამით ჩვენ], „სისასტიკეს შეემოსავდით მართლმასჯულების მანტიით“. ამასთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის საწინააღმდეგო კონვენციის მე-15 მუხლი ამბობს, რომ წამების შედეგად გაკეთებული განცხადებები არ უნდა იქნას გამოყენებული წამების მსხვერპლის წინააღმდეგ მტ-კიცებულების სახით სისხლის სამართლის პროცესზე.

106. მიუხედავად იმისა, რომ მოპყრობას, რომელსაც განმცხადებელი დაე-ქვემდებარა, არ მიუღწევია წამების აქტებისათვის დამახასიათებელ სამარცხევინო დონეზე, იგი აღნიშნულ ვითარებაში მივიდა სისასტიკის იმ მინიმალურ ზღვრამდე, რასაც მოიცავს მე-3 მუხლის აკრძალვათა სფერო. არ უნდა გამოი-რიცხოს, რომ კონკრეტული საქმის ფაქტებზე მიზანმიმართული არასათანადო მოპყრობით (რომელიც არ უტოლდება წამებას) მოპოვებული მტკიცებულების გამოყენებამ უსამართლოდ წარმართოს განმცხადებლის წინააღმდეგ საქმის სა-სამართლო განხილვა, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად სერიოზული დანაშაულია სავარაუდო ჩადენილი, რამდენად დამამძიმებელია მტკიცებულება და რა პირობები იყო შექმნილი იმისთვის, რომ დაზარალებულს გაესაჩივრებინა მათი [მტკიცებულების] აღიარება და გამოყენება სასამართლო პროცესზე.

107. წინამდებარე საქმეში კითხვა, თუ რამდენად შეუძლია არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობად შეფასებული ქმედებით მოპოვებულ მტკიცე-ბულებას ავტომატურად აქციოს სასამართლო პროცესი უსამართლოდ, შეიძლება დარჩეს ღიად. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლისათვის ტკივილისა და ტანჯების მიყენება რომც არ ყოფილიყო ხელისუფლების ორგანითა მიზანი, მაინც მტკიცებულება მოიპოვეს იმ მეთოდით, რომელმაც დაარღვია კონვენციით გარანტირებული ერთ-ერთი ძირითადი უფლება. ამასთან, მხარეები თანხმდებო-დნენ იმაზე, რომ იძულების გზით ამოღებული ნარკოტიკები იყო ძირითადი შე-მადგენელი განმცხადებლის მსჯავრდების უზრუნველსაყოფად. მართალია ისიც, რაც ასევე არც ერთ მხარეს არ გაუსაჩივრებია, კერძოდ, განმცხადებელს მიეცა შესაძლებლობა (რომელიც მან გამოიყენა), გაესაჩივრებინა ძალდატანებითი გზით ამოღებული ნარკოტიკების [მტკიცებულებად] გამოყენება. მოუხედავად ამისა, ნე-ბისმიერ შეხედულებას იმასთან დაკავშირებით, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა არ დაუშვან ამ მტკიცებულების მოხმარება, არ უნერია აღსრულება, რადგან მათ ამოსაღებინებელ საშუალებათა გამოყენება მიიჩნიეს ადგილობრივი კანონმდებ-ლობით დაშვებულ ნორმად. მეტიც, საზოგადოებრივი ინტერესი განმცხადებლის

მსჯავრდების უზრუნველყოფაში არ უნდა განიხილებოდეს ისეთი წონის მქონედ, რომელსაც შეეძლო გაემართლებინა მტკიცებულების სასამართლო პროცესზე გამოყენება. როგორც ზემოთ აღინიშნა, ზომა განისაზღვრა ქუჩის დილერისათვის, რომელიც ყიდდა შედარებით მცირე ოდენობის ნარკოტიკებს და სათანადოდ მიესაჯა ექვს თვემდე პირობითი პატიმრობა.

108. ამ ვითარებაში სასამართლო ასკვნის, რომ განმცხადებლიდან ძალადობრივი გზით ამოღებული ნარკოტიკული სამუალების მტკიცებულებად გამოყენებამ მთელი სასამართლო პროცესი აქცია არასამართლიანად.

109. ეს დასკვნა თავისთავად საკმარისი საფუძველია, რომელზე დაყრდნობითაც შეიძლება ითქვას, რომ განმცხადებელს მე-6 მუხლის დარღვევით უარი ეთქვა სამართლიან სასამართლო პროცესზე. მიუხედავად ამისა, სასამართლოს ჯეროვნად მიაჩნია, ყურადღება მიაპყროს განმცხადებლის საჩივარს, რომ იმან, თუ რა მანერით მოხდა მტკიცებულების ამოღება და მისი გამოყენება, ძირი გამოუთხარა მის უფლებას თვითონკრიმინაციის წინააღმდეგ. ამ მომართებით, სასამართლო პირველ რიგში გაარკვევს, მიესადაგებოდა თუ არა ეს კერძო უფლება განმცხადებლის საქმის გარემოებებს და ასევე დაირღვა თუ არა იგი.

110. რაც შეეხება წინამდებარე საქმეში თვითონკრიმინაციის საწინააღმდეგო პრინციპის გამოყენების შესაძლებლობას, სასამართლო შენიშნავს, რომ სახე-ზე სასამართლო განხილვაზე „ნამდვილი“ მტკიცებულების (და არა აღიარების) გამოყენება, რომელიც განმცხადებლის ფიზიკურ ხელშეუხებლობაში ძალისმიერი ჩარევითა მოპოვებული. იგი დასქენს, რომ ხელშემკვრელ სახელმწიფოებსა და სხვა ქვეყნებში, საყოველთაო გაგებით, თვითონკრიმინაციის საწინააღმდეგო პრივილეგია ნიშნავს ბრალდებულის ნების პატივისცემას, შეინარჩუნოს დუმილი დაკითხვისას და მისცეს ჩვენება იძულების გარეშე.

111. მიუხედავად ამისა, სასამართლო ზოგიერთ შემთხვევაში უფრო ფართო მნიშვნელობას ანიჭებს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით დაცულ თვითონკრიმინაციის საწინააღმდეგო პრინციპს, რათა მოიცავს ის საქმები, სადაც ნამდვილი მტკიცებულებები იძულებით გადასცეს ხელისუფლების ორგანოებს. მაგალითად, საქმეში Funke v. France-მ (1993 წლის 25 თებერვალი, პუნქტი 44, სერია A, საქმე № 256-A), სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის იძულების მცდელობა, გადაეცა დოკუმენტაცია და ამით წარმოედგინა მის მიერ სავარაუდო ჩადენილი დანაშაულის მტკიცებულება, არღვევს მის უფლებას, არ დაიდანამაულოს თავი. საქმეში J.B. v. Switzerland (ზემოთ მოყვანილი, პარაგრაფი 63-67), სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფო ორგანოები შეეცადნენ ეიძულებინათ განმცხადებელი, რომ მას წარმოედგინა დოკუმენტები, რომელთაც, შესაძლოა, გამოეაშკარავებინათ გადასახადებისგან თავის არიდება, რაც ეწინააღმდეგებოდა თვითონკრიმინაციის საწინააღმდეგო პრინციპთან (ამის ფართო გაგებით).

112. საუნდერსის საქმეში სასამართლომ ჩათვალა, რომ თვითონკრიმინაციის საწინააღმდეგო პრინციპი არ მოიცავს „მასალას, რომლის მოპოვებაც ბრალდებულისგან შესაძლებელია იძულებითი ზომების გამოყენებით, არამედ რომელიც არსებობს ეჭვმიტანილის ნებისგან დამოუკიდებლად. ასეთი მასალაა *inter alia*, [ჩერეკის] ბრძანების საფუძველზე ამოღებული დოკუმენტები, სუნთქვისა და შარდის ნიმუშები, და დღმ-ის ანალიზისთვის საჭირო ორგანული ქსოვილები“ (ციტირებულია ზემოთ, პუნქტი 69).

113. სასამართლოს აზრით, წინამდებარე საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულება, სახელდობრ, ამოსაღებინებელ სამუალებათა გამოყენებით ამოღებული,

## ჯალო გერმანიის წინააღმდეგ

განმცხადებლის ორგანიზმში დამალული ნარკოტიკები შეიძლება მიეკუთვნოს მასალის იმ კატეგორიას, რომელიც არსებობს ეჭვმიტანილის ნებისგან დამოუკიდებლად და რომლის გამოყენებაც ზოგადად არ არის აკრძალული სისხლის სამართალნარმოებისას. თუმცა, არის რიგი ელემენტებისა, რაც ამ საქმეს განასხვავებს საუნდერსის საქმეში ჩამოთვლილ მაგალითთაგან. პირველ რიგში, საქმებში - *Funke v. France* და *J.B. v. Switzerland* განმცხადებლის ნების საწინააღმდეგოდ ამოსალებინებელი საშუალებები იძულებით გამოიყენეს ნამდვილი მტკიცებულების ამოსალებად. ამის საპირისპიროდ, საუნდერსის საქმეში ჩამოთვლილი ორგანული მასალები მოიცავდა იმ ნიმუშებს, რომელთა ამოღებაც მოხდა იძულების გზით სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზისთვის, რათა, მაგალითთად, დაედგინათ ორგანიზმში ალკოჰოლის ან ნარკოტიკების შემცველობა.

114. მეორეც, წინამდებარე საქმეში გამოიყენებული ძალის ხარისხი მნიშვნელოვნად განსხვავდება იძულების იმ დონისგან, რაც, ჩვეულებისამებრ, მოითხოვება საუნდერსის საქმეში ჩამოთვლილი მასალების ამოსალებად. ამგვარი მასალის მოსაპოვებლად, ბრალდებულს მოეთხოვება მშვიდად მიიღოს უმნიშვნელო ჩარევა მის ფიზიკურ ხელშეუხებლობაში (მაგალითთად, სისხლის, თმის ან ორგანული ქსოვილების ნიმუშების აღებისას). მაშინაც კი, როდესაც საჭიროა ბრალდებულის აქტიური მონაწილეობა, საუნდერსის საქმის თვალსაზრისით, ეს ეხება ორგანიზმის ჩვეულებრივი ფუნქციონირებით ნარმოშობილ მასალებს (როგორიცაა: სუნთქვის, შარდის ან ხმის ნიმუშები). ამის საპირისპიროდ, წინამდებარე საქმეში მტკიცებულების ამოღებინების მიზნით, განმცხადებელს იძულებით შეუყვანეს ზონდი ცხვირის არედან და ამ გზით მიაწოდეს ნივთიერება, რასაც მისი ორგანიზმის პათოლოგიური რეაქცია უნდა გამოეწვია. როგორც ადრე აღინიშნა, ეს პროცედურა არ იყო უსაფრთხო განმცხადებლის ჯანმრთელობისათვის.

115. და მესამეც, წინამდებარე საქმეში მტკიცებულება მოიპოვეს პროცედურით, რომელიც არღვევს მე-3 მუხლს. განმცხადებლის საქმეში გამოიყენებული პროცედურა სრულად განსხვავდება იმ პროცედურათაგან, რომელთა მიზანია, მაგალითთად, სუნთქვის ტესტის ჩატარება ან სისხლის ნიმუშის აღება. ამ ტიპის პროცედურები, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, არ აღწევენ მე-3 მუხლის საწინააღმდეგო სისასტიკის მინიმალურ ზღვარს. მეტიც, მიუხედავად მიმისა, რომ თავისი არსით ეს პროცედურებიც არის ერთგვარი ჩარევა ეჭვმიტანილის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში, მათი გამოიყენება ზოგადად მაინც გამართლებულია მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით, რადგან აუცილებელია სისხლის სამართლის დანაშაულის თავიდან ასაცილებლად (იხ. *inter alia*, ზემოთ ციტირებული *Tirado Ortiz and Lozano Martin*).

116. აქედან გამომდინარე, თვითინერიმინაციის საწინააღმდეგო პრინციპი მოქმედებს წინამდებარე სამართალნარმოებაში.

117. იმის დასადგენად, დაირღვა თუ არა განმცხადებლის უფლება, არ დაიდანაშაულოს თავი, სასამართლომ უნდა იმსჯელოს შემდეგ ფაქტორებზე: მტკიცებულების მოსაპოვებლად განხორციელებული იძულების ბუნება და ხარისხი; საზოგადოებრივი ინტერესის წონა ჩადენილი დანაშაულის გამოძიებასა და დასჯაში; რაიმე შესაბამისი გარანტიების არსებობა პროცედურებში; და ამგვარი სახით მოპოვებული მტკიცებულებების გამოიყენების ხარისხი.

118. რაც შეეხება წინამდებარე საქმეში მტკიცებულების მოპოვებისთვის მიმართულ იძულების ბუნებასა და ხარისხს, სასამართლო კვლავაც იმეორებს, რომ ნარკოტიკების ამოსალებინებლად განმცხადებლის იძულება არის მნიშვნე-

ლოვანი ჩარევა მის ფიზიკურ და გონებრივ ხელშეუხებლობაში. განმცხადებელი გააკავა ოთხმა პოლიციელმა, ცხვირის არხის გავლით კუჭში შეუყვანეს ზონდი და მისი მეშვეობით შეუშვეს ქიმიური ნივთიერება, რათა გამოეწვიათ ორგანიზ-მის პათოლოგიური რეაქცია და ეიძულებინათ, ამოელო მტკიცებულება. ეს მო-პყრობა ჩაითვალა არაადამიანურად და ღირსების შემლახავად და, შესაბამისად, დადგინდა მე-3 მუხლის დარღვევა.

119. რაც შეეხება საზოგადოებრივი ინტერესის წონას განმცხადებლის ბრალ-დების უზრუნველსაყოფად მტკიცებულების გამოყენებაში, სასამართლო შენიშ-ნავს, რომ როგორც ზემოთ უკვე აღმართული იქნებითი ზომა გამოიყენეს ქუჩის დილერის მიმართ, რომელიც ყიდდა შედარებით მცირე იღენობის ნარკოტიკებს და საბოლოოდ მიესაჯა ექვს თვემდე პირობითი მსჯავრი ექვს თვემდე ვადით და დაექვემდებარა საპრობაციო ზედმებეფილობას. წინამდებარე საქმის გარე-მოებათა გათვალისწინებით, საზოგადოებრივი ინტერესი მტკიცებულების გა-მოყენებაში განმცხადებლის ბრალდების უზრუნველსაყოფად ვერ გაამართლებს მის ფიზიკურ და გონებრივ ხელშეუხებლობაში ესოდენ უხეშ ჩარევას.

120. პროცედურებში შესაბამისი გარანტიების არსებობის თვალსაზრისით, სასამართლო შენიშნავს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე (ა) მუხლის თანახმად, სხეულში შელნევა უნდა განახორციელოს ექიმმა საავად-მყოფოს პირობებში და მხოლოდ მაშინ, როდესაც არ არსებობს საფრთხე გან-მცხადებლის ჯანმრთელობისათვის. შეიძლება ითქვას, რომ ზოგადად ეროვნუ-ლი კანონმდებლობა უზრუნველყოფს დაცვას ამა თუ იმ ზომის თვითნებური ან არამართებული გამოყენებისგან, თუმცა, განმცხადებელმა, რომელიც დაეყრდნო დუმილის უფლებას, უარი განაცხადა წინასწარ სამედიცინო გამოკვლევაზე. მას შეეძლო ურთიერთობა მხოლოდ დამტკრეული ინგლისურით, რაც იმას წიშნავდა, რომ განმცხადებელს პროცედურა ჩაუტარეს მისი ფიზიკური თუ პროცედურის ატანის შესაძლებლობების სრული გამოკვლევის გარეშე.

121. რაც შეეხება ამგვარი სახით მოპოვებული მტკიცებულებების გამოყე-ნებას, სასამართლო კვლავაც იმეორებს, რომ ამოსალებინებელ საშუალებათა გამოყენებით მოპოვებული ნარკოტიკები ალმოჩნდა გადამწყვეტი მტკიცებუ-ლება მისი ბრალდებისათვის ნარკოტიკებით ვაჭრობაში. მართალია ისიც, რომ განმცხადებელს მისცეს შესაძლებლობა, საქმის სასამართლო განხილვაზე შენი-ნააღმდეგებოდა ამ მტკიცებულების გამოყენებას და მან ეს შესაძლებლობა გამოიყენა. მიუხედავად ამისა, როგორც ეს ზემოთაც აღინიშნა, ეროვნულ სა-სამართლოთა ნებისმიერი შესაძლო განზრახვა, საქმიდან გამოერიცხათ ეს მტკი-ცებულება, უშედევოდ დასრულდებოდა, რადგან ხსენებული ქმედება ჩაითვალა ეროვნული კანონმდებლობით დაშვებულად.

122. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სასამართლო ასევე მზად იყო დაედ-გინა, რომ ნების დართვა განმცხადებლის საქმის სასამართლო განხილვაზე გამოე-ყენებინათ ამოსალებინებელ საშუალებათა იძულებით მიღების შედეგად მოპოვებუ-ლი მტკიცებულება, არსი თვითინკრიმინაციის საწინააღმდეგო უფლების დარღვევა. აქედან გამომდინარე, ამან მთელი სასამართლო პროცესი აქცია არასამართლიანად.

123. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი.

#### IV. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

124. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:

## ჯალო გერმანიის წინააღმდეგ

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირლვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნანილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს“.

125. განმცხადებელმა მოითხოვა კომპენსაცია მატერიალური და არამატერიალური ზიანისათვის და მის მიერ განცეული სასამართლო ხარჯების ანაზღაურება.

### **A. ზიანი**

126. განმცხადებელმა მთლიანობაში მოითხოვა 51.12 ევრო მატერიალური ზიანისათვის, ე.ი. ვიუპერტალის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე კონფისირებული თანხა. მან ასევე მოითხოვა კომპენსაცია არამატერიალური ზიანისათვის. იგი დაეყრდნო მისთვის მიყენებულ ფიზიკურ დაზიანებებს და გონებრივ სტრესსა თუ უმწეობის გრძნობას, რაც გამოიწვია ამოსაღებინებელ საშუალებათა გახანგრძლივებულმა გამოყენებამ. მისი აზრით, ეს იყო სიცოცხლისათვის სახითათო და ასკარად არაკანონიერი ქმედება. მეტიც, მან წინასწარ პატიმრობაში დაპყო მომდევნო ხუთ თვეს მანამ, სანამ ამ არაკანონიერი ზომის გამო მას მიუსაჯეს პირობითი მსჯავრი ექვს თვემდე ვადით და დაუქცემდებარეს საპრობაციო ზედამხედველობას. ამ კუთხით მან მოითხოვა მინიმალური თანხა 30,000 ევროს ოდენობით.

127. მთავრობას არ გაუკეთებია კომენტარი განმცხადებლის მოთხოვნილ მატერიალურ კომპენსაციაზე, მაგრამ აღნიშნა, რომ არამატერიალური ზიანისათვის დასახელებული თანხა იყო გადაჭარბებული. რაც შეეხება სავარაუდო ზიანს, მიყენებულს განმცხადებლის წინასწარი დაკავების, ბრალდებისა და მსჯავრდების პერიოდში, კომპენსაცია არ მოუთხოვია, რადგან გერმანიის კანონმდებლობა ითვალისწინებს სრულ ანაზღაურებას. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენდა განმცხადებლის კონვენციით დაცულ უფლებათა დარღვევას, განმცხადებელს ექნებოდა უფლება, მოეთხოვა სისხლის სამართლნარმოების ხელახალი დაწყება და გამართლების შემთხვევაში - პატიმრობის პერიოდში მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

128. რაც შეეხება მოთხოვნილ კომპენსაციას მატერიალური ზიანისათვის, სასამართლო აღნიშნავს, რომ ვიუპერტალის საოლქო სასამართლომ ბრძანა 100 გერმანული მარკის (დაახლოებით, 51.12 ევრო) კონფისკაცია, როგორც იმ დანაშაულის შედეგად მიღებული შემოსავალი, რისთვისაც იგი დამნაშავედ ცნეს. თუმცა, მას არ შეძლო ევარაუდა, რა შედეგით დასრულდებოდა სამართალნარმოება, თუ არ დადგინდებოდა კონვენციის დარღვევა (იხ. *inter alia*, Schmautzer v. Austria, 1995 წლის 23 ოქტომბერი, პუნქტი 44, სერია A, საქმე № 328-A, და Findlay v. the United Kingdom, 1997 წლის 25 თებერვალი, პუნქტი 85, მოხსენებების 1997-I). იძულებითი ზომის გამოყენებით ამოღებული ნარკოტიკების შემცველი პაკეტი გახდა გადამწყვეტი ფაქტორი განმცხადებლის ბრალდებაში. თუმცა, რადგანაც ამ მტკიცებულების მოპოვება შესაძლებელი იყო მე-3 მუხლის დარღვევის გარეშეც (მოცდით, სანამ ნარკოტიკიანი პაკეტი ბუნებრივი გზით არ გამოიყოფოდა ორგანიზმიდან) და, შესაბამისად, მისი გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა მე-6 მუხლის დარღვევის გარეშე, სასამართლო ასკვნის, რომ ამ დებულებების დარღვევასა და განმცხადებლის მატერიალურ ზიანს შორის

მიზეზშედეგობრივი კავშირი სკმარისად დასაბუთებული არ არის. აქედან გამომდინარე, არ არსებობს საფუძველი ამ კუთხით კომპენსაციის მიკუთვნებისათვის.

129. რაც შექება მოთხოვნილ არამატერიალურ ზიანს, სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობის თანახმად, განმცხადებელს შეეძლო კომპენსაციის მოთხოვნა ეროვნულ სასამართლოებში, თუკი მას გაამართლებდნენ ხელახლა დაწყებული სისხლის სამართალწარმოების შედეგად. მიუხედავად ამისა, სასამართლოს მიზნია, რომ თუ სტრასბურგში თავის უფლებათა დარღვევის შესახებ ჩივილამდე განმცხადებელი ამონტურავდა სამართლებრივი დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებრივ საშუალებას ნარმატების გარეშე, ხოლო შემდგომ იგივეს გაიმორჩდა წარმატებულად მისი მსჯავრდების გასაუქმებლად, და ბოლოს ახალი სასამართლო პროცესის გავლით, განმცხადებელს მოეთხოვებოდა უკვე მესამედ ამონტურა სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები, რათა სასამართლოსგან მიეღო სამართლიანი დაკმაყოფილება, ამ შემთხვევაში სამართალწარმოების მთლიანი ხანგრძლივობა ძნელად თუ შეესაბამებოდა ადამიანის უფლებათა ეფექტიან დაცვასთან და შეიქმნებოდა ვითარება, რომელიც შეუთავსებელი იქნებოდა კონვენციის მიზანსა და მიზნებთან (მაგალითისთვის იხ. Barberà, Messegué and Jabardo v. Spain (მუხლი 50), 1994 წლის 13 ივნისი, პუნქტი 17, სერია A, საქმე № 285-C, და Papamichalopoulos and Others v. Greece (მუხლი 50), 1995 წლის 31 ოქტომბერი, პუნქტი 40, სერია A, საქმე № 330-B). აქედან გამომდინარე, მას შეიძლება მიეკუთვნოს ანაზღაურება.

130. მის ხელით არსებული ყველა ელექტრონული გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებელს ტკივილისა და გონიერივი სტრესის სახით მიადგა არამატერიალური ზიანი. არამატერიალური ზიანი შედეგად მოჰყვა მის მიმართ მოპყრობას, რისი მიზანიც იყო მტკიცებულების მოპოვება, რომელიც მოგვიანებით მის წინააღმდეგ გამოიყენეს საქმის სასამართლო განხილვისას. სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლო განმცხადებელს ანიჭებს 10,000 ევროს .

## B. ხარჯები და დანახარჯები

131. განმცხადებელმა მთლიანობაში მოითხოვა 5,868.88 ევროს ანაზღაურება სასამართლოს წინაშე განეული ხარჯებისათვის. ამ თანხაში შედის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე იურიდიული ნარმომადგენლობისთვის განეული ხარჯი 868,88 ევროს ოდენობით, რომელიც დაანგარიშდა ადვოკატთა საზღაურის ფედერალური რეგულაციების (Bundesrechtsanwalts-gebührenordnung) თანახმად. გარდა ამისა, მან მოითხოვა 5,000 ევრო სტრასბურგის სასამართლოში სამართალწარმოებისას განეული ხარჯებისათვის. მას არ წარმოუდგენია რამე სხვა დოკუმენტური მასალა თავისი მოთხოვნების გასამყარებლად.

132. მთავრობას არ გაუკეთებია კომენტარი ამ მოთხოვნაზე.

133. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, ხარჯებისა და დანახარჯების ასახაზღაურებლად, დაზარალებულმა მხარემ ჯერ უნდა გაიღოს იგი იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს ან გამოასწოროს კონვენციის დარღვევები, იგივე უნდა დაადგინოს სასამართლომაც და, შესაბამისად, მიიღოს კომპენსაცია. ასევე უნდა წარმოჩნდეს, რომ ხარჯები განეული იყო რეალურად და აუცილებლობის გამო და შეესაბამებოდა გონივრულ ოდენობას (იხ. სხვა გადაწყვეტილებათა შორის, Nikolova v. Bulgaria [დიდი პალატა], საქმე № 31195/96,

## ჯალო გერმანიის წინააღმდეგ

პუნქტი 79, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 1999-II, და Venema v. the Netherlands, საქმე № 35731/97, პუნქტი 117, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2002-X).

134. წინააღმდებარე საქმეში, გაითვალისწინა რა მის ხელთ არსებული ინფორმაცია და ზემოხსენებული კრიტერიუმები, სასამართლო კმაყოფილია, რომ ხარჯი ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე სამართალწარმოების დროს იურიდიული წარმომადგენლობისთვის და ხარჯები საკონვენციო სამართალწარმოებისთვის განუულია, რათა დადგენილიყო და გამოსწორებულიყო კონვენციის უფლებათა დარღვევა. პრეცედენტული სამართლისა და საკუთარი მსჯელობის გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ მოთხოვნილი თანხა შეესაბამება გონივრულ ოდენობას. შესაბამისად, იგი ანიჭებს განმცხადებელს 5,868.88 ევროს . ამას დაემატება ნებისმიერი გადასახადი, რითაც შეიძლება დაიბეგროს ეს თანხა.

### C. საურავი

135. სასამართლო შესაფერისად მიიჩნევს, რომ საურავი განისაზღვროს ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი მინიმალური წიხრით, რასაც უნდა დაემატოს თანხის სამი პროცენტი.

## **სერებული მიზანებიდან გამომდინარე, სასამართლო**

1. ადგენს ათი ხმით შვიდის წინააღმდეგ, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი;
  2. ადგენს თორმეტი ხმით ხუთის წინააღმდეგ, რომ არ წარმოიშობა რამე სხვა საკითხი კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად;
  3. ადგენს თერთმეტი ხმით ექვსის წინააღმდეგ, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლი;
  4. ადგენს თერთმეტი ხმით ექვსის წინააღმდეგ:
    - (a) მოპასუხე სახელმწიფომ სამი თვის ვადაში უნდა გადაიხადოს შემდეგი თანხები:
      - (i) 10,000 (ათი ათასი) ევრო არამატერიალური ზიანისთვის;
      - (ii) 5,868.88 ევრო (ხუთი ათას რგაას სამოცდარვა ევრო და ოთხმოცდარვა ცენტი) ხარჯებისა და დანახარჯებისთვის;
      - (iii) ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც შეიძლება დაიბეგროს ეს თანხა.
    - (b) ზემოხსენებული სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, გადახდის დღემდე, ალნიშნულ თანხას დაემატება საურავი იმ მოცულობით, რაც უტოლდება ევროპული ბანკის სესხისათვის განკუთვნილ მინიმალურ პროცენტს, რომელსაც უნდა დაემატოს სამპროცენტიანი განაკვეთი.
  5. უარყოფს ერთხმად განაცხადის დანარჩენ ნაწილს სამართლიან დაემაყოფილებას-თან დაკავშირებით.
- შესრულებულია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე და გაცხადებულია საჯაროდ 2006 წლის 11 ივლისს, სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა შენობაში.

**ლორენს ეარლი  
მდივნის მოადგილე**

**ლუციუს ვილდჰაბერი  
თავმჯდომარე**

- (a) მოსამართლე ბრატცას თანმხვედრი აზრი.
- (b) მოსამართლე ზუპაჩიჩის თანმხვედრი აზრი.
- (c) მოსამართლების: ვილდჰაბერისა და კაფლიშის განსხვავებული აზრები.
- (d) მოსამართლეების: რესის, პელონბაისა, ბაკასა და სიკუტას ერთობლივი  
განსხვავებული აზრები.
- (e) მოსამართლე ჰაჯიევის განსხვავებული აზრი.

ლ.ვ.

ტ.ლე.

### **მოსამართლე პრატცას თანმხვედრი აზრი**

მე, სასამართლოს უმრავლესობასთან ერთად, ხმა მივეცი საქმის ყველა სა-  
კითხს, მაგრამ მაქვს შენიშვნები გადაწყვეტილების დასაბუთების ზოგიერთ  
ნაწილთან დაკავშირებით, კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლებთან მიმართებით.

### **მუხლი 3**

ჩემი ძირითადი შენიშვნა მე-3 მუხლთან დაკავშირებულ დასაბუთებაზე ეხება  
გადაწყვეტილების 77-ე მუხლს, სადაც დაასკვნეს რა, რომ მოპყრობა, რომელსაც  
განმცხადებელი დაქვემდებარა, იყო არაადამიანური და ღირსების შემლახველი.  
ამ მსჯელობისას ყურადღება დიდწილად მახვილდება ფაქტზე, რომ განმცხადე-  
ბლის ნარკოტიკებით ვაჭრობაში მტკიცებულების მოსაპოვებლად არ იყო „აუცი-  
ლებელი“ იძულებითი სამედიცინო ჩარევა. ითქვა, რომ დაპატიმრების მომენტში  
განმცხადებელი იყო უბრალოდ ქუჩის დილერი და აშკარად არ აწარმოებდა ფარ-  
თომასშტაბიან ნარკოვაჭრობას, ამიტომ ამოსალებინებელ საშუალებათა ძალდატა-  
ნებითი გამოყენება არ იყო სავალდებულო ზომა მის წინააღმდეგ მტკიცებულების  
მოსაპოვებლად. საგამოძიებო ხელისუფლების ორგანოებს შეეძლოთ, უბრალოდ  
მოეცადათ, სანამ განმცხადებელი ბუნებრივი გზით გამოყოფდა ნარკოტიკებს,  
რაც შეესაბამება ევროპის საბჭოს სხვა მრავალი ქვეყნის პრაქტიკას.

მე სრულებით ვიზიარებ იმ აზრს, რომ ქვეყნების წინაშე განსაკუთრებით  
მძაფრად დგას ნარკოტიკებით უანინონ ვაჭრობასთან ბრძოლის პრობლემა,  
კერძოდ, ძირითადი ნარკომოვაჭრეების წინააღმდეგ მისალები მტკიცებულების  
მოპოვების კუთხით. ჩემთვის ასევე მისალებია, რომ თუ დამაჯერებლად არის  
ნაჩვენები ამოსალებინელ საშუალებათა იძულებითი გამოყენების უპირატესობა  
ბუნებრივ მოქმედებასთან შედარებით, სამედიცინო “აუცილებლობიდან” გამომ-  
დინარე, ეს იქნება გადამწყვეტი ფაქტორი იმის განსაზღვრისთვის (სასამართ-  
ლოს მყარი იურისდიქტის მიხედვით), მოეპყრნენ თუ არა განმცხადებელს კონ-  
ვენციის მე-3 მუხლის დარღვევით (იხ. გადაწყვეტილების 69-ე პუნქტი). თუმცა,  
რისი გაზიარებაც არ შემიძლია, არის 77-ე პუნქტის დასკვნა, რომ იქაც, სადაც  
არ ჩანს სამედიცინო აუცილებლობა, სავარაუდო დანაშაულის სიმძიმე და ამ  
დანაშაულის მტკიცებულების მოპოვების გადაუდებელი საჭიროება რატომ უნდა  
ჩაითვალოს შესაბამის ფაქტორებად იმის განსაზღვრისას, არღვევს თუ არა მო-

## ჯალო გერმანიის წინააღმდეგ

პყრობის კონკრეტული ფორმა მე-3 მუხლს. სასამართლომ არაერთხელ გაუსვა ხაზი მე-3 მუხლის გარანტიათა საგანგებო ხასიათს, რომელიც აპსოლუტური მნიშვნელობით კრძალავს წამებას ან არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას თუ დასჯას, მიუხედავად დაზარალებულის ქმედების ხასიათისა. მე-3 მუხლი არ იძლევა უფლებას, რომ კონკურენტულმა საზოგადოებრივმა ინტერესმა დააბალანსოს იმგვარი მოპყრობა, რომელიც აღნევს მე-3 მუხლის ზღვარს. როგორც მხოლოდ სერიოზული დანაშაულის მტკიცებულების მოპოვების გადაუდებელი აუცილებლობა ვერ გაამართლებს იმ მოპყრობას, რომელიც აღნევს ზღვარს, ასევე მიმაჩნია, რომ ეს ზღვარი არ იცვლება ეჭვმიტანილის ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა, ან დანაშაულში მტკიცებულების მოპოვების გადაუდებელი აუცილებლობის მიხედვით.

ამავე მიზეზით, არ მიმაჩნია, რომ საკითხი - არღვევს, თუ არა კონკრეტული მოპყრობა მე-3 მუხლს - დამოკიდებული უნდა იყოს იმაზე, იყო თუ არა შესაძლებელი, ხსნებული მოპყრობის მიზანი მიღწეულიყო სხვა მეთოდების გამოყენებით, რაც არ მოიცავდა მოპყრობის ამგვარ ფორმას. ჩემი აზრით, ის ფაქტი, რომ სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი მასალების მიხედვით, მხოლოდ რამდენიმე წევრ სახელმწიფოშია (თუ ასეთები საერთოდ არსებობს) წებადართული ამოსალებინებელ საშუალებათა იძულებითი გამოყენებით წარკოდანაშაულში ეჭვმიტანილთაგან მტკიცებულების ამოღება, ნებისმიერ ვითარებაში, და მიუხედავად საგარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა, გვაჩვენებს, თუ რა უნდა ჩაითვალოს მისალებ მოპყრობად ეჭვმიტანილის მიმართ.

რაც შეეხება გადაწყვეტილებაში გადმოცემულ სხვა საფუძვლებს, რომელთაც სრულად ვეთანხმები, ჩემი აზრით, განმცხადებლის მიმართ მოპყრობა გასცდა მე-3 მუხლით დადგენილ ზღვარს და დაარღვია იგი.

### **მუხლი 6**

სასამართლოს დასკვნა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით, ემყარება იმ პრინციპულ საკითხს, რომ კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევით, ამოსალებინებელ საშუალებათა იძულებითი გამოყენების საფუძველზე მოპოვებული ნარკოტიკების მტკიცებულებად გამოყენებამ მთელი სასამართლო პროცესი აქცია უსამართლოდ. თუმცა, ვიღდრე სასამართლო დაასკვიდა, რომ მზად იყო დაედგინა მე-6 მუხლის დარღვევა ხსნებული მიზეზების გამო, თავის გადაწყვეტილებაში გამოხმაურა განმცხადებლის დამატებით არგუმენტს, რომ ფორმა, რომლის მეშვეობითაც მტკიცებულება მოპოვეს და შემდგომ გამოყენეს სასამართლო განხილვაზე, ძირს უთხრის მის უფლებას, არ დაიდანაშაულოს თავი.

ზოგადად, შემიძლია დავეთანხმო სასამართლოს პრინციპულ მიდგომას და მის არგუმენტაციას მე-6 მუხლის დარღვევის დადგენისას და აქვე გავაუღერებ მოსამართლე ფრანკფურტერის წარმოთქმულ სიტყვებს საქმეზე როჩინი კალიფორნიის წინააღმდეგ თავისი მოსაზრების წარმოდგენისას: „სამართალწარმოება, რომლის საფუძველზეც ეს მსჯავრდება განხორციელდა, მეტი რომ არ შეიძლება ისე შეურაცხყოფს დანაშაულის წინააღმდეგ საფუძვლისანად პრძოლასთან დაკავშირებულ ზიზღისადმი მგრძობელობას და პირად სენტიმეტებს“. სასამართლო ხშირად აღნიშნავს, რომ კონვენცია არ ადგენს რაიმე წესებს მტკიცებულებაზე, როგორც ასეთზე. მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხი, უპირველესად, ეროვნული კანონმდებლობით რეგულირდება. ჩემთვის იმ მტ-

კიცებულების გამოყენება, რომელიც მოპოვებულია ისეთი მოპყრობით, მე-3 მუხლით უზრუნველყოფილ ფუნდამენტურ ღირებულებებს რომ არღვევს, შეურაცხოფს სამართლიანი სასამართლო განხილვის მთელ კონცეფციას, თუნდაც ამგვარი მტკიცებულების მიღება გადამწყვეტი არ იყოს ბრალდების უზრუნველსაყოფად - როგორც ეს მოხდა წინამდებარე საქმეში. საქმეში იძულებით მოპოვებული აღიარების გამოყენების მსგავსად, ესეც შეურაცხოფს სამართლიანობის ცივილზებულ ღირებულებებს და დამანგრეველ უფექტს ახდენს სასამართლო პროცესის ხელშეუხლებლობაზე, როგორც ნებისმიერი მოპოვებული მტკიცებულების არასანდობა, რომლის გამოყენებაც პროტესტის მიზეზი ხდება.

სიმართლეს შეესაბამება ისიც, რომ განმცხადებლის მიმართ მოპყრობა ჩაითვალა არაადამიანურ და ლირსების შემლახველ მოპყრობად და არა წამებად; ასევე, გაეროს წამების სანინააღმდეგო კონვენციის მე-15 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისები, მე-16 მუხლთან ერთობლიობაში (იხ. გადაწყვეტილების 48-ე პუნქტი), მეაფიოდ განასხვავებს ერთმანეთისაგან წამების გზით მიღებული მტკიცებულებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების გამოყენებით მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებობას. თუმცა, არასათანადო მოპყრობის სხვადასხვა ფორმას შორის არ არსებობს არც უცვლელი და არც ზუსტად განსაზღვრული ზღვარი, რაც აქამდე აღიარა სასამართლომ. არა მხოლოდ ეს - ჩემი აზრით, სასამართლო პროცესის სამართლიანობა გამოუსწორებლად ზიანდება ყველა იმ შემთხვევაში, სადაც დასაშვებია, შესაბამისი სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოების მოპოვებული მტკიცებულება მე-3 მუხლის აკრძალვათა დარღვევის საფუძველზე.

ამგვარად, მე ვიქნებოდი მზად, წავსულიყავი იმაზე შორს, ვიდრე სასამართლოს წევრთა უმრავლესობა, რომელთაც ამჯობინეს ლიად დაეტოვებინათ ზოგადი კითხვა - აქცევდა თუ არა სასამართლო პროცესს ავტომატურად უსამართლოდ მტკიცებულება, მოპოვებული ქმედების შედეგად, რომელიც არაადამიანურ და ლირსების შემლახველ ქმედებადა შეფასებული. შედეგად, მათ თავი შეიკავეს, რომ წინამდებარე საქმის გარკვეულ გარემოებებში დაედგინათ უსამართლობა. რადგანაც მე შევეძლი მიმელო ეს მწირი საფუძველი მე-6 მუხლის დარღვევის დასადგენად, საკითხი, რაზეც ჩემი აზრი კვლავაც განსხვავდება სასამართლოს წევრთა უმრავლესობის აზრისგან, არის გადაწყვეტილების 107-ე პუნქტით შემთხვაზებული მოსაზრება, რომ მე-6 მუხლის მიხედვით, შედეგი შესაძლოა განსხვავებული ყოფილიყო, თუკი განმცხადებელი მხოლოდ მცირე მასშტაბის ნარკოგაჭრობით არ იქნებოდა დაკავებული და, აქედან გამომდინარე, თუ საზოგადოებრივი ინტერესი განმცხადებლის მსჯავრდების უზრუნველყოფაში ჩაითვლებოდა მეტი წონის მქონედ. არსებითად იმავე მიზეზების გამო, რაც უკვე გამოვხატე მე-3 მუხლთან მიმართებით, არსებული ნარკოგაჭრობის ზომა მეჩვენება შეუსაბამოდ მე-6 მუხლის ძალით აღძრულ საკონვენციო საკითხებთან. ჩემი აზრით, საზოგადოების ინტერესს განმცხადებლის მსჯავრდების უზრუნველყოფაში არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო გაემართლებინა მტკიცებულებად იმ ნარკოტიკების გამოყენება, რომლებიც მოპოვებულია მისდამი მოპყრობის შედეგად.

მივედი რა ამ დასკვნამდე, არ მივიჩნიე საჭიროდ ან სათანადოდ, რომ განმეხილა განმცხადებლის დამატებითი არგუმენტი, რომელიც უკავშირდება თვითინერიმინაციას და არ დავაფუძნებდი ჩემს დასკვნებს მე-6 მუხლის დარღვევაზე შემდგომშიც, რადგანაც ამით აღიძრებოდა განსაკუთრებით კომპლექსური და რთული პრობლემები.

## მოსამართლე ზუპაჩიჩის თანმხვედრი აზრი

მიუხედავად იმისა, რომ ვეთანხმები ამ მნიშვნელოვან საქმეზე მიღწეულ გადაწყვეტილებას, ზოგიერთი თვალსაზრისით მნამს, რომ (1) ეს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით (*stricto sensu*), ნამდვილად არის წამებასთან დაკავშირებული საქმის კლასიკური შემთხვევა; (2) რომ პოლიციის „შემზარვი“ ქმედებით ამ პინძური მტკიცებულების მოპოვების აქტი მკაცრად უნდა დაისაჯოს, და (3) რომ ამ პინძური მტკიცებულების გამორიცხვის მიზეზი არ გამომდინარებს თავად (*per se*) წამებიდან. სამართლებრივი პროცესი არის კონფლიქტების მოგვარების ცივილიზებული მეთოდი, რომელიც აღმატება არაცივილიზებულ ფზიკურ უპირატესობას, ხოლო ძალადობის უკუდგება კი მისი პირველადი მიზანთაგანია. უდავოა, რომ ეს მისი შემადგენელი კომპონენტია. არ არსებოს შემთხვევა, სადაც პრინციპის - არავინ არის ვალდებული, დაიდანაშაულოს საკუთარი თავი (*nemo tenetur seipsum prodere*) - განსხვავებული გადმოცემა უბრუნდება დასავლური სამართლებრივი ტრადიციების ფესვებს.

საქმეში *Selmouni v. France* ჩვენს პრეცედენტულ სამართალში ჩავრთეთ გაეროს წამების საწინააღმდეგო კონვენციის (შემდგომში „UNCAT“-ი) 1-ლი მუხლი. რადგან წინამდებარე საქმეში „სასტკიკი ტკივილი და ტანჯვა“ აღნიშნავს ყველაფერს, წამების საუკეთესო განსაზღვრება UNCAT-ის მიხედვით, რაც არ არის ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში, განმეორებით აღნიშნავს:

„ტერმინი „ნამება“ ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომლითაც რომელიმე პირს [2] განზრას აყენებენ [1] ძლიერ ტკივილს ან ტანჯვას, ფიზიკურს თუ სულიერს, რათა მისგან ან მესამე პირისაგან [a] მიიღონ ინფორმაცია ან აღიარება; [b] დასაჯონ ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა, ან კიდევ რომლის ჩადენაშიც იგი ეჭვმიტანილია; აგრეთვე [c] დააშინონ ან აიძულონ იგი, ან მესამე პირი, ან [d] ნებისმიერი მიზნით, რომელსაც საფუძვლად უდევს ნებისმიერი ტიპის დისკრიმინაცია, როცა ასეთი ტკივილი და ტანჯვა პირს მიაყენა საჯარო მოხელემ [3] ან მისი წაქეზებით, ნებართვითა თუ მდეუმარე თანხმობით სხვა ოფიციალურმა პირმა. ამ განსაზღვრებაში არ იგულისხმება ტკივილი და ტანჯვა, რომელიც ახლავს მხოლოდ კანონიერ სანქციებს და ამ სანქციათა განუყოფელი ნაწილია“ (აქცენტები ჩემია).

სხვა სიტყვებით, წამება არის (1) *delictum proprium*; დანაშაული, რომელიც შეიძლება ჩაიდინოს მხოლოდ საჯარო მოხელემ ან სხვა ოფიციალურმა პირმა. (2) იგი მოითხოვს კონკრეტულ განზრახვას (*dolus specialis*), სახელდობრ, ღონისძიების წარმართვა უნდა ითვალისწინებდეს ან ეთანხმებოდეს არა მარტო იმ აზრს, რომ მიაყენოს მძიმე ტკივილი ან ტანჯვა, არამედ, ასევე (a) ნაწამები ან მესამე პირისაგან მიიღოს ინფორმაცია ან აღიარება, (b) დასაჯონ ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა, ან კიდევ რომლის ჩადენაშიც იგი ეჭვმიტანილია; აგრეთვე (c) დააშინონ ან აიძულონ იგი, ან მესამე პირი, ან (c) ნებისმიერი მიზნით, რომელსაც საფუძვლად უდევს ნებისმიერი ტიპის დისკრიმინაცია, როცა ასეთი ტკივილი და ტანჯვა პირს მიაყენა საჯარო მოხელემ [3] ან მისი წაქეზებით, ნებართვითა თუ მდეუმარე თანხმობით სხვა ოფიციალურმა პირმა. ამ განსაზღვრებაში არ იგულისხმება ტკივილი და ტანჯვა, რომელიც ახლავს მხოლოდ კანონიერ სანქციებს და ამ სანქციათა განუყოფელი ნაწილია“ (აქცენტები ჩემია).

რადგან საჯარო პირის მხრიდან საკმარისია მდუმარე თანხმობაც, ზემოხსენებული კონკრეტული განზრახვა (*dolus specialis*), სულ ცოტა, შეიძლება ასევე იყოს ქმედების შესაძლო შედეგებში გათვითცნობიერებულობა (*dolus eventialis*) ისეთ საქმეებში, სადაც, მაგალითისთვის, პოლიციის განყოფილების ხელმძღვანელი - საჯარო მოხელე - შეგნებულად ეთანხმება მას დაქვემდებარებულთა

მიერ ჩადენილ წამების აქტებს. მეტიც, ფრაზა, რომელიც საზღვრავს კონკრეტულ განზრახვას, შეიძლება ჩათვალოს დაუმთავრებლად („იმ მიზნებისთვის როგორიცაა“) ე.ი. იგი სამართალშორისი ანალოგიის (*analogia inter legem*) გამოყენების ნებას რთავს. და ბოლოს, წამება არის დასრულებული დანაშაული; არ არსებობს წამების დანაშაული თუ ის არ არის (3) საჯარო მოხელის ქცევის შედეგი (4) მძიმე ფიზიკური ან გონებრივი ტკივილი ან ტანჯვა.

აქედან გამომდინარე, მთავარი კოთვა წინამდებარე საქმეში ისევე, როგორც უფრო და უფრო მეტ ანალოგიურ საქმეში, შემდეგია: აყენებს, თუ არა კერძოდ აღებული ქმედება „სასტიკ ტკივილს და ტანჯვას“, თუ რამეს მასზე წაკლებს? 2 სხვა სიტყვებით, წამება არის არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის გამწვავებული ფორმა . იყო თუ არა ამ კონკრეტულ საქმეში არა-ადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის მსხვერპლის ტკივილი და ტანჯვა სასტიკი, არის ფაქტობრივი გარემოება (*question of fact*), რომელიც უნდა განსაზღვროს სისტემის სამართლის სასამართლომ, დანაშაულს რომ განიხილავს. მედიცინის მეცნიერების თანახმად, ტკივილის არსებითი ზღვარი შესაძლოა დიდწილად მერყეობდეს ადამიანებს შორის. მეტიც, პროცედურის ფიზიკური მაჩვენებელი არ არის გადაპარსულ თავზე წყლის წვეთების განუწყვეტელი დაცემა, რაც მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონელთა წამების ცნობილ სახეობა იყო, შეიძლება არ მოგვეჩენოს ძალიან შემაუხებლად, თუმცა, იგი აშკარად იწვევს მძიმე ტანჯვას. რაც შეეხება გუანტანამოზე [აშშ-ს სამხედრო ბაზა] აპრობირებულ იძულებითი ქმედის პრაქტიკას, გაეროს საგანგებო მომხსენებელმა წამების საკითხებზე, მანფრედ ნოვაკმა, ფრთხოლად შენიშნა, რომ: „თუ სენებული ბრალდებები სიმართლეა, მაშინ ეს აუცილებლად უტოლდება დამატებით სასტიკ მოპყრობას“ . თუკი, მსოფლიოში ადამიანის უფლებათა სფეროში ერთ-ერთი წამყვანი ექსპერტის აზრით, იძულებითი კვება უთანაბრდება „სასტიკ მოპყრობას“, მაშინ ძალდატანებითი ლებინება, სულ ცოტა, ასევე „სასტიკ კვებაა“. რასაკვირველია, უმნიშვნელოვანესი სხვაობა არის ის, რომ იძულებით კვება, საგარაულოდ, შედის პირის ინტერესში, რომელიც ამ ზომას ექვემდებარება, მაშინ, როდესაც, მიუხედავად სანინააღმდეგოს მიმართ არსებული უძლური ბრალდებებისა, იძულებითი ლებინება ამგვარს არ განეკუთვნება. იძულებითი ლებინების მიზანია მტკიცებულების ამოღება. იძულებითი კვება გულისხმობს საკვების მიღებას, მაშინ, როდესაც ჩვენს საქმეში მოხსენიებული ზონდის იძულებით შეყვანით ხდება ამოსალებინებელ საშუალებათა მიღება. იძულებითი კვების შედეგად ხდება მშერი პირის რეაბილიტაცია, ხოლო იძულებითი ლებინების შედეგია არაებაყოფლობითი ლებინება და რიგ შემთხვევებში სიკვდილი. იძულებით კვებას შეიძლება თან ახლდეს შიში, გამოწვეული ზონდის ძალისმიერი გზით შეყვანისგან, და არა მისი შეყვანის შედეგებიდან. იძულებითი ლებინების შემთხვევაში, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ამ ზომისადმი დაქვემდებარებულმა პირმა იცის წინა გამოყენების დროს მომხდარი სასიკვდილო შემთხვევების შესახებ, შიში სუბიექტური თვალსაზრისით უფრო მძიმდება და ობიექტურად მეტად დასაბუთებულია. იძულებით კვებას არ აქვს კონკრეტულ იგანზრახვა აუცილებელი ღონისძიების დანაშაულებრივად წარმართვისათვის, რომ გაუთანაბრდეს წამებას, თუმცა მას მაინც შეუძლია იყოს „არაადამიანური და დამამცირებელი“. იძულებით ლებინების საქმეებში კონკრეტული განზრახვა მიესადაგება წამების განსაზღვრებას იმაში, რაც შეეხება ამ ქმედების დანაშაულებრივად ჩამდენის მიერ მოთხოვნილ სუბიექტურ მოტივაციას, რაც მოსამართ-

## ჯალო გერმანიის წინააღმდეგ

ლე ფრანკფურტერის ენით, ზარავს გონებას.

მიუხედავად ამისა, გარდა არასათანადო მოპყრობის ექსტრემალური საქმეებისა (ელექტროშოკი, პალესტინურად დაკიდება, ფალაკა, და ა.შ), სრულიად შეუძლებელია განზოგადება. გაეროს წამების საწინააღმდეგო კონვენცია ეფუძნება იმ იდეას, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფოები მოახდენენ წამების ინკრიმინირებას სწორედ ისე, როგორც ეს მითითებულია ზემოთ მოყვანილ 1-ლ მუხლში, რაც გერმანიას არ გაუკეთებია. მიუხედავად გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის განმეორებითი მოთხოვნებისა. სასამართლოში წარდგენის მერე, არასათანადო მოპყრობის შედეგები შეიძლება იქცეს სასამართლო საქმესთან დაკავშირებულ ფაქტად სავარაუდო მწამებლის სასამართლო პროცესზე. სასამართლო საქმესთან დაკავშირებული ეს ფაქტი შეიძლება განისაზღვროს, მაგალითად, მსხვერპლის დაკითხვით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, UNCAT-ის მიხედვით, წამების განსაზღვრება არ ეფუძნება იმ შესაძლებლობას, რომ კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფო შემოიღებს და დააკანონებს მტკიცებულების ამოღების პროცედურას, რომელიც შედეგად არა მარტო თავს შეიკავებს დამნაშავეთა დევნისგან, არამედ ასევე უზრუნველყოფს ოფიციალური გამართლებით ამ საზიზლარ ქცევას. განმცხადებელი ბ-ნი ჯალო გერმანიაში ჩატარებულ სისხლის სამართლწარმოებაში არ განხილულა მსხვერპლის სახით, რითაც მას შეეზღუდა ჩვენების მიცემის საშუალება. სხვა სიტყვებით, ბ-ნმა ჯალომ ვერ შეძლო გაესაჩივრებინა, რომ განცდილი ტკივილი და ტანჯვა იყო მძიმე და გერმანიის სასამართლოებს არასდროს მისცემიათ საშუალება, განხილათ ეს გამოუძიებელი საქმე.

ეს საკითხი სრულებით შეუსწავლელი წარდგა ამ სასამართლოს წინაშე. თუმცა, სხვა ანალოგიური სიტყაციების მსგავსად, სახელმწიფოს ეკისრება მტკიცების ტვირთი - აჩვენოს, რომ ბ-ნ ჯალოს, რომელიც ტრავნული განგრძობადი პროცედურის გატარებისას გაკავებული იყო რამდენიმე პოლიციელის მიერ, აღმოაჩნდა და ძლიერი ტკივილის გაძლების განვითარებული უნარი და სტაბილური ნერვული სისტემა და იძულებითი ღებინების პროცედურას არ მიუყენება მისთვის მძიმე შიში, ტანჯვა, შფორთვა და ფიზიკური ტკივილი - აღარაფერს ვამბობთ სამედიცინო გართულებებზე. ამ მიზეზით, მე მანიც მგონია, რომ საქმე ის კი არ არის, ზოგადად იძულებითი ღებინება წარმოშობს თუ არა მძიმე ტკივილსა და ტანჯვას, არამედ ის, თუ ამ კონკრეტულ საქმეში რამდენად გაჩნდა ტკივილისა და ტანჯვის განცდა.

მტკიცების ტკირთი ეკისრება მთავრობას. იმ პირობებში, რომ არ არსებობს საწინააღმდეგოს დამატკიცებელი საპუთი და იმის გათვალისწინებით, რომ სავარაუდო, ყველაზ იცის თავისი ქმედების ბუნებრივი შედეგები, იძულებული ვარ, კვლავაც გავიმეორო, რომ ტკივილი და ტანჯვა ამ კონკრეტულ საქმეში იყო მძიმე ფორმის. ამგვარად, ჩვენ უნდა ვისაუბროთ წამებაზე.

## II

მეორე საკითხი ეხება ბ-ნ ჯალოს დადანაშაულების დროს გერმანიის სასამართლოებში მოძიებული კოკაინის პაკეტის გადამწყვეტ მტკიცებულებად გამოყენებას.

საქმეში Rochin v. California, მოსამართლე დუგლასმა განაცხადა: „მე მგონია, რომ [ეჭვმიტანილის] ბაგეთაგან წარმოთქმული სიტყვები, მისი კუჭიდან ამოღებული კაფსულები, ვენიდან აღებული სისხლი - ყველა ეს მტკიცება დაუშვებელია, რადგანაც მოპოვებულია მისი ნებართვის გარეშე. ეს მტკიცებები დაუშვებელია მეხუთე შესწორების საფუძველზე.“ როგორც ჩანს, არსებობს პრაგმატული მი-

ზეზები ამ დადგენილი პოზიციის დასუსტებისთვის შემდგომი პრეცედენტული სამართლით (იხ. გადაწყვეტილების 51-52-ე პუნქტები).

თუმცა, არსებითად, პრობლემა ის იყო, რომ დადგენილი ნორმის ლოგიკური საფუძველი, როგორც ამას მოსამართლე დუღლასი განმარტავს - იხ. ქვემოთ უიგმორის შენიშვნა - იმდენად ელემენტარულია, რომ აშკარად თვალსაჩინოა. შედეგად, გამორიცხვის წესი, რომელიც უბრალოდ პრევენციის საშუალებაა და თვითინერიმინაციის წინააღმდეგ პრივილეგიის ალტერ ეგო, მოსამართლე რეინგვესტის დაუინებული მცდელობით, დაკნინდა მანიპულირებად ტექნიკურ წესამდე, რომელიც გამომდინარეობს პოლიციელთა არამართებული ქმედების შეჩერების საჭიროებიდან. ამგვარად, იგი განიმარტა აპსურდულად, მისი მარგინალური მნიშვნელობით.

განსხვავებული სახის გაუგებრობა შეიმჩნევა საქმეში *Saunders v. the United Kingdom (1996 წლის 17 დეკემბერი, მოხსენებები, 1996-VI)* - ჩვენი პირადი წამყვანი საქმე ბინძური მტკიცებულების ამოღებაზე:

„68. სასამართლო კვლავ იმეორებს, რომ მართალია, ეს საგანგებოდ არ აღინიშნება კონვენციის მე-6 მუხლში, მაგრამ დუმილის უფლება და პირის უფლება, არ დაიდანშაულოს თავი (არ მოახდინოს თვითინერიმინაცია) არის ზოგადად აღარებული საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც საფუძვლად უდევს მე-6 მუხლით დადგენილ სამართლიანი პროცედურის იდეას. მათი ლოგიკური საფუძველია *inter alia* ბრალდებულის დაცვა ხელისუფლების ორგანოების მხრიდან არასათანადო იძულებისგან, რითაც გამოირიცხება უსამართლობა და შესრულდება მე-6 მუხლის მიზნები. კერძოდ, ადამიანის უფლება, არ დაიდანშაულოს თავი, ითვალისწინებს საქმეში სისხლის სამართლებრივი დევნით ბრალდებულის წინააღმდეგ ბრალის დამტკიცებას ისე, რომ მისგან მტკიცებულებას არ მოიპოვებენ იძულებით ან ზეწოლის მეთოდების გამოყენებით, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ ამ თვალსაზრისით ეს უფლება ახლო კავშირშია უდანაშაულობის პრეზუმაციასთან, რომელსაც უზრუნველყოფს კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი.

69. უფლება, არ დაიდანშაულოს თავი, პირველ რიგში, წიშნავს ბრალდებულის დუმილის უფლების პატივისცემას. კონვენციის ხელშემკვრელი მხარეების და სხვათა სამართლებრივ სისტემებში არსებული საყოველთაო გაგებით, ეს არ წიშნავს სისხლის სამართლანარმოებაში იმ მასალების გამოყენებას, რომლებიც მოპოვებულია იძულების წესით, არამედ იმ მასალების, რომლებიც არსებობენ ეჭვმიტანილის ნებისგან დამოუკიდებლად, როგორიცაა *inter alia* ჩხრეკის ნებართვით ამოღებული დოკუმენტები, სუნთქვის, სისხლის, შარდის, თმის ან ხმის წიმუშები და ორგანიზმის ქსოვილები, საჭირო დწმ-ის ანალიზისთვის;

... „

ამგვარად, საუნდერსის საქმეში - სავარაუდოდ იმიტომ, რომ იგი გამომდინარეობს როგორც თვითინერიმინაციის საწინააღმდეგო პრივილეგიიდან, ასევე უდანაშაულობის პრეზუმაციის გამორიცხვის წესიდან - მივიღნენ აზრამდე, რომ, მხოლოდ ეჭვმიტანილის პირით გახმოვანებული სიტყვები არ არის დასაშვები მტკიცებულება. მეტიც, უსასტიკესი წამების შედეგად მოპოვებული იგივე სიტყვეირი მტკიცებულება მისალება, რამდენადც „ის არსებობს ეჭვმიტანილის ნებისგან დამოუკიდებლად“ - წარმოიდგინეთ, რომ ჩვენს შემთხვევაში ეჭვმიტანილი მიზანმიმართულად ტანჯეს, რომ მას იძულებით ამოეხველებინა პაკეტი.

ეს პირნმინდად ენინააღმდეგება გაეროს წამების სანინააღმდეგო კონვენციის მე-15 მუხლს. ხსენებული დებულება მკაცრად გამორიცხავს წამების შედეგად მოპოვებული ყველა მტკიცებულების გამოყენებას, მოსამართლეთა მხრიდან პირდაპირ თუ ირიბ აღიარებას. აქ არანაირი აბსტრაქტული განსხვავება არ კეთდება სიტყვიერ და არასიტყვიერ მტკიცებულებებს შორის. სხვა სიტყვებით, რადგანაც საუნდერსს შემთხვევა გვევლინება მნიშვნელოვან საქმედ, განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ უწყვეტად უკავშირდება ერთი და იმავე პრინციპის ორ მასასიათებელს - თვითინკრიმინაციის სანინააღმდეგო პრივილეგიას და დაუძვებლობის წესს - მისი ლოგიკური დასაბუთება, სავარაუდოდ, ვერ გაუძლებს დროის გამოცდას.

მიუხედავად ამისა, თვითინკრიმინაციის სანინააღმდეგო პრივილეგიას არსებობის არსი (*raison d'être*) საკმაოდ მარტივია.

ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ იმ მთელი სამართლებრივი პროცესის ელემენტა-რულ გონივრულ ახსნაში, რომელიც გვევლინება კონფლიქტის ბრძოლის გზით მოგვარების ცივილიზებულ ალტერნატივად. სწორედ ეს გონიერი ახსნა მეტად მოხდენილად ჩამოაყალიბა მტკიცებულებითი სამართლის წამყვანმა ავტორიტეტმა ჯონ ჰენრი უიგმორმა:

„დაცულ იქნას ინდივიდუს განკარგულებაში შემავალი უპირატესი ეთიკის [პრინციპი], ხოლო სახელმწიფოსა და ინდივიდს შორის დაპირისპირების სათანადო წესში ითხოვდეს, რომ პირის შენუხება მოხდეს მხოლოდ დადებითი მიზეზით, ხოლო მისი ოპონენტი კი არ უბიძებდეს მას თვითგანადგურებისკენ ...“

უიგმორის შენიშვნა „დაპირისპირების სათანადო წესების“ შესახებ შეიძლებოდა ასე აღქმულიყო, მაგრამ ეს, რასაკვირველია, არ არის მეტაფორა. სამართლებრივი პროცესის ჭრილში, და როგორც ბარბაროსული დაპირისპირების ცივილიზებული ალტერნატივა, „დაპირისპირების სათანადო წესები“ უდავოდ არ შეიცავს ნებართვას [წესისმიერი] ძალის გამოყენებაზე. „სამართლებრივი დაპირისპირების“ ჭეშმარიტი მიზანია, შეცვალოს ნამდვილი დაპირისპირების ლოგიკა, ე.ი. ძალის ლოგიკა ჩანაცვლოს ლოგიკის ძალით. სამართლებრივ პროცესში, არსებითად, კონფლიქტის გადაწყვეტის საშუალებად ძალის გამოყენება იცვლება ლოგიკური იძულების პრინციპით. ის უბრალო ფაქტი, რომ დაპირისპირება ხდება „მთავრობასა და ინდივიდს შორის“ - მაგალითად, სისხლის სამართალში - ვერ შეცვლის ამ მეტად ძირულ აზრს.

თუკი, მიუხედავად ყველაფრისა, მტკიცებულების მოსაპოვებლად მაინც გამოიყენეს ძალა, რასაც ენინააღმდეგება უინგმორის მიერ დახასიათებული ინდივიდი, რომელიც სახელმწიფოს ძლევამოსილი პოლიციის აპარატის წინაშე პირისპირ აღმოჩნდა, მაშინ უპრიანი იქნება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში მოხდა დაპირისპირებისადმი დაბრუნება და, მთელმა სამართლებრივმა პროცესმა, არსებითად, განიცადა კრახი და დაკარგა ლეგიტიმურობა. სხვა სიტყვებით, სახელმწიფოს აღმასრულებელმა შეტყობინებულ კანონის უზენაესობა მისი წინამორბედი წესრიგით. მოსამართლე ფრანკფურტერის სიტყვების პერიფრაზირებით, ეს ბარბაროსული მეთოდები [შინაარსობრივად] უახლოვდება ყველას ომს ერთმანეთის წინააღმდეგ, რისი მიზანიცაა სამართლებრივი დიფერენციაციის დაშვება.

სასამართლები, რომლებიც იღებენ ამგვარ მტკიცებულებებს იმიტომ, რომ სულ ცოტა, ისინი ურიგდებიან ასეთ პრაქტიკას, *ex post facto* ითვლებიან ამ სასტიკი პრაქტიკის თანამონანილებად.

ამრიგად, საქმე მარტო ის კი არ არის, აწამეს ან არაადამიანურად თუ ღირსე-

ბის შემლახავად მოეპყრნენ თუ არა პ-ნ ჯალოს, სამართლებრივი დაცვის მთელი სისტემა დადგა დეგრადაციის საფრთხის წინაშე, რაც გაცილებით უფრო კრიტიკული და საშიში იყო.

### III

მიუხედავად ამისა, მთლიანობაში ყველაზე საგანგაშოა აშეარა ცელილება დროის სულისკვეთებაში და ამის შედეგად მინიმალურ სტანდარტთა დეგრადაცია. რაც 1950 წელს იყო თვალნათლივი „ქმედება, რომელმაც სული შეძრა“, 2006 იქცა საკითხად, რომელიც ფართოდ - და არა მარტო ამ საქმეში - უნდა აიწონოს, დასაბუთდეს და გაირჩეს. მიუხედავად თვალსაჩინო განვითარებისა, ამ გარდაქმნებს ცოტა თუ აქვთ საერთო სამართლის სტანდარტების მეცნიერულ დიფერენციასთან, ასე მაგალითად, ერთი მხრივ, „არაადამიანურ და ლირსების შემლახველ მოპყრობას“ და, მეორე მხრივ, „ნამებას“ შორის. პოლიციის მხრიდან რაიმე კონკრეტულ მოპყრობას შეუძლია შეზაროს, ან არც, იმათი სულები, ვინც დაინიშნენ ასეთი საქმის განსახილველად და შესაფასებლად. თუკი ასე მოხდა, მაშინ მას ნამებად შერაცხვენ, ხოლო თუ არა - მაშინ ეს ჩაითვლება მისატევებლად.

ეს შეფასება მომდინარეობს ლირებულებათა გარკვეული იერარქიიდან, რომელიც გათავისებული აქვს ყველას, დაწყებული პოლიციელიდან - რომელიც აკავებს ძირს დაგდებულ პირს, ვისაც ზონდს უკეთებენ ამოსალებინებელ საშუალებათა შეყვანის მიზნით - გაგრძელებული ექიმით, რომელსაც შეჰქავს ზონდი და ამოსალებინებელი საშუალებები, და დამთავრებული მოსამართლით, რომელიც იღებს ამგვარი სისასტრიკით ამოღებულ მტკიცებულებას. ლირებულებათა ეს იერარქიები არის ყველა მეორეხარისხოვანი განსჯის რეალური პირველწყარო, ხოლო ხშირად უფრო დამაფიქრებელია მგრძნობიარობისა და ცნობისმოყვარეობის ნაკლებობა.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანის უფლებები მხოლოდ ჩაძიებითი სამართლებრივი დასაბუთების საგნად როდი გვევლინება. კიდევ არსებობს ლირებული განსჯის არსებითი საკითხი. ჭეშმარიტება ის არის, რომ კანონის უზენაესობის განმტკიცება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ლირებული განსჯები გარდაიქმნება სამართლებრივ სტანდარტად, რომელიც ენით მკაფიოდ გამოიხატება. თუმცა, შეცდომა იქნება დავივიწყოთ, რომ საფუძველში - მთავარი სამართლებრივი სტანდარტის სათავეში, რომელსაც შემდგომში იყენებენ - ძევს იმათი მორალური სიმტკიცე, ვისაც აქვს არა მარტო თავისი ხედვა, ან თუნდაც რწმენა, არამედ გამბედაობა ამგვარი რწმენის ტარებისათვის.

### **მოსამართლეების - ვილდჰაპერისა და კაფლიშის განსხვავებული აზრები**

1. სამწუხაროდ, ვერ დავეთანხმებით იმას, რომ წინამდებარე საქმეში გერმანიის ხელისუფლების ორგანოთა ქმედება უტოლდება არაადამიანურ და ლირსების შემლახველ მოპყრობას და რომ ამით, შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი. რადგან ვიშველიებთ გადაწყვეტილების 67-დან 73-მდე პუნქტებში მოყვანილ პრინციპებს, უნდა ითქვას, რომ ჩვენი აზრით, ეს პრინციპები სრულიად სწორად არის გამოყენებული წინამდებარე საქმეში.

2. პირველი, რაც შეიძლება აღმოვაჩინოთ არის ის, რომ კონვენციის მე-8 მუხლისგან განსხვავებით, მე-3 მუხლი იხილავს წამებისა და მასთან გაიგივებად

## ჯალო გერმანიის წინააღმდეგ

არასათანადო მოპყრობის ფაქტებს. მე-3 მუხლით კანონგარეშედ აღიარებული მოპყრობა, დიდწილად, იხმარება ინდივიდის დასჯის ან მისგან დანაშაულის აღიარების მიზნით. როგორც გაეროს 1984 წლის წამების საწინააღმდეგო კონვენციის 1-ლ მუხლითა ნათევამი, „წამება“ ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომლითაც რომელმე პირს [2] განზრას აყენებენ [1] ძლიერ ტკივილს ან ტანჯვას, ფიზიკურსა თუ სულიერს, რათა მისგან ან მესამე პირისაგან [ა] მიიღონ ინფორმაცია ან აღიარება; [ბ] იგი დასაჯონ ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაი-დინა, ან კიდევ რომლის ჩადენაშიც იგი ეჭვმიტანილია; აგრეთვე [ც] დაშინონ ან აიძულონ იგი ან მესამე პირი, ან [ძ] ნებისმიერი მიზნით, რომელსაც საფუძვლად უდევს ნებისმიერი ტიპის დისკრიმინაცია, „ როცა ასეთ ტკივილსა და ტანჯვას აყენებს საჯარო მოხელე. არაფერი ამგვარი არ მომხდარა წინამდებარე საქმეში, სადაც ეჭვმიტანილმა სცადა სამხილის განადგურება მისი გადაყლაპვის გზით. მართალია ისიც, რომ ამ პროცესის შეჩერება შეუძლებელი იქნებოდა ძალის გა-მოყენების გარეშე, თუმცა, ძალის ამგვარ გამოყენებას არაფერი აქვს საერთო მოტივაციებთან, რომლებიც ხშირად მოიაზრება მე-3 მუხლის საწინააღმდეგოდ. ამასთან, ძალის გამოყენება არ იქნებოდა აუცილებელი, თუკი განმცხადებელი არ შეეცდებოდა სამხილის გაერობას ან არ შეენინააღმდეგებოდა მის ამოღებას. აქედან გამომდინარე, წინამდებარე საქმე არ შეესაბამება იმ ქმედებათა კატეგო-რიას, რასაც კრძალავს კონვენციის მე-3 მუხლი.

3. სასამართლოს უმრავლესობა ასკვნის, რომ განმცხადებლის მიმართ ძა-ლადობრივი ზომის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ექიმი შეადგენს ანამნეზს და ყურადღებით შეფასდება სავარაუდო საფრთხეები პირის ჯანმრთელობისათვის. მთავრობა ამბობს, რომ ანამნეზი შედგა, როდესაც საპი-რისპიროს ამტკიცებს განმცხადებელი. ჩვენთვის გაუგებარია, თუ რატომაა მეო-რე განცხადება უფრო სანდო, ვიდრე პირველი და, საერთოდ, როგორ შეძლო განმცხადებელმა ამგვარი პრეტენზიის გამოხატვა, როდესაც თავად ამტკიცებს რომ არ იცის გერმანული და საუბრობს დამტვრეული ინგლისურით (მიუხედავად ამისა, საქმის არსი ის არის, რომ იგი საქმაოდ კარგად საუბრობდა გერმანულადაც და ინგლისურადაც), რომ გაეყიდა თავისი ნარკოტიკები). შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თანამშრომლობაზე ეჭვმიტანილის უარის გამო, შედგა მხოლოდ ნაწილობრივი ანამნეზი, ხოლო გერმანიის ხელისუფლების ორგანოებმა, ერთი მხრივ, გააკეთეს ის, რაც მათი აზრით იყო მართებული მტკიცებულების შესანარ-ჩუნებლად, ხოლო მეორე მხრივ, შეეცადნენ მინიმუმადე დაეყვანათ საფრთხე იმ განმცხადებლის ჯანმრთელობისა, რომელიც სრულიად განზრას, ნარკოტიკების ბიზნესში ჩართვით, სრულებით არ ზრუნავდა სხვათა ჯანმრთელობაზე.

4. უმრავლესობა ასევე ეყრდნობა პროპორციულობის არგუმენტს, აღნიშნა-ვს რა, რომ განმცხადებელი „არ ყიდდა ნარკოტიკებს დიდი ოდენობით“, რად-გან მან შეძლო მათი პირში დამალვა, რაც აისახა მისდამი გამოტანილ მეტად მსუბუქ სასჯელში (ექვსთვიანი წინასწარი პატიმრობა). ასევე იზიარებს მოსა-ზრებას, რომ სათანადო მტკიცებულების მოპოვება შესაძლებელი იყო ბუნებრი-ვი გზით, ყოველგვარი ამოსალებინებელი საშუალების გამოყენების გარეშე. ეს გვესახება უცნაურ არგუმენტაციად: რაც უფრო სერიოზულია [ნარკო] მოვაჭრე, მით უფრო კანონიერია ამოსალებინებელ საშუალებათა გამოყენება. როგორც ჩანს, უმრავლესობა დიდი დილერების ჯანმრთელობას უფრო აფასებს, ვიდრე უმნიშვნელოთას. ჩვენთვის უკანონო ვაჭრობის სიდიდე არ არის გადამტკიცებული, როდესაც საქმე მიდის პროპორციულობის შეფასებამდე.

5. უდავოა, როგორც უმრავლესობამ აღნიშნა (იხ. გადაწყვეტილების 82-ე პუნქტი), ფორმა, რომლითაც სადავო ზომა განხორციელდა, „შესაძლებელს ხდიდა განმცხადებელში აღეძრა შიშის, წამებისა და დაუცველობის გრძნობები, რასაც, თავის მხრივ, შეეძლო მისი შეურაცხყოფა და დამცირება”. ეს მსჯელობა სამართლიანი იქნებოდა - თუმცა, ალბათ, ნაკლები დოზით - საფალარათო საშუალების გამოყენების ან ბუნებრივი გზით გამოყოფის ხანგრძლივად ლოდინის შემთხვევაშიც. და თუკი განმცხადებლის მიმართ გამოყენებული მეთოდი შეიცავდა გარკვეული რისკის ფაქტორს მისი ჯანმრთელობისა - რის გამოც ამ მეთოდს იშვიათად მიმართავენ (იხ. გადაწყვეტილების 78-ე პუნქტი) - მაშინ ბუნებრივი გზით გამოყოფის ცდაც უკავშირდება ხიფათს - ნარკოტიკების შემცველი პაკეტები შეიძლება რეაქტიაში შევიდეს კუჭ-ნაწლავის სისტემასთან.

6. ყოველივეს გათვალისწინებით და იმის გათვითკნობიერებით, რომ ნარკოტიკებით ვაჭრობაში დანაშაული უნდა გასამართლდეს და მტკიცებულება შენარჩუნდეს, ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ წინამდებარე საქმეში დგას მე-3 მუხლის გამოყენების საკითხი. ასეც რომ იყოს, მოპყრობა, რომელსაც განმცხადებელი დაეჭვემდებარა, ვერ აღწევს ამ მუხლის დარღვევის ზღვრამდე. შესაბამისად, ამ უკანასკნელ საკითხთან მიმართებით, ჩვენ ვეთანხმებით მოსამართლეებს: რეს, პელონპაიას, ბაკასა და სიკუტას.

7. თუმცა, ეს დასკვნა არ გვაშორებს საკითხის განხილვისგან კონვენციის მე-8 მუხლის მიხედვით, და უფრო კონკრეტულად, იყო თუ არა გამართლებული გერმანიის ხელისუფლების ორგანოთა ქმედება ხსენებული მუხლის მე-2 პუნქტით.

8. თავდაპირველად გამოვხატავთ ეჭვს იმასთან მიმართებით, რომ - როგორც ეს აღნიშნეს გერმანიის მრავალმა სასამართლომ და თეორეტიკოსმა იურისტებმა - გერმანიის ხელისუფლების ორგანოთა ქმედება „შესაბამებოდა კანონს“ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად და უყრდნობოდა გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე (ა) მუხლს (იხ. გადაწყვეტილების 33-ე პუნქტი). რადგან მტკიცებულების გადარჩენის მიზნით, 81-ე (ა) მუხლი მოსამართლესა და პროკურორს აძლევს უფლებას, თუნდაც ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ, ბრძანოს სხეულში შელნევა, რასაც გააკეთებს ექიმი, ისე, რომ ეჭვმიტანილი ჯანმრთელობას საფრთხე არ მიადგეს, შეიძლება ასევე დავასკვნათ, რომ ზომების გასაჩივრება - ამოსაღებინებულ საშუალებათა გამოყენების ჩათვლით - იყო სრულიად მოსალოდნელი. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ გასაჩივრებული ჩარევა განხორციელდა „კანონიერად“, რასაც ითხოვს კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი.

9. მეტიც, ჩარევის მიზნებმა - ეჭვმიტანილი ნარკომოვაჭრის დაპატიმრება-გასამართლება და მტკიცებულების შენარჩუნება - დაგვანახეს, რომ გასაჩივრებული ზომები გამოიყენეს საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, რაც კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გულისხმობს ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის თავიდან აცილებას და სხვათა ჯანმრთელობისა თუ უფლებების დაცვას.

10. უკანასკნელი და ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა, რომელიც პასუხს მოითხოვს: იყო თუ არა განმცხადებლის პირად ცხოვრებაში ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოებისათვის“, როგორც ამას მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი აღნერს, სხვა სიტყვებით, ამ ჩარევაზ უბასუხა თუ არა გადაუდებელ სოციალურ აუცილებლობას და დამყარა თუ არა ადგილობრივმა ხელისუფლებამ სათანადო ბალანსი ზემოთ აღნიშნულ საზოგადოებრივ ინტერესს, განმცხადებლის საკუთარი ფიზიკური და მენტალური ხელშეუხებლობის შენარჩუნების ინტერესსა

## ჯალო გერმანიის წინააღმდეგ

და საჭირო მტკიცებულების მოპოვების შესაძლო, ნაკლებად ძალისმიერ, მაგრამ თანაბრად ეფექტიან საშუალებათა არსებობას შორის?

11. განმცხადებლის ინტერესებთან მიმართებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ უკანასკნელმა განიცადა საგრძნობი ლელვა (იხ. ზემოთ პუნქტი 5) და გატარებულ პროცედურას თან სდევდა რისკები ჯანმრთელობისათვის, რადგან პასუხისმგებელმა ექიმმა ვერ შეძლო სრულფასოვანი ანამნეზის შედგენა (იხ. ზემოთ პუნქტი 3). თავის მხრივ, ჩარევამ მოითხოვა ძალის გამოყენება და ორი მედიკამენტის იძულებით მიღება, რისი მიზანიც იყო ლებინების პროვოცირება, რაც არაფერია თუ არა ფიზიკური ტკივილი.

12. საკითხი, რომელიც ამჟამად წამოიწევს, არის ის, თუ რამდენად ხელმისაწვდომი იყო ნაკლებად ძალისმიერი, მაგრამ თანაბრად ეფექტიანი ალტერნატიული მეთოდი, როდესაც საქმე ეხებოდა სათანადო ბალანსის დამყარებას საზოგადოებისა და განმცხადებლის ინტერესებს შორის. ნარკოტიკების ბუნებრივი გზით გამოყოფის ლოდინი იყო ერთ-ერთი გზა, თუმცა, განმცხადებლისათვის რისკიანი, რომლის მომნელებელი ტრაქტის შეგნითაც შეიძლებოდა გამსკდარიყო პაკეტი; ეს აუცილებელს გახდიდა დაკავებისა და დაკვირვების შემდგომ გაგრძელებას, განსაკუთრებით, ამოღების პროცესზე. შეიძლება არ დავთანხმოთ მოსაზრებას, რომ პირველი და მეორე მეთოდები შეიცავდნენ დიდ რისკს ჯანმრთელობისა, თუმცა, მრავალ ხელშემკვრელ სახელმწიფოში არსებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ ამგვარი რისკი არსებობს.

13. მთავრობამ განაცხადა, რომ პირველი მეთოდის არჩევით, გერმანიის ხელისუფლების ორგანოები. არსებითად, ასრულებდნენ მე-8 მუხლით დადგენილ თავიანთ პოზიტიურ ვალდებულებას, რაც ითხოვს განმცხადებლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას. მაგრამ წინამდებარე საქმეში ჯანმრთელობას რისკი შეუქმნა თავად განმცხადებლმა, როდესაც გადაყლაპა პირში დამალული ნარკოტიკებიანი პაკეტი; სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება არ ითვალისწინებდა განმცხადებლის ნების სანინააღმდეგოდ ამ რისკის ძალისმიერი გზით არიდებას. ამასთან დაკავშირებით, შეიძლება ყურადღება გავამახვილოთ ბრემენის მიწაზე ახლახან გამოყენებულ პრაქტიკაზე (იხ. გადაწყვეტილების 47-ე პუნქტი): ექიმმა ეჭვმიტანილს უნდა განუმარტოს, რა საფრთხე შეიძლება მოჰყვეს მის ორგანიზმში ნარკოტიკების დარჩენას. ამის შემდეგ, როცა სამედიცინო შემოწმების გზით დადგინდება, რომ მეთოდი არ შეიცავს რისკებს, ეჭვმიტანილმა თავად უნდა აირჩიოს, მიიღოს თუ არა ამოსაღებინებელი ან საფალარათო საშუალებები. სხვა შემთხვევაში მას დაკავებენ საგანგებო საკანში, სანამ ნარკოტიკები ბუნებრივი გზით არ დატოვებს ორგანიზმს.

14. ეს არის გამოსავალი, რომელსაც წინამდებარე საქმის გარემოებების გათვალისწინებით, სავარაუდოდ, შეეძლო სათანადო ბალანსის დამყარება საზოგადოებრივ ინტერესსა (ნარკოტიკებით ვაჭრობის დანაშაულზე გასამართლებისათვის საჭირო მტკიცებულების შენარჩუნება) და განმცხადებლის ინტერესს (საკუთარი ფიზიკური და გონებრივი ხელშეუხებლობის დაცვა) შორის. აი, რატომ არ იყო საჭირო განმცხადებლის პირად ცხოვრებაში ჩარევა დემოკრატიული საზოგადოების პირობებში. სწორედ ამიტომ, ჩვენი აზრით, დარღვეა კონვენციის მე-8 მუხლი.

15. რაც შეეხება განმცხადებლის საჩივარს კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, ჩვენ ვეთანხმებით მოსამართლეების - რესის, პელონპაიას, ბაკასა და სიკუტას განსხვავებულ აზრებს, მაგრამ აქვე გვსურს დავამატოთ, რომ არსებითად, სასამართლოს არ მართებს ორმხრივი ან მრავალმხრივი დარღვევების დადგენა

საქმეებზე, სადაც სახეზეა ერთი მატერიალური ქმედება.

**მოსამართლეების:** რესის, პელონპაიას, ბაკასა და სიკუტას ერთობლივი  
განსხვავებული აზრები

ჩვენ არ ვეთანხმებით უმრავლესობის აზრს ამ საქმის არც ერთ საკითხზე და  
გვსურს ავხსნათ ამის მიზეზები.

### **მუხლი 3**

პირველყოვლისა, უმრავლესობისგან განსხვავებით, ჩვენ არ ვთვლით, რომ  
დაირღვა მე-3 მუხლი. ვთანხმდებით რა მეთოდზე, რომლითაც გადაწყვეტილებაში  
ჩამოყალიბდა მე-3 მუხლთან დაკავშირებული ზოგადი პრინციპები (იხ. პუნქტები  
67-74), ამავდროულად, ვერ ვეთანხმებით გადაწყვეტილებას იმაზე, თუ როგორ  
უნდა მოხდეს ამ პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმესთან მიმართებით.

გადაწყვეტილება განიხილავს სხვადასხვა ელემენტს, რომლებსაც რელევან-  
ტურად მიიჩნევს, დაწყებული 77-ე პუნქტში დასმული კითხვიდან, თუ რამდენად  
აუცილებელი იყო ჩარევა მტკიცებულების მოსაპოვებლად. ასევე, უმრავლესო-  
ბა ნარკოტიკებით ვაჭრობას მიიჩნევს სერიოზულ დანაშაულად, მაგრამ დას-  
ძენს, რომ ამ შემთხვევაში „ნათელია“ ერთი რამ: განმცხადებელი „ნარკოტიკებს  
ინახავდა პირის ღრუში და, აქედან გამომდინარე, ვერ შეძლებდა მასშტაბურ  
ვაჭრობას“ (იხ. გადაწყვეტილების 77-ე პუნქტი). გადაწყვეტილების თანახმად,  
დანაშაულის შედარებით ნაკლები სერიოზულობა „აისახა სასჯელში (პირობითი  
მსჯავრი ერთი წლის ვადით და საპრობაციო ზედამხედველობა), რაც ამგვარ  
სასჯელთა შორის მინიმალურია“ (იქვე).

გვერდზე გადავდოთ კითხვა, ახდენს თუ არა რაიმე ტიპის გავლენას დანა-  
შაულის სერიოზულობა საკითხზე, რამდენად არის ჩარევა არაადამიანური ან  
ლირსების შემლახველი მოპყრობა. ჩვენ დავასკვენით, რომ საკმარისად არ არის  
დასაბუთებული უმრავლესობის პოზიცია დანაშაულის სიმძიმის შემსუბუქების  
კუთხით. ვიუპერტალის საოლქო სასამართლოს 1995 წლის 17 მაისის გადაწყვე-  
ტილება, რომელიც საბოლოოა, აცხადებს, რომ როგორც დადგინდა, ჩარევამდე,  
ლამის 23:35 საათზე, განმცხადებელმა მყიდველს გადასცა ერთი პაკეტი, გამო-  
ლებული თავისი პირის ღრუშადან და შემდეგ დროებით გაქრა, სანამ არ დაბრუნდა  
ლამის 00:25 საათზე და კვლავ გასცა ერთი პაკეტი. ამგვარად, პოლიციელე-  
ბი შეესწრნენ ნარკოტიკების გაყიდვის მორიგ ფაქტს და მათ არ შეიძლებოდა  
სცოდნოდათ, რამდენი ასეთი პაკეტი ედო განმცხადებელს პირის ღრუში.

ამ გარემოებებში მისაღებია ვიფიქროთ, რომ პოლიციის ოფიცრებს ჰქონდათ მი-  
ზეზი, ერნმუნათ განმცხადებლის მონაწილეობა გარკვეული სიმძიმის საქმიანობაში.  
ვაღიარებთ, რომ ხელისუფლების ორგანოებს საშუალება უნდა ჰქონოდათ დაედგი-  
ნათ გასაყიდად შეთავაზებული ნივთიერების ზუსტი რაოდენობა და ხარისხი, რასაც  
გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა განმცხადებლის მიერ ნარკოტიკებით განმეო-  
რებითი ვაჭრობის საქმის გამოძიებისათვის. ამ კონტექსტში გადამწყვეტი მნიშვნე-  
ლობა ვერ ექნება იმას, რომ ამოსაღებინებელ საშუალებათა გამოყენებით პოვეს  
კოკაინის მხოლოდ ერთი პაკეტი, ისევე როგორც ფაქტი, რომ საბოლოო ჯამში, მას  
შემდეგ რაც რეგიონულმა სასამართლომ გაითვალისწინა რიგი შემამსუბუქებელი

## ჯალო გერმანიის წინააღმდეგ

გარემოებები, განმცხადებელს მიესაჯა მსუბუქი სასჯელი.

უმრავლესობის დასაბუთებაში მნიშვნელოვანია დასკვნა, რომ არსებობდა გაცილებით ნაკლებად ძალისმიერი გზები მტკიცებულების მისაღებად. უმრავლესობა ასკვნის, რომ „ხელისუფლების ორგანოებს შეეძლოთ, უპრალოდ მოეცადათ იმისთვის, თუ როდის გამოყოფოდა ნარკოტიკი თრგანიზმიდან ბუნებრივი გზით“ (იხ. გადაწყვეტილების 77-ე პუნქტი) და ხისტად უკუაგდებს მთავრობის არგუმენტს, „რომ ნარკოტიკის თრგანიზმიდან ბუნებრივი გზით გამოყოფის ცდა ასეთივე დამატირებელი იქნებოდა“ (იხ. გადაწყვეტილების 79-ე პუნქტი).

ეს აღტერნატივა ნამდვილად არ ასოცირდება ეჭვმიტანილის ფიზიკურ ხელშეუხებლობაში ჩარევასთან ისე, როგორც ეს ხდება ამოსაღებინებელ საშუალებათა გამოყენების შემთხვევაში. თუმცა, არ არსებოს მიზეზი, ეჭვქვეშ დავაყენოთ მთავრობის განმარტებებიც (წარმოდგენილი [სასამართლო] მოსმენაზე და ასევე ჩამოყალიბებული 52-ე და 54-ე პუნქტებში 2005 წლის 4 ივლისის გახსენებისას), რომ წინამდებარე საქმეების მსგავს ვითარებაში, ალტერნატივის გამოყენების შემთხვევაში, დაკავებულზე უნდა განეხორციელებინათ ოცდაოთხსაათიანი მეთვალყურეობა, განსაკუთრებით კი გაეკონტროლებინათ საპირფარეშოს მოხმარება. სხვა საქმეებში საპირფარეშოს გამოყენებისას განმარტოება ჩაითვალა იმ მინიმალურ უფლებად, რითაც უნდა ისარგებლოს დაკავებულმა. შესაბამისად, ამ უფლების წართმევა აღმოჩნდა მნიშვნელოვანი ელემენტი იმ დასკვნის დასასაბუთებლად, რომ პატიმრობის პირობები უტოლდებოდა ღირსების შემლახველ მოპყრობას მე-3 მუხლის დარღვევით (იხ. Peers v. Greece, საქმე № 28524/95, პარაგრაფები 73-75, ადამიანის უფლებათა ეკროპული სასამართლო, 2001-III, და Kalashnikov v. Russia, საქმე № 47095/99, პუნქტი 99, ადამიანის უფლებათა ეკროპული სასამართლო, 2002-VI).

პირად ცხოვრებაში აღტერნატიული გზით ჩარევა - მოცდა, სანამ ნარკოტიკი ბუნებრივად არ გამოყოფა ორგანიზმიდან - ნაკლებად სერიოზული შედეგით შეიძლება დასრულდეს, ვიდრე ამოსაღებინებელ საშუალებათა იძულებითი გამოყენება, თუმცა, აღტერნატიული მეთოდის უპირატესობა, კონვენციით დაცულ ღირსებულებათა თვალსაზრისით, არ არის იმდენად აშკარა, რომ ამოსაღებინებელ საშუალებათა გამორიცხვას კარნახობდეს.

გადაწყვეტილება აფასებს იძულებითი სამედიცინო ჩარევის თანმდევ ჯანმრთელობის რისკებს. უმრავლესობა მართებულად შენიშნავს, რომ ეს საკამათო საკითხია, არა მარტო მხარეება, არამედ სამედიცინო ექსპერტებს შორისაც (იხ. გადაწყვეტილების 78-ე პუნქტი). მიუხედავად ამისა, იგი უარყოფს მთავრობის არგუმენტებს ჯანმრთელობის რისკებთან დაკავშირებით და *inter alia* დასძენს, რომ ამოსაღებინებელ საშუალებათა იძულებით გამოყენების პროცედურა „დღევანდელი მდგომარეობით“ დასრულდა ორი სასიკვდილო შედეგით მოპასუხე ქვეყანაში (იქვე). ჩვენი მხრივ, ვერ ვხედავთ საკმარის მიზეზს, არ დავუჯეროთ მთავრობის მტკიცებულებას, რომ სესინებული ორი საქმიდან ერთ-ერთში პირს ჰქონდა გულის დაუდგენელი დაავადება და „მისთვის თანაბრად სარისკო იქნებოდა გაძალიანება ნებისმიერი სხვა იძულებითი ზომისადმი“ (იხ. გადაწყვეტილების 62-ე პუნქტი). სხვა საქმეში კი სამართალწარმოება კვლავ გაჩერებულია (იხ. გადაწყვეტილების 46-ე პუნქტი) და, შესაბამისად, არაფერი კონკრეტულის თქმა არ შეიძლება.

ასეც რომ იყოს, ჩვენ ვიზიარებთ ამოსაღებინებელ საშუალებათა გამოყენებასთან დაკავშირებულ ჯანმრთელობის რისკებს. მსგავსად, ასეთი რისკი შეიძლება ახლდეს ბევრ სხვა კანონდამცველ ზომას. მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობის მიერ სხეულიდან ნარკოტიკების ბუნებრივად გამოყოფის, როგორც

ალტერნატიული მეთოდის, უპირობოდ აღიარება იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ეს მეთოდი აშკარად შეიცავს ნაკლებ რისკს, კვლავ კითხვის ქვეშ დავაყენებთ საკითხს, რომ ეს დასკვნა გამყარებულია სასამართლოს წინაშე ნარდგენილი მასალებით. მთავრობა 2005 წლის 4 ივლისის ამპის გახსენებისას აღნიშნავს ფაქტს, რომლის ჭეშმარიტებაშიც ეჭვის შეტანის საფუძველი არ გვაქვს - ჰამბურგის მხოლოდ ორ საქმეში, სადაც არ მიუმართავთ ამოსალებინებელი საშუალებებისათვის, „პერონის ან კუაინისგან მასობრივი მონაბეჭდით გარდაიცვალნენ მცირე დილერები, რომლებმაც პოლიციისგან დასამალად გადაყლაპეს ნარკოტიკების შემცველი პატარა პაკეტები“ (იხ. განაცხადის 82-ე პუნქტი), ცხადჰყოფს, რომ ალტერნატივაშიც, რომ ნარკოტიკებმა თავისით დატოვონ ორგანიზმი, არსებობს ჯანმრთელობის რისკი.

თუმცა, თუ ვითარებას უკანა რიცხვით შევაფასებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ საქმეში ამოსალებინებელ საშუალებათა გამოყენებამ - მხოლოდ 0.2182 გრამის შემცველობის კუაინის ერთი პაკეტის გამო - გამოიწვია უფრო მეტი რისკი, ვიდრე ალტერნატიულ მეთოდს შეეძლო, ჩვენ ზოგადად ვერ დავასკვნით, რომ ამოსალებინებელ საშუალებათა გამოყენება უფრო სახიფათოა ვიდრე მისი ალტერნატივები. თუნდაც, თუ ამას ვივარაუდებთ, სხვაობა არც ისე დიდია, რომ სავალებულო გახდეს ამოსალებინებელ საშუალებათა გამორიცხვა. როგორი საქმეც უნდა იყოს, არ გვაქვს მიზეზი არ ვირწმუნოთ, რომ ექიმმა, რომელიც აფასებდა სიტუაციას, ვერ შეძლო გონივრულად დაესკვნა, რომ ამოსალებინებელ საშუალებათა გამოყენება იყო სათანადო ზომა ამ მდგომარეობაში. ჩვენ დავამატებთ, რომ, როგორც ჩანს, განხორციელებულ ზომას განმცხადებლის ჯანმრთელობისათვის არ მიუყენებია რაიმე განვითარებითი ზიანი.

რაც შეეხება ფორმას, რომლითაც გამოიყენეს ამოსალებინებელი საშუალებები, ჩვენ ავლნიშნავთ, რომ ბრძანება მათ მოხმარებაზე გასცა პროკურორმა და განახორციელა ექიმმა საავადმყოფოს პირობებში, ხალხის თვალისგან მოშორებით.

მიუხედავად იმისა, რომ ცხვირის არედან ზონდით, ამოსალებინებელ საშუალებათა იძულებითმა შეყვანამ უდავოდ წარმოშვა გარევეული დონის ტკიფილი და დისკომფორტი, იგი მაინც შედარებით მოკლე ხანს გაგრძელდა. მეტიც, ცხვირის ზონდი ფართოდ გამოიყენება ყოველდღიურ სისხლის სამართლის პრაქტიკაში და არაფერი ყოფილა უცნაური გამოყენებულ მეთოდში. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ამოსალებინებელ საშუალებათა შესაყვანად განმცხადებელი უნდა დაეკვებინა ოთხ პოლიციელს, ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ ამ ვითარებაში გამოიყენეს გადაჭარებული ძალა, რასაც ამაგრებს ის გარემოებაც, რომ განმცხადებლის ნებისმიერი ძლიერი მოძრაობით ცხვირის ზონდს შეძლო გამოეწვია დაზიანება.

მთლიანობაში, ჩვენ ვიზიარებთ, რომ მოპყრობა, რომელსაც განმცხადებელი დაექვემდებარა, იყო მკაცრი. თუმცა, ნებისმიერმა, ვინც ერთვება ნარკოვაჭრობაში, უნდა გაითვალისწინოს, რომ შეიძლება ოდესმე დაიკითხოს სამართალდამცველ მეთოდების გამოყენებით, რასაც ვერ ვუწოდებთ სასიამოვ № ჩვენი აზრით, ამ საქმეში მიღებული ზომები, კონვენციის მე-3 მუხლის განსაზღვრების თანახმად, არ აღწევენ არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის ზღვარს.

## **მუხლი 8**

რადგან გამოვედით მე-3 მუხლის დარღვევის ცნობის წინააღმდეგ, მიგვაჩნია, რომ სხვა საკითხები ექცევა კონვენციის მე-8 მუხლის განხილვის ფარგლებში.

## ჯალო გერმანიის წინააღმდეგ

შესაბამისად, აუცილებლად მიგვაჩინია ავხსნათ, თუ რატომ ვფიქრობთ, რომ ეს დებულება არ დარღვეულა.

ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ვთანხმდებით, რომ განმცხადებლის მიმართ ამოსალებინებელ საშუალებათა ძალისმიერი გამოყენებით მოხდა მისი პირადი ცხოვრების უფლებაში - სახელდობრ კი, ფიზიკურ ხელშეუხებლობაში - ჩარევა, რის გამოც დგება მე-8 მუხლის გამოყენების საკითხი.

რაც შეეხება, გამოყენებული ზომის დასაბუთებას მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ, როგორც, ჩანს გერმანიის სისხლის სამართლის სასამართლოებსა და თეორეტიკოს იურისტებს შორის განხეთქილების საგანია ის, იძლევა თუ არა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე (ა) მუხლი საწესდებო საფუძველს ამოსალებინებელ საშუალებათა იძულებით გამოყენებისათვის (იხ. გადაწყვეტილების 30-40 პუნქტები). თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს არ გამოუტანია გადაწყვეტილება ამ საკითხზე განმცხადებლის საქმეში, ვოუპერტუალის საქალაქი და საოლქო სასამართლოებმა ჩათვალეს, რომ ხსენებული მუხლი იძლევა ამოსალებინებელ საშუალებათა იძულებით გამოყენების უფლებას. ამის და აგრეთვე 81-ე (ა) მუხლის შინაარსის გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, ეროვნულ სასამართლოთა ინტერპრეტაცია არ ასახავს არანაირ თვითნებობას და, შესაბამისად, გვაქმაყოფილებს ის, რომ გამოყენებული ზომისათვის არსებობდა სათანადო სამართლებრივი ბაზა. ჩვენ ასევე მიგვაჩინია, რომ დებულება აკმაყოფილებს მოსალოდნელობის ტესტსაც და, ამგარად, ჩარევა განმცხადებლის პირად ცხოვრებაში განხორციელდა კანონის თანახმად და კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ფარგლებში.

მეტიც, უყოყმანოდ ვასკვნით, რომ სადაცო ჩარევა ემსახურებოდა მიზნებს, რომლებსაც ითვალისწინების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი, კერძოდ ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაბაჟულის აღვეთა და სხვათა ჯანმრთელობის დაცვა, სახელდობრ კი ნარკოტიკების პოტენციურ მომხმარებელთა.

კითხვის ნიშნის ქვეშ ჩჩება, თუ რამდენად შეიძლება ჩარევა ჩაითვალოს „აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში“, რაც ასევე მოითხოვბა მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით. ჩვენ ვთანხმდებით, რომ ეს საკითხი გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე სხვა რიგი საკითხებისა, რომელთაც შევეხეთ. ასეც რომ იყოს, ჩვენ ვასკვნით, რომ მოთხოვნის აუცილებლობა ასევე დაქმაყოფილდა.

ჩვენ პირველ რიგში ვეყრდნობით იმას, რაც ზემოთ აღვნიშნეთ მე-3 მუხლის გარჩევისას. კვლავ ვიმეორებთ, რომ სხეულიდან ნარკოტიკების ბუნებრივად გამოყოფის ალტერნატიული მეთოდი არ უნდა ყოფილიყო ერთმნიშვნელოვნად უმჯობესი გზა კონვენციით დაცულ ღირებულებათა თვალსაზრისით. ბუნებრივია, რთულია იმის მტკიცება, რომ განმცხადებლის მდგომარეობაში მყოფი ნარკომოვაჭრები უნდა დარჩინენ დაუსჯელნი. შესაბამისად, არჩევანი ორ მეთოდს შორის, რომელთაგან ორივე უკავშირდება რისკს, დიდწილად ექცევა ხელშემკვრელი სახელმწიფოების თავისუფალი შეფასების ფარგლებში, იმის უზრუნველყოფით, რომ პროპორციულობის პრინციპი იქნება დაცული. მთავრობის ნარმოდგენილი განმარტების მიხედვით, ამოსალებინებელ საშუალებათა გამოყენება ნებადართულია იმ ხუთ მიწაზე / Länder/, სადაც ნარკოტიკებთან დაკავშირებულ დანაბაჟულთა ოდენობა საგანგაშოა. ამის გათვალისწინებით, ჩვენთვის მისაღები ხდება, რომ ამოსალებინებელ საშუალებათა გამოყენების პრაქტიკა არ გასცდეს აუცილებლობის ფარგლებს. ხელშემკვრელი სახელმწიფოსათვის ამ ზომის გამოყენებაზე სრული უარი, განსაკუთრებით კი ევროპის რიგ რეგიონებში, სადაც ეს პრობლე-

მა საგანგაში ნიშნულს აღნევს, ჩვენი აზრით, დაარღვევს სათანადო ბალანსს ნარკოტიკებით ვაჭრობაში დამაშაშესთან სახელმწიფოს პრძოლის ინტერესსა და სხვა თანმდევ ინტერესებს შორის. რადგან განმცხადებლის საქმეში პოლიციის გამოყენებული ძალა არ გასულა იმ ჩარჩოებს მიღმა, რაც მიიჩნევა აუცილებლად არსებულ ვითარებაში, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მე-8 მუხლი არ დარღვეულა.

## **მუხლი 6**

აგრეთვე მხარი არ დავუჭირეთ მტკიცებას, რომ დაირღვა მე-6 მუხლი. რადგან ჩვენი აზრით, არც მე-3 და არც მე-8 მუხლები არ დარღვეულა, შესაბამისად, ჩვენთვის არ დგას გადაწყვეტილებაში გადმოცემული დარღვევის გამოვლენის შესაძლებლობის საკითხი. ამდენად, შემოვიფარგლებით მხოლოდ რამდენიმე მოკლე შენიშვნით.

პირველ რიგში, გვსურს, ხაზი გავუსვათ საერთო თანხმობას გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ლირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის სანინააღმდეგო კონვენციის მე-15 მუხლში ნათლად გაუძლერებულ პრინციპზე, რომ მიუღებელია წამების შედეგად მოპოვებული მტკიცებულების გამოყენება მსხვერპლის სანინააღმდეგოდ (იხ. გადაწყვეტილების 105-ე პუნქტი). მეორე მხრივ, ამ პრინციპის წებისმიერი გავრცობა კონვენციის სხვა დარღვევათა დასაფარად - და ეს გადაწყვეტილება წინგადადგმული ნაბიჯია ამ მიმართულებით - მოითხოვს სიფრთხილეს. პრეცედენტული სამართალი, რომლის თანამადაც სამხილის დასაშვებობა განეკუთვნება ეროვნული კანონმდებლობის რეგულირების სფეროს (იხ. გადაწყვეტილების 94-ე პუნქტი), არის სუბსიდიარობის პრინციპის მნიშვნელოვანი გამოხატულება, რომლისგან გამონაკლისებიც უნდა განიმარტოს ვიწრო ქრილში. თუმცა, რადგან უმრავლესობამ აშკარად ლიად დატოვა ზოგადი კითხვა, თუ რამდენად შეუძლია არაადამიანურ და ლირსების შემლახველ მოპყრობად შეფასებული ქმედებით მოპოვებულ მტკიცებულებას ავტომატურად აქციოს სასამართლო პროცესი უსამართლოდ (იხ. გადაწყვეტილების 107-ე პუნქტი), არ მივიჩნიეთ აუცილებლად საკითხის შემდგომი გავრცობა.

რაც შეეხება წინამდებარე საქმეში თვითინკრიმინაციის სანინააღმდეგო პრივილეგიით სარგებლობას, ვეთანხმებით, რომ „წინამდებარე საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულება, სახელდობრ, ამოსაძებინებელი სამუალებების გამოყენებით ამოღებული, განმცხადებლის ორგანიზმში დამალული ნარკოტიკები, შეიძლება მიეკუთვნოს იმ მასალის კატეგორიას, რომელიც არსებობს ეჭვმიტანილის ნებისგან დამოუკიდებლად და რომლის გამოყენებაც ზოგადად არ არის აკრძალული სისხლის სამართლის პროცესებში“ (იხ. გადაწყვეტილების 113-ე პუნქტი). მეორე მხრივ, უფრო სადაცო ის, თუ რამდენად გამართლებული იყო გადაწყვეტილებაში მოცემული მიზეზებისათვის ამ ზოგადი წესიდან გაკეთებული გამონაკლისი მტკიცებულების დასაშვებობაზე. სახელდობრ, არ არის დამაჯერებელი უმრავლესობის მიერ მრავალჯერ აქცენტირებული გარემოება, რომ განმცხადებელი იყო მხოლოდ მცირე ნარკომოვაჭრე, რომელსაც მიესაჯა შედარებით მსუბუქი სასჯელი (იხ. გადაწყვეტილების 107-ე და 119-ე პუნქტები) (იხ. ასევე ზემოთ ჩვენი კომენტარები მე-3 მუხლზე). მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, აუცილებელი არა ამაზე შორს წასვლა, რადგან ჩვენი დასკვნა, რომ მე-6 მუხლის არ დარღვეულა, ასე თუ ისე გარდაუვალი შედეგია იმ დასკვნებისა, რაც გამოვიტანეთ მე-3 და მე-8 მუხლებთან მიმართებით.

### **მოსამართლე პაჯიევის განსხვავებული აზრი**

წინამდებარე საქმეში მე, დიდი პალატის უმრავლესობასთან ერთად, მხარი დავუჭირე კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევის ფაქტს იმის გათვალისწინებით, რომ დაირღვა განმცხადებლის თვითინკრიმინაციის საწინააღმდეგო უფლება. თუმცა, უმრავლესობისან განსხვავებით, მე არ ვაღიარე კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა. რაც შეეხება მე-3 მუხლზე დაფუძნებულ განმცხადებლის საჩივარს, სრულად ვუერთდები მოსამართლეების - ვილდჰაბერისა და კაფლიშის მიერ გამოხატულ განსხვავებულ აზრს.